140
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

7

1978

# 1978 წლის 25 ივლისს ჰავანაში იხსნება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალი

მსოფლიოს ახალგაზრდული მოძრაობის ისტორიაში 1978 წელი შევა, როგორც ერთ-ერთი ნათელი ფურცელი ახალგაზრდობის შეკავშირებისა და მტკიცე ბრძოლისა ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის, როგორც წელი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალისა.

თავისი არსებობის 30 წლის მანძილზე საფესტივალო მოძრაობა ისეთ მძლავრ ძალად იქცა, რომელსაც ახალგაზრდული მოძრაობის ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია. იგი მუდამ ხელს უწყობდა ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე სხვადასხვა კონტინენტებისა და ქვეყნების მოწინავე ახალგაზრდობის კიდევ უფრო მჭიდრო შეკავშირებას, მისი ერთიანობის განმტკიცებას; რაზმავდა მას საბრძოლველად მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების, განიარაღების, მჭიდრო თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

საფესტივალო მოძრაობის მიღწევები გაპირობებულია იმითაც, რომ მას მხარს უჭერენ არა მარტო ახალგაზრდული და სტუდენტური ორგანიზაციები, არამედ მთელი რიგი პროგრესული მთავრობები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, საერთაშორისო მოძრაობები, მშვიდობის მსოფლიო საბჭო, პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაცია, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციები.

პლანეტის ახალგაზრდა თაობის მიერ საფესტივალო მოძრაობისათვის ფართო მხარდაჭერა აიხსნება არა მარტო ახალგაზრდობის აქტიური ბრძოლით მშვიდობისათვის, არამედ მისი მისწრაფებითაც, მტკიცე პროტესტი გამოთქვას ჩაგვრისა

## ახალგაზრდობა ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის

და ძალადობის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, ხელი შეუწყოს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან აპარტეიდისა და რეაქციის, რასიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, იმპერიალიზმის უღელქვეშ.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალი ჩატარდება 1978 წლის 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე სოციალისტური კუბის დედაქალაქ ჰავანაში.

XI მსოფლიო ფესტივალის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ საფესტივალო მოძრაობის ისტორიაში იგი პირველად გადის ევროპის კონტინენტის ფარგლებს გარეთ — მსოფლიოს ახალგაზრდობა პირველად შეიკრიბება დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში, გმირი კუბის დედაქალაქში. XI მსოფლიო ფესტივალის ჩატარების ადგილად რომ ჰავანაა არჩეული, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია და უპირველესად ყოვლისა კუბის რესპუბლიკის მზარდ საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს. მსოფლიოს ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცემა, თვალნათლივ დაინახოს ლათინური ამერიკის პირობებში სოციალიზმის უდიდესი მიღწევები და გრანდიოზული პერსპექტივები. ოდესღაც ჩამორჩენილი კუბა დღეს ლათინური ამერიკის ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც მთლიანად გადაწყდა უსწავლელობის პრობლემა, შეიქმნა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის პირველხარისხოვანი სისტემა და ინტენსიურად განვითარებადი სახალხო მეურნეობა.

1975 წლის თებერვალში საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის დახურულ სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, მორიგი მსოფლიო ფესტივალის ჰავანაში ჩატარების შესახებ, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ქალიშვილისა და ჭაბუკის მოწონება დაიმსახურა.

ფესტივალში მონაწილეობისადმი ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს მრავალრიცხოვანმა ეროვნულმა და საერთაშორისო ასოციაციებმა, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და რელიგიურ შეხედულებათა მქონე ახალგაზრდებს, ახალგაზრდა კომუნისტებს, სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტებს, ლიბერალებს, რადიკალებს, კათოლიკებს, დემოქრისტიანებს.

ფესტივალისათვის მსოფლიოს ახალგაზრდობის მზადების ძირითადი ეტაპები დაკავშირებულია საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სამი სხდომის ჩატარებასთან — 1975, 1976 და 1977 წლებში.

პირველ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მორიგი ფესტივალი ჰავანაში ჩატარებულიყო, მეორეზე მოწონებულ იქნა ფესტივალის ლოზუნგი — „ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის" და მოწოდება მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ფესტივალის პოლიტიკური პლატფორმა, განსაზღვრული — მისი ძირითადი პოლიტიკური მიზნები და მოსამზადებელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მესამე სხდომამ დაამტკიცა მუდმივი კომისიის შემადგენლობა. კომისიას დაეკისრა პრაქტიკულად გადაეწყვიტა ფესტივალის დეტალური პროგრამის შემუშავების, მასში მონაწილეთა ეროვნული კვოტების განსაზღვრის, ფესტივალის დელეგატთა ტრანსპორტირების და სხვა საკითხების რთული კომპლექსი. სხდომაზე შეთანხმებულ იქნა საფესტივალო შეხვედრის პოლიტიკური პროგრამის განხორციელების სხვადასხვა მიდგომები და კრიტერიუმები.

დღეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, საერთაშორისო უშიშროების, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, სოციალური პროგრესის, ახალგაზრდობის უფლებებისა და ინტერესებისათვის ბრძოლის გზას ადგებიან ქალიშვილებისა და ჭაბუკების სულ უფრო ფართო მასები.

თანამედროვე ეტაპზე ახალგაზრდული მოძრაობის განვითარების დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცდა, გაიზარდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების წამყვანი როლი, მათი ავტორიტეტი და გავლენა, ხოლო პროგრესული ახალგაზრდობის ფართო ფენებმა გაიგეს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიული სიმართლე, მუშათა კლასთან და მის რევოლუციურ ავანგარდთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობა.

უკანასკნელ პერიოდში შესაძლებელი გახდა ახალგაზრდული მოძრაობის პოლიტიკური ძალების — ახალგაზრდა კომუნისტების, სოციალისტების, სოციალ-დემოკრატების, ლიბერალების, რადიკალების, კათოლიკების, დემოქრისტიანების თანამშრომლობაში მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება, მათი ერთიანი მოქმედების სფეროს გაფართოებისათვის ახალი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ახალგაზრდობის ფართო პოლიტიკური ძალების ერთობლივი მონაწილეობა XI საერთაშორისო ფესტივალის მზადებაში.

როდესაც წინასაფესტივალო კამპანიის ხელშემწყობ ფაქტორებზე ვლაპარაკობთ, გვინდა უპირველეს ყოვლისა კმაყოფილებით აღვნიშნოთ კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის სულ უფრო მზარდი ავტორიტეტი საერთაშორისო ახალგაზრდულ მოძრაობაში. კუბის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მხრივ ფესტივალის მზადებისადმი დიდი ყურადღების გამომხატველი იყო ის, რომ ფესტივალის კუბის მოსამზადებელ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა კუბის რევოლუციის გამოცდილი ბელადი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო. შეგვიძლია ღრმა რწმენით ვთქვათ, რომ ჩვენი კუბელი მეგობრები, კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნების მოძმე ახალგაზრდული კავშირების ყოველმხრივი მხარდაჭერით, ყველა აუცილებელ პირობას შექმნიან ახალი საფესტივალო ფორუმის წარმატებით ჩატარებისათვის.

ფესტივალის პროგრამა აღბეჭდავს მის პოლიტიკურ პლატფორმას, ან უკეთ რომ ვთქვათ, გამოხატავს საფესტივალო ლოზუნგის შინაარსსა და მიმართულებას, მის მკაფიო ანტიიმპერიალისტურ ხასიათს. ფესტივალის პროგრამაში აისახება ბერლინის ფესტივალის მომდევნო პერიოდში მსოფლიოს საფესტივალო მოძრაობის პოლიტიკური წარმომადგენლობითობის საფუძვლიანი გაფართოება. სწორედ ეს არის ჰავანის ფესტივალის წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

ისევე, როგორც ბერლინის X მსოფლიო ფესტივალზე, საფესტივალო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია თემატური დღეები. ყოველი მათგანი ეძღვნება ჩვენი დროის ყველაზე აქტუალურ პოლიტიკურ ან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას. ასე მაგალითად, საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ერთი დღე მიეძღვნება ახალგაზრდობის ბრძოლას მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის; მეორე — სოლიდარობას განვითარებადი ქვეყნების ხალხებისა და ახალგაზრდობის ბრძოლასთან; ერთი სპეციალური დღე ტრადიციულად დაეთმობა ფესტივალის მასპინძელი ქვეყნის ახალგაზრდობას. თემატური დღეების ძირითად პოლიტიკურ შინაარსად იქცევა მრავალრიცხოვანი მიტინგები და სოლიდარობის აქციები ყველაზე აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებზე.

ფესტივალის პოლიტიკურ პროგრამაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სადისკუსიო ცენტრები. ყოველი ცენტრის ფარგლებში იმუშავებენ საპრობლემო კომისიები, ორგანიზებული იქნება თავისუფალი ტრიბუნები. ეს საშუალება მისცემს ფესტივალის მონაწილეებს დაწვრილებით განიხილონ იმ საკითხე-

15848

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწ. რესპ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ფართო წრე, რომლებიც ყველაზე მეტად აღელვებს პლანეტის ახალგაზრდობას. ცალკე განიხილება სტუდენტური, საბავშვო, კულტურული და სპორტული პროგრამები.

საერთაშორისო საფესტივალო მოძრაობაში დიდი აღიარება და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საბჭოთა ახალგაზრდობას, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა წინა ფესტივალების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის კავშირთა ლიდერების შეხვედრაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა საფესტივალო მოძრაობის დიდი მნიშვნელობა, გამოთქვა რწმენა, რომ ფესტივალი ხელს შეუწყობს დემოკრატიული ახალგაზრდული მოძრაობის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, პლანეტის ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტურ სოლიდარობას მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

წინასაფესტივალო მზადების კამპანიაში ფართოდ და საქმიანად ჩაება ლენინური კომკავშირი, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, რომელიც კიდევ და კიდევ ადასტურებს, რომ უსაზღვროდ ერთგულია საერთაშორისო საფესტივალო მოძრაობის ჰუმანური და კეთილშობილური იდეალებისა, უშუალოდ დაინტერესებული — ახალგაზრდული და სტუდენტური მოძრაობის ძალებთან, ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლ ძალებთან ერთობლივი მოქმედებითა და თანამშრომლობით.

მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად წინასაფესტივალო სამზადისში ჩაება საქართველოს კომკავშირიც, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა. ისინი თავიანთ უცხოელ თანატოლებთან და თანამზრახველებთან ერთად გადაჭრით მოითხოვენ, რომ ციხეებიდან და ფაშისტური ჯურღმულებიდან დაუყოვნებლივ იქნან განთავისუფლებული ხალხთა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მამაცი მებრძოლები: გმობენ ჩილეს ფაშისტური ხუნტის თვითნებობას და მხეცურ რეპრესიებს, სოლიდარობას უცხადებენ არაბ ხალხებს, მათს ბრძოლაში ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დასამყარებლად, აგრეთვე ნამიბიის, ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხებსა და ახალგაზრდობას, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ. საბჭოთა ახალგაზრდობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო სოლიდარობის მოძრაობის გაფართოებას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და ინდოჩინეთის სხვა ქვეყნების ხალხებთან და ახალგაზრდობასთან, და ეს მკაფიოდ გამოიხატა საკავშირო კამპანიაში „საბჭოთა ახალგაზრდობა ვიეტნამის ნორჩ თაობას“.

საკავშირო კომკავშირის საქმიანობაში, რომელიც მიმართულია ახალგაზრდობის საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის მოძრაობის შემდგომი განვითარებისაკენ, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მხარდაჭერა ანგოლის — იმ ქვეყნის ბრძოლისადმი, რომლის გამარჯვება, როგორც ამას ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1977 წ.) პლენუმზე, „სულისჩამდგმელ სტიმულად იქცა პროგრესის ძალებისათვის აფრიკის კონტინენტზე“. ამჟამად საბჭოთა ახალგაზრდობა ეხმარება თავის ანგოლელ თანატოლებს ლუანდაში პიონერთა სასახლის მშენებლობაში.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალები ყოველთვის იყო ახალგაზრდობის მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის ნათელი გრძნობის, ხალხთა ურთიერთმხარდაჭერისა და სოლიდარობის არნახული დემონსტრაცია. ეჭვი არ არის, რომ ასე იქნება ახლაც ჰავანის XI მსოფლიო ფესტივალზე. ინტერნაციონალიზმის ერთ საერთო ფერხულშია ჩაბმული ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაც.

დღითი დღე ფართოვდება საქართველოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირები. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს 76 ქვეყნის პროგრესულ, დემოკრატიულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. წლიდან წლამდე სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირების გეოგრაფია. მარტო გასულ წელს საქართველოს კომკავშირმა უმასპინძლა და თავისი გამოცდილება გადასცა მსოფლიოს 17 ქვეყნის ახალგაზრდულ პოლიტიკურ დელეგაციებს. სულ უფრო ხშირად ეწყობა ორმხრივი ღონისძიებები სოციალისტური ქვეყნების მოძმე ახალგაზრდულ კავშირებთან, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების პროგრესულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. მარტო 1977 წელს რესპუბლიკის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მონაწილეობა მიიღეს 12 სხვადასხვა ახალგაზრდულ ორმხრივ და საერთაშორისო ღონისძიებაში. ამას გარდა ბოლო წლებში საქართველო არაერთხელ გამხდარა ისეთი მნიშვნელოვანი ახალგაზრდული ღონისძიების ჩატარების ადგილი, როგორიც იყო, მაგალითად, პერუ-საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მეგობრობის II ფესტივალი, ფინეთ-საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მეგობრობის ბანაკი და სხვ. მიმდინარე წლის დეკემბერში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ჩატარდება აშშ-საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის VII ტრადიციული შეხვედრა.

კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა ჩვენი სტუდენტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირები მოძმე სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან. ამის შესანიშნავი ფორმა გახდა ა. წ. III შრომითი სემესტრი და სტუდენტური სამშენებლო რაზმები. მიმდინარე ზაფხულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტური სამშენებლო რაზმები იშრომებენ გდრ-ის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობაზე, ხოლო გერმანელი, ჩეხოსლოვაკიელი, ბულგარელი, პოლონელი და უნგრელი სტუდენტები ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებთან ერთად იმუშავებენ საქართველოს სხვადასხვა მშენებლობებზე.

დღითი დღე იზრდება მსოფლიოს

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
7 ივლისი 1978
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

პროგრესული ახალგაზრდობის ბრძოლის მასშტაბი. სულ ახალი რაზმები უერთდებიან ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას. სწორედ ამ სოლიდარობის, ჩვენი პლანეტის ახალგაზრდობის ერთიანობის, მისი მისწრაფებებისა და მიზნების დემონსტრაციად უნდა იქცეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ჰავანის XI მსოფლიო ფესტივალი.

საქართველოს კომკავშირმა, ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა მსოფლიოს ახალგაზრდობის ამ ფორუმის ღირსეულად შესახვედრად. ეს მუშაობა ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა. დემოკრატიული ახალგაზრდობის დიდი ფორუმისადმი მზადებას რესპუბლიკის ახალგაზრდობა განიხილავს, როგორც დასკვნით ეტაპს მონაწილეობისა მსოფლიო კამპანიაში: „ახალგაზრდობა ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და პროგრესისათვის".

XI მსოფლიო ფესტივალის რესპუბლიკური მოსამზადებელი კომიტეტი მუშაობას შეუდგა გასული წლის დასაწყისიდან. ამ მხრივ პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობა 1977 წლის 25 ივნისს, საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს. შაბათობამ ცხადყო რესპუბლიკის ახალგაზრდობის გაზრდილი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა. მასში მონაწილეობა მიიღო მილიონ ორასი ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა, რესპუბლიკის კომკავშირელთა საერთო რიცხვის 96,8 პროცენტმა. შაბათობის მონაწილეთა 90 პროცენტზე მეტი შრომობდა უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, ხოლო ასი ათასობით ახალგაზრდა მუშაობდა თავისი სოფლის, ქალაქისა და რაიონის, საწარმოსა და მუშათა დასახლების კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე, ჯართისა და მაკულატურის შეგროვებაზე. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ჰავანის XI მსოფლიო ფესტივალის ფონდში საქართველოს ახალგაზრდობამ ჩარიცხა მილიონ რვა ათასი მანეთი.

როგორც ყოველთვის, ჰავანის ფესტივალზე წამსვლელთა შორის საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენცია, სტუდენტი ახალგაზრდობა.

დიდი ოქტომბრის 60 წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პატაკზე ხელმოწერის უფლების მოსაპოვებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინებინა საბჭოთა ახალგაზრდობის ის წარმომადგენლები, რომლებიც იმსახურებენ საპატიო უფლებას ჰავანაში XI ფესტივალზე წარმოადგინონ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გორდა" (ხელმძღვანელი — ბესიკ სვანიძე) და თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლი (ხელმძღვანელი თამაზ გოგოტიშვილი).

წინასაფესტივალო სამზადისი დასრულდა.

ღრმად გვწამს, რომ საქართველოს ახალგაზრდობა მთელ ლენინურ კომკავშირთან ერთად, ღირსეულ წვლილს შეიტანს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ამ დიდ საერთაშორისო ღონისძიების წარმატებით ჩატარების საქმეში, ღონისძიებისა, რომელიც თავის მხრივ მოწოდებულია კიდევ უფრო გააფართოვოს ახალგაზრდული მოძრაობის სხვადასხვა რაზმების თანამშრომლობის ჰორიზონტები, განამტკიცოს მათი ერთიანობა ბრძოლაში იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალთა წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, იქცეს სსრკ-ისა და კუბის ახალგაზრდა თაობის ურღვევი მეგობრობის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებად.

ვაჟა შუღლაძე,
საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე.



## ალექსი რაზიკაშვილი

აღმოსავლეთით ღრუბლები მგზავრობენ,
საითრა მიდიან მღერით,
კლდის თავს რომ მუხები სახლობენ,
ტბებიან ნიავთან ლხენით.
კლდეებთან ფიხნობენ, ლაღობენ,
კლდის გულში ფესვები გაუდგამთ,
არყები მუხებთან დაობენ,
თეთრი ჩოხები ჩაუცვამთ,
პირველად მყინვართან მზე რატომ
ამოდის,
კამათი იმაზე გაუბამთ.

### მთა და გაზაფხული

ამწვანებულა ბარში მინდვრები,
მთა მოღუშული დაჰყურებს ჭალას;
მთაო, ელოდე, ნუ იბინდები,
შენც გაზაფხულის დაგატკბობს ძალა.

მთა ეკითხება მზეს: — გაზაფხული
რატომ იღვიძებს სულ ადრე ბარში,
როცა, მზევ, შენი პირველი სხივი
პირველად მოდის მუდამ ჩემს ბანში.

— იყურე, მთაო, ჩემო სიტურფევ,
ამ სამყაროში მუდამ იმედო,
მაღალთ სიმაღლის გეყოთ მეუფე,
დაბალთ ვინ ჰყავდეს მაშ საიმედო.



# შრომის, ძმობის, შემოქმედების ბანაკი

სპარტაკ ქობულია

ზაფხული ძალაში შევიდა. რესპუბლიკის ქალაქების საშუალო სკოლების უფროსკლასელები მოსწავლეთა საზაფხულო შრომით ბანაკებში გაერთიანდნენ და მშობლიური საქართველოს ველმინდვრებისაკენ დაიძრნენ. ზოგი რაზმი უკვე ამთავრებს თავის საქმეს და უკან ბრუნდება, ზოგიც ახლა იწყებს და შრომის ფრონტებზე შეტევისათვის ემზადება.

ისინი ბევრნი არიან, — ათობით, ასობით, ათასობით, — ყველანი მოწინავენი, ბეჯითნი და სწავლაში გამორჩეულნი. მრავალთაგან დღეს მხოლოდ სამზე მოგითხრობთ.

## სკოლის სახელით...

ბიჭს დასცხა და ფეხსაცმელი გაიხადა. შიშველი, მზედაუკრავი ფეხებით გრილ ბელტს შეეხო. ერთხანს ეხამუშა. მერე შეეგუა და ესიამოვნა. უფრო გამოცოცხლდა. ფართო, მოძრავ თვალებში სხივი ჩაუდგა. ცას ახედა და გამოცდილი კაცივით თქვა: ,,მზე ისე იკბინება, ამაღამ უთუოდ მოწვიმს“... მერე, გაფურჩვნილი ვაზის მტირალ ტოტს მიუალერსა და წუთით ჩაიმუხლა...

პირველად მაშინ იგრძნო მიწისა და ვაზის სურნელი. თითქოს, დავაჟკაცდა კიდეც, ერთბაშად დასერიოზულდა, შრომის ფასი გაიგო და ამ ცხოვრების ავკარგზე დაფიქრდა. საღამოს, ბანაკში რომ დაბრუნდა, თინა მასწავლებელმა სხვებთან ერთად შეაქო და ახალი წარმატებები უსურვა.

— ხვალ კვირაა, სად მივდივართ, თინა მასწავლებელო?

— ზედაზენი უნდა ვნახოთ. იქ ზღაპრული სილამაზეა, მთიდან ხელისგულივით მოჩანს მცხეთაცა და თბილისიც...

მეორე დღეს ზედაზნის მაღლობს მოედო თვალებცქრიალა ბიჭუნებისა და გოგონების ჟრიამული. თინა მასწავლებელმა კიდევ ერთხელ მოუთხრო ბავშვებს საქართველოს ამ ულამაზესი ადგილის ისტორია და მთის ქონგურებიდან საქართველოს ძველი სატახტო ქალაქისა და დღევანდელი დედაქალაქის სანახები უჩვენა.

დაღლილნი, მაგრამ უზომოდ კმაყოფილნი დაბრუნდნენ შინ.

მეორე დღეს ნახევარი ჰექტარი ვაზი გაფურჩნეს, კომბოსტოს, ლობიოსა და ბოსტნეულის ნათესები გათოხნეს, ჩითილები ჩარგეს და... საღამოს სოფლის სკოლის ფეხბურთელებთან ,,დუელი“ გამართეს.

მესამე დღეს არმაზი და ბაგინეთი ნახეს, მეოთხე დღეს კომკავშირის მცხეთის რაიკომის ინიციატივით მოწყობილ კულტურულ ღონისძიებას დაესწრნენ... მათთვის უკვე აგრერიგად საყვარელი და ნაცნობი დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმში კი, თითქმის ყოველდღე დადიოდნენ...



დათო ჩახავა

24 დღის განმავლობაში 2500 მანეთის სამუშაო შეასრულეს, გეგმით გათვალისწინებული 1500 მანეთის სამუშაოს ნაცვლად.

ეს იყო შარშან.

მაშინ დავით ჩახავამ თბილისის მე-100 საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი ბანაკის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრისა და კარგი ,,კოლმეურნის“ სახელი მოიხვეჭა მცხეთის რაიონის საგურამოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ამიტომაც იყო, სკოლის დირექტორმა და მოსწავლეთა შრომითი რაზმების უცვლელმა ხელმძღვანელმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, სკოლის ორგანიზატორმა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში თინა რაზმაძემ სიამოვნებით მიიღეს დავით ჩახავას წინადადება: ,,გთხოვთ წელსაც ჩამრიცხოთ შრომით რაზმში“...

— ორი წელია სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ვარ, — გვეუბნება დავით ჩახავა, — თავს ვალდებულად ვთვლი იქ ვიყო, სადაც ჩემი მშობლიური სკოლის სახელი და დიდება იქმნება. მოსწავლეთა შრომითმა ბანაკმა მე და ჩემი თანატოლები მონოლითურ კოლექტივად გვაქცია, შრომის ფასი გვასწავლა, რწმენა გაგვიათკეცა, სოფელი შეგვაყვარა... არასოდეს დამავიწყდება საგურამოში გატარებული დღეები. წელსაც დიდი სიხარულით მივიჩქარი ძველი მეგობრებისაკენ — მცხეთის რაიონში ხომ არაერთი ნამდვილი მეგობარი, თავისი საქმის ჩინებული ოსტატი შევიძინე. ქალაქელებმა ბევრი რამ ვისწავლეთ სოფლელებისაგან, პირველ რიგში კი იმაში დავრწმუნდით, თუ რა ძნელი და სასახელო ყოფილა სოფლად შრომა...

— დავითი სწორს ამბობს, საგურამოს მეურნეობაში ყოფნამ ბევრი რამ შესძინა მათ, — უმატებს მოსწავლის ნათქვამს პედაგოგი თინა რაზმაძე.—ეს სიკეთე ყველა ქალაქელმა ბავშვმა უნდა განიცადოს... უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არც ერთი ქალაქელი ბავშვი არ დარჩეს შრომითი ბანაკის გარეშე. ეს ცხოვრების დიდი სკოლაა, მეგობრობის, ურთიერთგატანის, ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდის დიდი სკოლა.

დათო ჩახავა ფიზიკოსობაზე ოცნებობს. ივლისის ამ ცხელ დღეებში კი, ახლა უკვე X კლასის მოსწავლე, თავის თანატოლებთან ერთად, საგურამოს ბარაქიან მიწაზე დააბიჯებს და როცა ძალიან ჩამოცხება, პოეტის უკვდავი სტრიქონები აგონდება: ,,ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, — რაა მამული!..“

## სოფლის მადლი

ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლა... მიწყნარდა ბავშვების ჟრიამული. კიდევ ერთი, სწავლითა და ძიებით აღსავსე წელი მიიბარა ისტორიამ. ივნისის დღეებში მხოლოდ მერვე და მეათეკლასელები შემორჩნენ სკოლის ნათელი შენობის ოთახებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებს. გამოცდები დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფასთან მორიდებული ჭაბუკი დგას და სხარტად აძლევს პასუხს მასწავლებელთა შეკითხვებს.

— „ოთხი". კარგი, დაუმადლებელი ოთხიანი. თუ არ გაკმაყოფილებს, დამატებით შეკითხვებს მოგცემთ...

— არ არის საჭირო, ხუთიანი მართლაც არ მეკუთვნის, ვეცდები მეცხრე კლასში გავამართლო — გულწრფელად ამბობს ბიჭი და მასწავლებლებს ემშვიდობება.

— გია, ზეგ დილით რვა საათზე გავდივართ, არ დაგავიწყდეს!

— არის, დილის რვა საათზე სკოლის წინ!



გია ნუცუბიძე

გია ნუცუბიძემ რვა კლასი დაამთავრა. შარშან კომკავშირის რიგებში მიიღეს, ზაფხულში კი, როგორც ბეჯითი მოსწავლე და აქტიური კომკავშირელი უფროსკლასელთა შრომით რაზმში ჩარიცხეს.

ოქტომბრის საიუბილეო წლის 20 დღე ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაატარეს ქუთაისელმა მოსწავლეებმა. გია ნუცუბიძე მათ შორის თითქმის ყველაზე პატარა იყო, მაგრამ... უფროს დას მზიას გვერდით ამოუდგა და ბოლოს „რეკორდიც" კი დაამყარა: მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 450 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

— უნდა გენახათ, როგორი მოწადინებით კრეფდა ჩაის. უფროსებმა არ მაჯობონო, ყველაზე ადრე დგებოდა და ყველაზე გვიან ბრუნდებოდა პლანტაციიდან, — ამბობს შრომითი რაზმის ხელმძღვანელი, სკოლის ისტორიის მასწავლებელი თალიკო ქარქაშაძე.

— ამიტომაც გადავწყვიტეთ შრომით მეოთხედში გია ნუცუბიძე მეორედ წაგვეყვანა,—გვეუბნება სკოლის დირექტორი აკაკი გვაზავა. ნარაზენის მეურნეობასთან სათანადო ხელშეკრულება უკვე გავაფორმეთ და თუ შარშან 25 მოსწავლე კრეფდა ჩაის, წელს სოფელში ორჯერ მეტს ვგზავნით, ბუნებრივია, საზრუნავიც ორმაგი ექნებათ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი აღსაზრდელები მშობლიურ სკოლას არ შეარცხვენენ.

...გია ნუცუბიძემ უკვე იცის, თუ რა უნდა აკეთოს. მისი აზრით, შრომით მეოთხედში მთავარია ისეთივე სიბეჯითე გამოიჩინო, როგორსაც გაკვეთილების მომზადების დროს იჩენ. სწავლაც ხომ შრომაა, მაგრამ წიგნი სულ სხვაა, პრაქტიკული საქმე კი — სულ სხვა. მე,— ამბობს გია, — ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში არაერთხელ ვყოფილვარ მამაჩემის ჩარხთან, მაგრამ იქ ასეთი განცდა არასოდეს მქონია. სოფელი მართლაც სულ სხვა ყოფილა, ალალი შრომით მოდენილი ოფლი ბევრ რამეს გმატებს ახალგაზრდას და რაც მთავარია, მშობლების სიყვარულს, მასწავლებლების სიყვარულს გიათკეცებს. გრძნობ, ისინი ასე ღვრიან შრომის ოფლს შენი აღზრდისათვის, შენი ბედნიერებისათვის. მე და ჩემი მეგობრები სიხარულით მივიჩქარით ნარაზენისაკენ. იქ, სამეგრელოს ლამაზი ბუნება და ძველი ნაცნობები გველოდებიან... სიცოცხლით სავსე დღეები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები, „მწვანე ოქროს" თვალუწვდენელი პლანტაციები გველოდებიან... ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა შევიგრძნოთ სოფლის მადლი.

## „მომავალ შეხვედრამდე!"

„გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან რომ ვბრუნდებოდი, თვალებზე ცრემლი მომადგა. შემრცხვა, ვინმემ არ დამინახოს-მეთქი და თავი დავხარე. ირგვლივ საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. მივხვდი, რომ ჩემს მეგობრებსაც უმძიმდათ სოფელთან განშორება... მერე ემოციები დავიოკეთ, ჩვენს გულთბილ მასპინძლებს გადავეხვიეთ და მალე შეხვედრის სურვილით დავშორდით".

ეს არის სიტყვები თბილისის 61-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის, სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის ქეთევან კანთელაძის დღიურიდან. შარშან ამ სკოლის 25 მოსწავლე შრომობდა აჩიგვარელთა პლანტაციებში. მოსწავლეებმა მოკრიფეს 5 ტონამდე „მწვანე ოქრო" და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ უკან.



ქეთევან კანთელაძე

ქეთევან კანთელაძე წელს მესამედ აირჩიეს სკოლის მრავალრიცხოვანი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. მხოლოდ სწავლასა და შრომაში განსაკუთრებულად გამორჩეული მოსწავლის ხვედრია მსგავსი პატივი და აღიარება. ქეთევანი თამამად მსჯელობს პიონერული და კომკავშირული მუშაობის პრობლემებზე, თანატოლების მომავალზე, შრომითი ზაფხულის პერსპექტივებზე.

ქეთევან კანთელაძე უთუოდ მართალია, როცა ამბობს სოფლად წასვლის უფლება მხოლოდ ბეჯით, ზრდილობიან, ყოველმხრივ მოწინავე მოსწავლეს უნდა მივცეთო. დედაქალაქის 61-ე საშუალო სკოლაში ასეთებად იცნობენ შარშანდელი ზაფხულის გმირებს: გია ენდელაძეს, გიორგი გადელიას, ზაზა მახვილაძეს, აგრეთვე იმათ, ვინც წელს იღვწის ქეთევან კანთელაძის გვერდით: გია დანელიას, კობა ბოჭორიშვილს, სოფიკო ბლუაშვილს, მზია ჩაგელიშვილს, მარიკა ჩარკვიანს, ნანა მიქიაშვილს და სხვებს.

— მიმდინარე ზაფხულს მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გავატარებთ, — ამბობს რაზმის ხელმძღვანელი, ქიმიის მასწავლებელი ნინო ფარცვანია. ჩვენი ბავშვები ოთხ-ხუთ ტონა ჩაის მოკრეფენ, ახალ მეგობრებს შეიძენენ...

ქეთევან კანთელაძე კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც წინ გაუძღვება მშობლიური სკოლის კომკავშირელებს. შრომითი ზაფხულის ბოლო დღეს კი გულწრფელად ეტყვის ღირსეულ მასპინძლებს — „მომავალ შეხვედრამდე!"



# ახალი მეგობრები


**შალვა ცვიჟბა**
აფხაზი მწერალი

მხატვარი **რუსუდან ყარამურზა**


მოთხრობა

მოასფალტებულ გზაზე თვითმცლელი მანქანა მიქროდა, უცებ ლარივით გაჭიმულ, ახლახან გაჭრილ თხრილთან გაჩერდა, შეტრიალდა, უკუსვლით თხრილს მიადგა და შიგ შავი, ფხვიერი მასა ჩაყარა, შემდეგ ძარა დაუშვა, დაიღმუვლა და ადგილს მოსწყდა — იქითვე გაქანდა, საიდანაც მოვიდა.

მალე სხვა თვითმცლელი გამოჩნდა. იგი წინაზე უფრო ნაჯმარი ჩანდა, ალაგ-ალაგ საღებავი გადასცლოდა, დალაქავებულიყო. მანაც ჩაუშვა თხრილში შავი მასა.

თხრილის ფსკერზე მილსადენი ეწყო, ერთი შეხედვით სანადირო ორლულიანი თოფი მოგაგონდებოდათ. ამ მილსადენებს ცხელი წყალი უნდა მიეწოდებინათ საცხოვრებელი სახლებისათვის. შავი მასა ასფალტი იყო. მას, როგორც თბოსაიზოლაციო მასალას, მილსადენები გაცივებისაგან უნდა დაეცვა, რათა ცხელი წყალი არ განელებულიყო.

მუშები ცხელ ასფალტს თხრილში ნიჩბებით ყრიდნენ და საგორავით ტკეპნიდნენ.

რაც შეიძლება მალე უნდა მიეწოდებინათ სითბო ბინებისათვის. სუსხიანი დეკემბერი მომდგარიყო... კინაღამ ვთქვი, ზღურბლთან-მეთქი. ზღურბლთან მომდგარიყო კი არა, უკვე გადაებიჯებინა ზედ და სახლებში არხეინად მოეკალათებინა. ქროდა მჩხვლეტავი ქარი. ხშირად თოვდა.

მშრალად რომ ეთოვა, კიდევ არაფერი, მაგრამ სველი იყო თოვლი, მის სიმძიმეს ველარ უძლებდნენ დაფნის ტოტები, წელში იზნიქებოდნენ ტანწერწეტა კვიპაროსები. აცივდა სანაპიროზეც.

ზღვა კი, ზღვა რა ამბავში იყო? — ბრდღვინავდა, ბორგავდა, თავგამეტებით უტევდა ნაპირს. ამთაგორებული ტალღები სანაპიროს მოაჯირს თავზე გადაევლებოდნენ ხოლმე და გამთოშავი წყლით წუწავდნენ ოლეანდრებსა და მაგნოლიებს.

თვით მაღალ, ძველისძველი კედლების ნანგრევებზე წამომართულ რესტორან „დიოსკურიასაც“ კი მისწვდა ყალყზე შემდგარი ზღვა. რესტორნის დარბაზში, თითქოს ციდან ჩამოეშვაო, უეცრად შეიჭრა გაცოფებული ზვირთი და იქ მოსადილენი, ადგილობრივნი თუ უცხოელები, დააფეთა.

თვალდათვალ შეიცვალა ჰავა. წინათ ამ დროს აფხაზეთში ცივი ქარი და თოვლი მხოლოდ მთიან ადგილებში იცოდა, ახლა კი ზღვის პირასაც დამკვიდრდა. მრავალსართულიან ქვის შენობებში აუტანლად ციოდა. დილაობით ძნელი დასათმობი იყო თბილი ლოგინი...

დილით ადგომა ალიასს, ანტოშასა და ბენურსაც კი ეზარებოდათ, რომლებსაც თავი მოჰქონდათ, უკვე მეშვიდეკლასელები ვართ და ვერაფერი შეგვაშინებსო. ცხადია, მათაც სციოდათ და ამიტომ, საწოლიდან გადმოხტებოდნენ თუ არა, ოთახებში სირბილს იწყებდნენ — გულმოდგინედ ასრულებდნენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, რომ როგორმე გამთბარიყვნენ.

ტყუილად როდი ვახსენეთ ეს სამი ყმაწვილი. გაკვეთილების შემდეგ თანაკლასელებთან ერთად შინისაკენ მიმავალნი სწორედ ისინი დგანან ახლა თხრილთან.

ბიჭები გაცხარებით ლაპარაკობენ. ჯერ თხრილში ჩადებულ მილსადენებს დააცქერდებიან, შემდეგ კი შორიახლოს მდგომ სამუშაოთა მწარმოებელს გადახედავენ. ყველა-

ფრიდან ჩანს, რომ ისინი თბოტრასის მდგომარეობით არიან დაინტერესებულნი.

ყველაზე მეტს ტანმაღალი ყმაწვილი — ალიასი ლაპარაკობს, ამხანაგებს რაღაცას უმტკიცებს, შიგა და შიგ კუშტად შეავლებს თვალს სამუშაოთა მწარმოებელს. ეტყობა, უკმაყოფილოა მისი.

ერთ-ერთი თვითმცლელი კვლავ მიადგა თხრილს და ის იყო ძარა ასწია ასფალტის გადმოსაყრელად, რომ მასთან ალიასი მიიჭრა.

— დაიცათ, დაიცათ! არ ჩაყაროთ! — დაიყვირა მან და ორივე ხელი ზე აღმართა. — ნუთუ ვერა ხედავთ, როგორ აწყვია მილები?

ბიჭის შეშფოთებულმა ხმამ მძღოლი შეაფიქრიანა და ძარა გააჩერა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— რა სჭირს მილებს? მოეცალე მანქანას! — შესძახა სამუშაოთა მწარმოებელმა და ალიასისკენ გაეშურა.

— არ შეიძლება ასე! სწორად არაა! — თავისას გაიძახოდა ბიჭი, რომელსაც ერთი ხელი თხრილისაკენ გაეშვირა, მეორე კი ისევ აწეული ჰქონდა, — სწორად არ აწყვია მილები!

— მე გითხარი, მანქანას მოეცალე-მეთქი, — სამუშაოთა მწარმოებელმა ხელი ჰკრა ალიასს და განზე მიაგდო. — შენ აქ რა გესაქმება? რატომ გვიშლი ხელს?

სამუშაოთა მწარმოებლისა და ბიჭის დავით ისარგებლა მძღოლმა, დრო იხელთა, ტვირთი თხრილში ჩაუშვა და სამუშაოთა მწარმოებელს განუცხადა, ასფალტი გათავდაო.

სამუშაოთა მწარმოებელი სწრაფად გაემართა მანქანისაკენ, მაგრამ ალიასი წინ გადაუდგა.

—თქვენ!.. თხრილი!.. მილები!.. — ენის ბორძიკით ამოსთქვა.

— სახლში წადი და შენს გაკვეთილებს მიხედე! — მკაცრად უთხრა სამუშაოთა მწარმოებელმა. — შენღა გვაკლდი აქ! უზრდელი ხარ, ვიღაცა ხარ!

სამუშაოთა მწარმოებლის ქცევამ აღაშფოთა ბიჭები და ყველანი ერთბაშად გარს შემოეხვივნენ მას, აგრძნობინეს, რომ ალიასი მარტო არ იყო.

სამუშაოთა მწარმოებელი გაოცდა: ისე დგანან ეს მოსწავლეები ერთმანეთის მხარდამხარ, თითქოს იერიშზე გადმოდიანო.

ანტოშამ—ჩაფსკვნილმა ყმაწვილმა — შეურაცხყოფილის კილოთი უთხრა:

— შეიძლება ასე ხელისკვრა?

მწარმოებელმა სწრაფად იმართლა თავი:

— იცი, რა მოხდებოდა, მისთვის რომ ხელი არ მეკრა და განზე არ გამეწია? ცხელი ასფალტით დაიფარებოდა.

— თქვენ უზრდელი დაუძახეთ ალიასს, — გაბრაზებით დასძინა მეორე მოსწავლემ, რომელსაც სამუშაოთა მწარმოებლის ნათქვამისთვის მაინცდამაინც დიდი ანგარიში არ გაუწევია,—განა ალიასი უზრდელია? ყველაზე წესიერი ეგ არის, ფრიადოსანია!

— მამამისი ინჟინერია, — წინ წამოდგა ბენური, — და სწორედ ასეთი მილსადენების სპეციალისტია.

თითქმის ყველა გამოექომაგა ალიასს, მაგრამ სამუშაოთა მწარმოებელს მათთვის არ ეცალა, საჩქაროდ ჩაჯდა მანქანის კაბინაში მძღოლის გვერდით და მუშებს მიმართა:

— უნდა ვიჩქაროთ. ასფალტი თუ აღარ არის, სხვა ობიექტებზე ვიმუშავებთ. ლეჩკოპში* წაიყვანეთ მანქანა ახალი მილსადენებისათვის. მეც იქ დაგხვდებით. წელიწადი იწურება, გეგმა კი უნდა შესრულდეს, გეგმა! — ბიჭებს რომ ჩაუარა, კაბინიდან თავი გამოყო და ალიასის მისამართით თქვა: — მამაშენი ინჟინერია, მაგრამ შენ ჯერ კიდევ მოსწავლე ხარ, როცა ინჟინერი გახდები, მაშინ მიგვითითე ჩვენს ნაკლზე.

— მე ამ ნაკლს დღესაც ვხედავ, — დაადევნა ალიასმა მანქანას და თხრილში ჩახტა. დანარჩენები თხრილის პირას შეგროვდნენ, მათ დაინტერესებული რამდენიმე მუშაც შეუერთდა.

— აი, ხედავთ, მილები პირდაპირ ფსკერზე აწყვია, — დაიწყო ახსნა ალიასმა, — მათსა და მიწას შორის თითიც ვერ გაეტევა. — ბიჭმა 3-4 მეტრი გაირა მილებზე. — აგერ აქ კიდევ უარესადაა საქმე: გარდა იმისა, რომ მილი ზედ ცივ მიწაზე დევს, თხრილის კიდესაც ეხება. როგორ უნდა შეიფუთოს თბოსაიზოლაციო მასით! ხომ დაეკარგა ცხელ წყალს სითბო!

სხვა ბიჭებიც ჩახტნენ თხრილში, რომ მუშებისთვის ეგრძნობინებინათ, ეს ამბავი ჩვენც გვაღელვებსო. ხოლო ბენურმა, ალიასის ავტორიტეტის ასამაღლებლად, ხაზგასმით თქვა:

— ამისი მამა ინჟინერია!

ყმაწვილებმა ალიასის წინამძღოლობით თხრილში გაიარეს და გულდასმით შეამოწმეს, სად როგორ ეწყო მილები.

მათ მუშებიც მიჰყვნენ.

მოსწავლეებს სანუგეშო ვერაფერი შერჩათ ხელთ: ასე დაწყობილი მილსადენები ცხელ წყალს ვერ მიაწოდებდნენ მათ ბინებს.

— რა ეშველება? — იკითხა ერთმა ბიჭმა აღელვებით.

— ალბათ მილები ცოტა მაღლა უნდა ამოიწიოს, — ჩაილაპარაკა მეორემ, თავისი აზრის სისწორეში არცთუ მთლად დარწმუნებულმა.

— მილსადენები თხრილის ფსკერს 10-15 სანტიმეტრით უნდა იყოს დაშორებული, — განაცხადა ალიასმა. — მამაჩემი სანატორიუმშია, თორემ მოვიყვანდი და გვეტყოდა, რომ თხრილი უფრო ღრმა და განიერი უნდა იყოს.

ანტოშა მიხვდა, რა დღეშიც იყო მისი მეგობარი.

— ვთქვათ და, ასფალტი საკმარისად გქონოდათ, ნუთუ ისე ამოავსებდით თხრილს, რომ შეცდომას არ გამოასწორებდით? — ჰკითხა მან მუშებს.

— სადა გვცალია ყველა შეცდომის გამოსასწორებლად! — მიუგო ერთმა მათგანმა ისეთი ბოხი ხმით, თითქოს ცარიელ ქვევრში ჩასძახაო. — ჩვენი სამუშაო ობიექტები მთელ სოხუმშია გაფანტული. ყველგან უნდა მოვასწროთ — გეგმა უნდა შესრულდეს, გეგმა, გაიგე? ხომ გაიგონეთ, რას ამბობდა სამუშაოთა მწარმოებელი.

მუშები წავიდნენ: სად ეცალათ აქ უქმად მდგარიყვნენ.

ბიჭებს ეწყინათ, რომ მათი აზრი არაფრად ჩააგდეს. სამუშაოთა მწარმოებელიცა და მუშებიც მხოლოდ გეგმის შესრულებაზე ფიქრობენ. მერედა, რას ნიშნავს გეგმის შესრულება, როგორ გავიგოთ ეს? როგორც მოგხვდება ისე უნდა დააყარო მილსადენებს ასფალტი? ხოლო ბინებში სითბო იქნება თუ არა, ამაზე არავინ არაფერს ამბობს, არადა მთავარი ხომ სითბოა!

მეორე დღეს, ალიასის, ანტოშასა და ბენურის თაოსნობით, პიონერმოსწავლეებმა თხრილს მიაშურეს. გაჩაღდა მუშაობა. მკლავებდაკაპიწებულნი აგანივრებდნენ, აღრმავებდნენ თხრილს. მათ ალიასი ხელმძღვანელობდა, უჩვენებდა, სად რა როგორ გაეკეთებინათ. თვითონაც გამმაგებული თხრიდა მიწას, ხან ნიჩბით, ხან წერაქვით.

სამუშაო იოლი როდი იყო. ალაგ-ალაგ ქვიან გრუნტს აწყდებოდნენ.

* ლეჩკოპი — ქ. სოხუმის ერთ-ერთი რაიონი.

ამ დროს ყველას მკლავღონიერი ანტოშა სჯობნიდა: მძიმე უროთი ნამსხვრევებად აქცევდა სიპ ლოდებს.

საბოლოოდ კი, 10-15 სანტიმეტრის ნაცვლად, 20-25 ზანტიმეტრით ღრმა და განიერი გახადეს თხრილი. ახლა უკვე ადვილად შეიძლებოდა მილებისა და თხრილის კიდეებს შორის მიწის ამოღება.

სანამ ასე მოიქცეოდნენ, ბევრი იფიქრეს, იდავეს. ზოგიერთები ამბობდნენ, ასე გაღრმავებული და გაგანიერებული თხრილი ბევრ ასფალტს შთანთქავსო. მაშინ ერთხელ კიდევ იანგარიშეს და დარწმუნდნენ, რომ ასფალტის ხარჯი არც ისე დიდი იქნებოდა, რადგან ყველგან არ იყო საჭირო თხრილის გაღრმავება-გაგანიერება.

ისე ბეჯითად მუშაობდნენ ბიჭები, რომ გამვლელები ძალაუნებურად ჩერდებოდნენ. ერთნი ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ აღშფოთებას, რატომ აიძულებს სკოლა ბავშვებს ასეთი მძიმე სამუშაოს შესრულებასაო; სხვები კი აღტაცებულნი იყვნენ: რა კარგად ზრდიან ბავშვებს სკოლაში — ყმაწვილები უზედამხედველოდაც ხალისით ასრულებენ მძიმე სამუშაოსო.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. დეკემბრის დღეს ხომ ერთი სული აქვს, სანამ დაღამდებოდეს. ბიჭები უკვე შინ წასვლას აპირებდნენ, რომ მოულოდნელად სამუშაოთა მწარმოებელი გამოჩნდა. ეტყობოდა, სხვა ობიექტიდან მოდიოდა.

რომ იცოდეთ, რარიგ გაოცდა. ვერაფერს მიმხვდარიყო. ნაცნობი თხრილია, ისარივით გაწვართული და ხუთსართულიანი სახლებისკენ მიმართული, მის ნაპირებზე წინანდებურად ყრია ამოღებული მიწა. მაგრამ როგორ შეცვლილა! სამუშაოთა მწარმოებელმა თვალები მოიფშვნიტა, მხედველობა ხომ არ მღალატობსო. არა, იგივე თხრილი იყო, ოღონდ — უფრო ღრმა და განიერი. შესანიშნავად უმუშავნიათ ვიღაცებს, მაგრამ მას რომ დღეს არავინ გამოუგზავნია აქ სამუშაოდ?!.

თითქოს სოხუმის მთაზე ასულიყოს ფეხით, ისე ღრმად ამოისუნთქა სამუშაოთა მწარმოებელმა — ყველაფერს მიხვდა. აი, მის წინაშე დგანან ისინი: ტანმაღალი, ლამაზი ბიჭი, გუშინ რომ თავგამოდებით არწმუნებდა, მილსადენები სწორად არ აწყვიაო: აი, ჩაფსკვნილიც, საყვედურით რომ მიმართა მას, ასე ხელისკვრა როგორ შეიძლებაო, აგერ სხვა მოსწავლეებიც.

— გამარჯობათ! — უთხრა ჯერ ერთმა, მერე მეორე ყმაწვილმა სამუშაოთა მწარმოებელს.

აღელვებულმა სამუშაოთა მწარმოებელმა უცებ სხვა სიტყვები ვეღარ მოძებნა და ესღა მიუგო:

— წადით ახლა შინ, ღამდება.

მეორე დღეს, გაკვეთილები დამთავრდა თუ არა, მოსწავლეები კვლავ თხრილთან გაჩნდნენ. უნდა დაემთავრებინათ დარჩენილ უბანზე მუშაობა.

მაგრამ აი, საოცრება! თხრილმა, გუშინ რომ სამუშაოთა მწარმოებელი გააოგნა, დღეს ბიჭებს დააჭყეტინა თვალები — სადღა იყო დაუმთავრებელი უბანი, იგი ტრასის ბოლომდე შესწორებული დახვდათ, თანაც ისე, რომ თხრილში ერთ ზედმეტ კენჭსაც ვერ იპოვიდი.

თხრილის მეორე ნაწილში, რომელშიაც გუშინწინ მუშები ასფალტს ყრიდნენ, ასფალტი ამოეღოთ და წაეღოთ. თხრილი გაღრმავებული და გაგანიერებული იყო, მილები წესისამებრ საყრდენებზე დადებული.

მუშები და პიონერები ერთმანეთში აირივნენ. ამ დროს სამი თვითმცლელიც მოიჭრა. ორმა მათგანმა ცხელი ასფალტი მოიტანა, მესამე კი ნაყარი მიწის გასაზიდად მოემზადა.

სამუშაოთა მწარმოებელსა და ბოხხმიან მუშას ძალიან გაუხარდათ მოსწავლეებთან შეხვედრა.

გუშინწინ ამ მუშაზე ბიჭებს ცუდი წარმოდგენა შეექმნათ, სამუშაოთა მწარმოებელივით ისიც უკმეხი კაცი ეჩვენათ. დღეს კი, მათდა გასაკვირად, სულ სხვანაირი ჩანდა — ვაჟკაცური მკაცრი სახე რაღაც სიხარულისა და გულითადობის შუქით განათებოდა. მის უხეშ ხმაშიაც მამობრივი მზრუნველი კილო აჟღერდა:

— ჩემო კარგებო, დღესაც მოხვედით ჩვენს დასახმარებლად? ღმერთმა ჯანის სიმრთელე და აფხაზური დღეგრძელობა მოგცეთ! გეტყობათ, სიტყვის კაცები ხართ. თქვენ შეამჩნიეთ ჩვენი მუშაობის ნაკლი, და არა მარტო შეამჩნიეთ, მის გამოსწორებასაც შეუდექით. — მუშამ ყველა მოსწავლეს შეავლო თვალი და ასე დაამთავრა: — თქვენ ჩვენზე გაცილებით უკეთესნი იქნებით.

— შენ კი — მომავალი ინჟინერი ხარ! — სამუშაოთა მწარმოებელმა ალიასს მხარზე ხელი დაადო და ბიჭებს მიმართა:



— გადავწყვიტეთ ამ თბოტრასას „პიონერული“ ვუწოდოთ. ახლა მილსადენები თბოსაიზოლაციო მასალით ისე კარგად არის შეფუთული, რომ რაც არ უნდა ციოდეს, თქვენს ბინებში მუდამ ეთბილება.

ბიჭები მუშაობას შეუდგნენ, ზოგი მანქანას ნაყარი მიწით ტვირთავდა, ზოგი კი თხრილის თავზე ასფალტს ასწორებდა და საგორავებით ტკეპნიდა.

რაკი ასეთი თანაშემწეები დაიგულა, სამუშაოთა მწარმოებელმა ერთი მუშა მოსწავლეებთან დატოვა ტექნიკურ მეთვალყურედ, სხვები კი ტრასიდან მოხსნა და სხვა ობიექტზე წაიყვანა.

პიონერები გახარებულები იყვნენ: როგორც მათ სურდათ, ისე მოხდა ყველაფერი: მილები როგორც წესი და რიგია, ისე აწყვია თხრილში, ასფალტის მასა ჩინებულად ათბუნებს მათ. სამუშაოც დასასრულს უახლოვდება.

ორი გამვლელი ქალი გაჩერდა თბოტრასასთან, ბიჭების გარჯას მოსიყვარულე თვალებით უმზერდნენ, ხოლო სადაც ორი ქალი საუბრობს, იქ მესამეც უთუოდ შეჩერდება, თვითონაც ჩაებმება მუსაიფში. მალე ამ სამს სხვა ქალებიც შემოუერთდნენ.

ისინი მოსწავლეთა დედები იყვნენ. თუმცა სუსხიანი ქარი სახეში სველი თოვლის ფანტელებს აყრიდა მათ, ისინი ფეხმოუცვლელად იდგნენ და ხმამაღლა ამბობდნენ:

— ჩვენი შვილები ნამდვილ მუშებს არ ჩამოუვარდებიან!

— არა, არ ჩამოუვარდებიან!

— უფრო უკეთესნიც არიან — მათი შეცდომა შეამჩნიეს და გამოასწორეს.

— დიდებული დასაწყისია!

— დრო არის ახლა ასეთი.

— ჩვენს სახლებში, ბოლოს და ბოლოს, სითბო დატრიალდება! წამოიძახა ერთმა დედამ.

უცებ ყველა სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდა.

— აპჰარა კალოიტ! — თქვა ფიცხლად აფხაზმა ქალმა.

— სითბო გვექნება! — აჰყვა ქართველი.

— ტაკ კლინი! — არ ჩამორჩა სომეხი.

რუსმა ქალმა კი ჯერ მშვიდად წარმოთქვა: — თქვენ ყველანი გაიძახით, სითბო იქნებაო, — მერე კი უცბად თავისი შვილისკენ შეტრიალდა, გულში მაგრად ჩაიკრა და ხმამაღლა დასძინა: — მე კი უკვე ახლაც მთბილა.

თარგმნა ს. შამფრიანმა



# მარიჯანი

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მარიამ ალექსიძე — მარიჯანი.

განსაკუთრებით სამწუხაროა ეს დანაკლისი ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურისათვის, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და გამამდიდრებელი იყო მარიჯანი.

არაერთი თაობა აღზრდილა მარიჯანის შესანიშნავ საყმაწვილო წიგნებზე. მისი პოემა „ნელი ცირკში“, ლექსებისა და მოთხრობების კრებულები — „ზურა ატმის ქალაქში“, „მზიური ქვეყნის ბავშვები“, „ბედნიერი თაობა“, „პარაშუტი“, „მამიდა თეოს მარანი“, „გელა“, „ჩვენი ეზოს ბავშვები“ და სხვები ნორჩ მკითხველთა სულში აღვივებენ სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობას, მოზარდებს ასწავლიან სიკეთის, სიმამაცის, მეგობრობის, დედაენის, ერთა ძმობის, ბუნების დაფასებასა და ქომაგობას.

მარიჯანმა ქართულ ენაზე აამეტყველა საბჭოთა და უცხოელი მწერლების ბევრი საყმაწვილო ნაწარმოები.

ღვაწლმოსილი პოეტი ქალის გამოჩენა სკოლებში, პიონერთა ბანაკებში, საბავშვო დაწესებულებებში ყოველთვის იწვევდა ოქტომბრელებისა და პიონერ-მოსწავლეთა უზომო სიხარულს. მას ყველგან სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ეგებებოდნენ.

დიდია მარიჯანის ამაგი ჟურნალ „პიონერის“ წინაშე. გარდა იმისა, რომ საკუთარი პოეტური ქმნილებებით ამშვენებდა ხოლმე „პიონერის“ ფურცლებს, იგი, როგორც სარედაქციო კოლეგიის უცვლელი წევრი, თავის ნიჭსა და გამოცდილებას არ იშურებდა ჟურნალის ყოველმხრივ სრულყოფისათვის, მისი იდეური და მხატვრული დონის ამაღლებისათვის. მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო რედაქციაში მოსვლა უჭირდა, „პიონერის“ შემოქმედებით კოლექტივთან კავშირი არ გაუწყვეტია და კეთილი რჩევებით მას კვლავ ძვირფას სამსახურს უწევდა.

ექვს ათეულ წელზე მეტ ხანს უანგაროდ ემსახურა მარიჯანი მშობელ ხალხს, სათაყვანო მამულს. სიცოცხლის ბოლო დღემდე ხელიდან არ გაუგდია კალამი, ქმნიდა, ილვწოდა...

შესანიშნავი ლირიკოსის, სახელოვანი ქართველი დედის, ბავშვთა გულის მესაიდუმლის — მარიჯანის პოეტური მემკვიდრეობა მუდამ იქნება ჩვენი ნორჩი თაობების ნამდვილი მეგობარი და განუყრელი თანამგზავრი.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია.
სარედაქციო კოლეგია.




ვსწავლობთ ახალ კონსტიტუციას

# საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წყობილება

წერილი მეორე

საბჭოთა კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას, სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურას, მათს ფუნქციებს და ურთიერთდამოკიდებულებას.

საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციაში ყველა დანარჩენ განყოფილებასა და თავს შორის წამყვანი და განმსაზღვრელია „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები“. იგი შედგება 4 თავისა და 30 მუხლისაგან. ამ განყოფილებაში დადგენილი და განმტკიცებული პრინციპები განაპირობებენ კონსტიტუციითვე გათვალისწინებულ ქცევის სხვა წესებს: სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას, წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნის წესს, კლასების, სოციალურ ფენათა და ადამიანთა ურთიერთობას, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს და ა. შ. აგრეთვე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სამეურნეო და კულტურის სფეროებს, იმას, თუ ვის სამსახურში უნდა იდგნენ ეკონომიკური და სულიერი ძალები.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება არის სოციალისტური ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურის დარგში.

რა ელემენტებს მოიცავს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციით ცნება „საზოგადოებრივი წყობილება“ და რაშია მისი განპირობებული ძალა, მისი მნიშვნელობა?

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ელემენტებია: საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური საფუძველი, სამეურნეო ცხოვრებისადმი სახელმწიფო გეგმიური ხელმძღვანელობა და შრომის სოციალისტური პრინციპი.



საზოგადოებრივი წყობილების ელემენტთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური საფუძველი. იგი თავისთავად გულისხმობს ქვეყანაში მეურნეობის განსაზღვრული სისტემის და საკუთრების გარკვეული ფორმის არსებობას. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო საშუალებათა და იარაღების სოციალისტური საკუთრება.

მთავარი ის არის, თუ ვის ეკუთვნის სახელმწიფოში საწარმოო საშუალებები და იარაღები. ეს განაპირობებს მეორე დიდმნიშვნელოვან საკითხს — თუ ვის ხელთ არის სახელმწიფოში ხელისუფლება. ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე არის პოლიტიკური ბატონობის საფუძველი.

ეკონომიკაში სოციალისტური საკუთრების განუყოფელი ბატონობა შესაძლებლობას გვაძლევს ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას სახელმწიფო გეგმის საფუძველზე.

საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილების მთავარი ელემენტი — მისი ეკონომიკური საფუძველი იწვევს მეორე მნიშვნელოვანი ელემენტის, სამეურნეო ცხოვრების ანუ სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებასაც, რაც მეცნიერულად დასაბუთებულია და ცხოვრებისეულ სინამდვილესთან შერწყმული.

ქვეყნის ეკონომიკური საფუძველი განაპირობებს საზოგადოებრივ კლასობრივ სტრუქტურასაც, ანუ სახელმწიფოს კლასობრივ შემადგენლობასაც. სწორედ იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს საწარმოო საშუალებებისა და იარაღის კერძო საკუთრება, არ არსებობენ არც მქონებელი (ექსპლოატატორი) და არამქონებელი (ექსპლოატირებული) კლასები. აქ არის არა ანტაგონისტურად განწყობილი კლასები, როგორც ეს ბურჟუაზიულ ქვეყნებშია, არამედ ორი მეგობრულად განწყობილი კლასი — მუშათა და გლეხთა კლასი. აქედან წარმოსდგება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი — მუშათა და გლეხთა კლასების კავშირი. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის დაცვით.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში თანდათან იშლება ზღვარი ამ კლასებსა და საზოგადოებრივ ფენას, ინტელიგენციას შორის.

ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე აღნიშნა, რომ „კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი, თანდათან ქრება განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის“.

სოციალისტური ეკონომიკა და საზოგადოების არსებული კლასობრივი სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, რომ რესპუბლიკაში დამკვიდრდეს ხალხის სრულუფლებიანობა.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი წყობილების მნიშვნელოვანი ელემენტია ქვეყნის პოლიტიკური საფუძველი. საქართველოს სს რესპუბლიკაში „ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ“ ხოლო საბჭოები, უმაღლესიც და ადგილობრივიც, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიანი სისტემაა.

საბჭოები სახალხო ხელისუფლების სრულუფლებიანი ორგანოებია. ისინი ინტერნაციონალური ბუნებისა და კოლეგიალური ხასიათისა არიან. მათი მუშაობისათვის

დამახასიათებელია საჯაროობა.

საბჭოები წამყვან როლს ასრულებენ საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ისინი ყველაზე მეტი იურიდიული უფლებებით სარგებლობენ თავიანთ ტერიტორიაზე. როგორც საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მეორე მუხლშია ჩაწერილი: „ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე“.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლებისა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელია სოციალური საფუძვლის არსებობაც, რის ფიქსირებაც მოახდინა საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციამ. მისი მე-19 მუხლის მიხედვით „საქართველოს სსრ სოციალურ საფუძველს შეადგენს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურყევი კავშირი.

სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გაძლიერებას — კლასობრივი განსხვავების, ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და დაახლოებას“.

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება განამტკიცებს აგრეთვე სოციალიზმის შრომის პრინციპს „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით“, ამ პრინციპით ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი.

ახალი კონსტიტუციით საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წყობილება მოიცავს აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოქმედებით საქმიანობას, მათ აქტიურ როლს საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაში.

საზოგადოებრივი წყობილების ზემოთგანხილული ელემენტები განსაზღვრავენ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითად მიმართულებას — სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას.

ამ მხრივ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციით საჭიროდ არის მიჩნეული „მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში“ (მუხ. 9).

როგორც ვხედავთ, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება გულისხმობს საზოგადოების განსაზღვრულ ეკონომიკურ სისტემას, სოციალურ სტრუქტურასა და პოლიტიკურ ორგანიზაციას. საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება არის საზოგადოების ორგანიზაციის ახალი, სოციალისტური ფორმა, რომელიც იურიდიულად განმტკიცებულია საბჭოთა კონსტიტუციით.

საბჭოთა კონსტიტუცია განამტკიცებს ქვეყნის ფაქტობრივ მდგომარეობას, იმას, რაც ამჟამად დამახასიათებელია განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები ჩვენი ხალხის მონაპოვარი და მისი სიამაყეა, და მოწმობს ჩვენი საზოგადოების დიდ უპირატესობას, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ექსპლოატატორულ საზოგადოებასთან შედარებით, ამიტომაც ბურჟუაზიას და მათ იდეოლოგებს საჭიროდ მიაჩნიათ მიჩქმალონ თავიანთი საზოგადოებრივი წყობილების ელემენტები.

დამახასიათებელია, რომ არცერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს კონსტიტუციაში არ არის გამოყოფილი ცალკე თავად საზოგადოებრივი წყობილება, ხოლო თუ მისი რომელიმე ელემენტია დასახელებული, ისიც არაზუსტად და ყალბად არის წარმოდგენილი.

განა ვისმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ნებისმიერ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ძალაუფლება, მთელი ხელისუფლება, მხოლოდ მსხვილ ბურჟუაზიას ეკუთვნის? მაგრამ აბა რომელი ბურჟუაზიული სახელმწიფოს კონსტიტუციაშია ეს ფაქტი ფიქსირებული?

ბურჟუაზიულ ქვეყნების კონსტიტუციებში არ არის მითითებული, რომ ამ ქვეყნებში, საწარმოო საშუალებებისა და იარაღების კერძო საკუთრების არსებობის შედეგად, არსებობს ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ე. ი. მქონებელი და არამქონებელი კლასები, რომ მათი მეურნეობა უგეგმოა, ანარქიული და ამის გამო იქ ხშირია კრიზისი და უმუშევრობა, ადამიანთა უსაზღვრო ექსპლოატირება, აგრეთვე ეროვნებათა და რასათა შორის შუღლი და მტრობა.

აი სწორედ ამიტომ ბურჟუაზიულ ქვეყნების კონსტიტუციებში არც მის კლასობრივ სტრუქტურაზე და სოციალურ საფუძველზე, არც სამეურნეო ცხოვრების დაგეგმვასა და შრომის პრინციპზე არაფერი არ არის ნათქვამი.

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობლების მიმართ უდავო და აშკარაა.

ამას ისიც დავუმატოთ, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პირველ განყოფილებაში, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას ეხება, შინაგან ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებულია გარეგანი ფაქტორებიც: „საგარეო პოლიტიკური საქმიანობა და სოციალისტური სამშობლოს დაცვა“ (თავი IV).

მეურნეობის სოციალისტური სისტემის არსებობა, სამეურნეო ცხოვრების დაგეგმვა, მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ამაღლების სურვილი, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლა, ე. ი. საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს შინაგანი ამოცანები, მისი შინაგანი პოლიტიკა მოითხოვს შესატყვის საგარეო სამშვიდობო პოლიტიკასაც. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა. კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შესრულება მხოლოდ მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი. ამიტომ საბჭოთა კონსტიტუცია მიუთითებს, რომ „სსრ კავშირი განუხრელად ახორციელებს ლენინური მშვიდობის პოლიტიკას, იღვწის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის“.

დასასრულ, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი ელემენტია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ე. ი. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობა.

ჩვენი მიზანია განვამტკიცოთ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ელემენტები და მათგან გამომდინარე მოქმედი პრინციპები: — სოციალისტური საკუთრება, სოციალისტური დემოკრატიზმი, მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირი, ეროვნებათა თანამშრომლობა; ვიბრძოლოთ შესატყვისი გეგმების, პარტიული დირექტივების შესასრულებლად, სამშვიდობო, საგარეო პოლიტიკის დასაცავად.

ამავე დროს ჩვენი რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ უნდა შეასრულოს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის 57-ე მუხლის მოთხოვნა, რომ საქართველოს სსრ მოქალაქე ვალდებულია იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას.

გრ. ერემოვი,
პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.



ნორჩი მეყვავილეები სამუშაოდ მიიჩქარიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შუქი, რომელიც მოაქვთ ყვავილებს

თემურ მეგრეველი

ძველთაძველია ამბავი ადამიანებისა და ყვავილების მეგობრობისა, ისე ძველი, რომ ქვეყნად არავის შეუძლია თქვას, სად არის მისი დასაბამი.

ადამიანები ამ მეგობრობაზე თხზავდნენ ზღაპრებს, თაობიდან თაობას გადასცემდნენ ლეგენდებს და ამ მეგობრობას უმღეროდნენ უნაზესი ლექსებით.

ყვავილების სიყვარული ხომ ადამიანის სულს აფაქიზებს, აკეთილშობილებს, ბუნების უბადლო სიმშვენიერეს აზიარებს.

ყვავილების სიყვარული ყრმობის ასაკშივე იწყება და თანდათან უფრო ღვივდება.

ამ ცოტა ხნის წინათ ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის წევრებმა, რომლებიც მეყვავილეთა წრეში არიან გაერთიანებულნი, ერთი კაცის თავგადასავალი ისე გამაცნეს, ვიფიქრე ზღაპარს მიყვებიან-მეთქი, სინამდვილეში ყველაფერი უტყუარი იყო.

ის კაცი ომამდე ახალგაზრდა მასწავლებელი ყოფილა, გარეგნულად მკაცრი და პირქუში. ბიოლოგიას ასწავლიდა სკოლაში. ზოგს ეგონა, მისი ყოველი დღე ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც ორი წვეთი წყალიო.

ცდებოდნენ, რა თქმა უნდა, რადგანაც ეს კაცი პირქუში და უკარება კი არა, ერთი მეოცნებე ვინმე უფრო იყო და ამიტომაც მისი ერთი დღე სულაც არ ჰგავდა მეორეს. ეს ყველაზე უკეთ მის მოწაფეებს მოეხსენებოდათ, იმათ, ყოველთვის გატაცებით რომ უსმენდნენ საყვარელი მასწავლებლის საუბარს.

მერე დიდი სამამულო ომი დაიწყო...

ბიოლოგიის მასწავლებელმა მხედრული ფარაჯა ჩაიცვა და ფრონტს მიაშურა.

ხომ უმძიმესი იყო ჯარისკაცის ხვედრი, მაგრამ მეოცნებე მაინც ვერაფერმა შეცვალა, რადგან ოცნების აუხდენლობა შეიძლება, ოცნების სიკვდილი კი — არა.

ომიდან დაბრუნებული ნორჩ მეყვავილეთა წრეს ჩაუდგა სათავეში და აგერ უკვე ოცდამეცამეტე წელია, ერთხელ არჩეულ საქმეს ემსახურება ერთგულად.

ეს მასწავლებელი, დარბაისელი ჭაღარა კაცი, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მეთოდისტი ვლადიმერ მახარაძეა.

პატარა ბიჭს, თბილისის 30-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე ზურაბ მეძველიას ომი მხოლოდ კინოეკრანზე უნახავს, მაგრამ სულაც არ უჭირს წარმოიდგინოს ომის გზებზე დაღლილი ჯარისკაცი, ვისაც შორეული საქართველოდან მოსულმა ბარათმა რაღაც უნაპიროდ დიდი სიყვარული გაუღვიძა და თბილი გრძნობით აუვსო სული; მას საყვარელი პოეტის ლექსი გაახსენდა: „ჩემი და თეთრი თოვლის ქალია და გაზაფხულზე ენძელად მოვა“.

ყვავილები ფრონტზეც ხარობდნენ...

ჯარისკაცს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ომი რომ დამთავრდება, ისეთ სამსახურს მოვძებნი, სადაც ჩემს აღსაზრდელებს ყვავილების სიყვარულს ვასწავლიო.

ასეც მოხდა.

და, აი, ახლა თავიანთ მასწავლებელზე მიამბობენ ნორჩ ნატურალისტთა მეყვავილეობის წრის წევრები.

ისინი ჭკვიანი, ფიქრიანი ბავშვები არიან: ნინო სულაძე, ნინო მეგრელიძე, ზურაბ მეძველია...

— კიდევ რამდენი ხართ ნორჩ მეყვავილეთა წრეში? — ვეკითხები.

— ბევრნი. მარტო ჩვენი სკოლიდან, ოცდამეათედან — თხუთმეტნი.

— მაინცდამაინც მეყვავილეობა რატომ აირჩიეთ?

— ჩვენ გვიყვარს ყვავილები, ესეც არ იყოს, ბიოლოგიის მასწავლებელმა ნადია კალანდაძემაც გვირჩია. ნადია მასწავლებლის სიტყვას კი ჩვენ ყოველთვის ვენდობით.

ყვავილების მოვლასა და გახარებას, სიყვარულთან ერთად, საკმაო ჯაფაც უნდა. ამ წრეში მეცადინეობამ და მუშაობამ იმიტომაც ცოტა სხვაგვარად დაანახვა ერთმანეთი ბავშვებს, ვიდრე სკოლაში.

ღიმილით იხსენებენ თანაკლასელებს, ნინოსა და ზაზას. ნადია მასწავლებელი აქამდე სულ იმას ამბობდა ხოლმე, ნეტავი, ამათი ხეირიანად მოყოლილი გაკვეთილი მომასმენინა და მეტი არაფერი მინდაო.

არ იტყვით, ნინომ და ზაზამ მეყვავილეთა წრეში, როგორ ისახელეს თავი!

ამას წინათ ისინი კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ იმ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, რომელიც ნორჩ ნატურალისტთა სადგურში გაი-

მართა, და ყველას მოწონება დაიმსახურეს. სწავლასაც შესამჩნევად მოუმატეს. ეს ყველაფერი ძალიან ახარებთ თანაკლასელებს.

ან რა გასაკვირია, რომ უხაროდეთ — ნინო სულაძე და ნინო მეგრელიძე რგოლის ხელმძღვანელები არიან, ზურაბ მეძველია კი — პიონერთა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე. ახლა მათი საზრუნავი, ისევე, როგორც მილიონობით მათი თანატოლისა, ისაა, რომ სწავლასა და შრომაში გამოჩენილი სიბეჯითით აღნიშნონ ლენინური კომკავშირის დიდი იუბილე.

იუბილეს აღსანიშნავად ნორჩ მეყვავილეებს თავიანთი გეგმები აქვთ, საგანგებოდ აწონილ-დაწონილი. ამ გეგმების მოფიქრებაში მათ ძალზე შეუწყო ხელი ოპერაციამ „ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს — პიონერული დიდების მწვანე რკალი".

ეს ამბავი რომ შეიტყვეს, ნადია მასწავლებელს სთხოვეს და ოცდამეათესკოლელებმა მეორე დღესვე მიაშურეს ნორჩ ნატურალისტთა სადგურს, თუმცა იმ დღეს მეცადინეობა არ ჰქონდათ სადგურში. წრის ხელმძღვანელს, პატივცემულ ვლადიმერს, მათი გამოჩენა მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია. ადრეც არაერთხელ ყოფილა ასე — მოვიდოდნენ, ხან სათბურს მოინახულებდნენ, ხან კვლებს და სათითაოდ ითვლიდნენ ყვავილთა რტოებზე გამოსულ პირველ კოკრებს. როცა იმდღევანდელი სტუმრობის ამბავი გაიგო, წრის ხელმძღვანელს კიდევ უფრო ესიამოვნა. თურმე ნუ იტყვით, ნორჩ მეყვავილეებს ახალ ოპერაციასთან დაკავშირებით, მეყვავილეთა საგანგებო საბჭოს შექმნა განეზრახათ და საამისოდ თავიანთი წრის გამოცდილი წინამძღოლის რჩევა-დარიგებაც სჭირდებოდათ.

გვიანობამდე შეყვნენ საქმიან საუბარს.

მომავალი გეგმების პირველი მონახაზებიც მაშინ გაჩნდა.

უხაროდათ და ეამაყებოდათ ფიქრი იმაზე, რომ „პიონერული დიდების მწვანე რკალს" მათი საყვარელი ყვავილები მეტ სიცოცხლესა და ზეიმურობას მიანიჭებდნენ.

და განა მარტო ამ სკოლაში, სადაც თვითონ სწავლობენ. ნორჩ მეყვავილეებს გადაწყვეტილი აქვთ, ვისაც დასჭირდება, ყველას გაუმართონ ხელი — რჩევით თუ პრაქტიკული დახმარებით.

ზეიმი ოქტომბერში იქნება.

— კარგი დროა, — დინჯად ამბობს ზურაბი და გოგონებიც კვერს უკრავენ, — ამ დროს ბევრი ყვავილი ხარობს ჩვენში.

— ყველაზე უფრო მაინც რომელი მოუხდება დღესასწაულს?

— ყველაზე უფრო ალბათ მიხაკი და სალვია. სალვია ლამაზი, წითელი ფერის ყვავილია, — აზუსტებს ნინო სულაძე, — მე მაინც ყველაზე უფრო წითელი მიხაკი მიყვარს.

— ვარდი? მე ყველას ვარდი მირჩევნია. ვარდი ოქტომბერშიც ყვავილობს და მერეც, ვიდრე ყინვა დაჰკრავდეს, — თავისას ამბობს ნინო მეგრელიძე.

ნორჩი მეყვავილეები იხსენებენ იმ ყვავილთა სახელებს, რომლებიც სიჭაბუკის ზეიმს დაამშვენებს — ცინია, გეორგინა, ასტრა, ქრიზანთემა...

ალბომში, სადაც ისინი კომკავშირის დაბადების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საქმეებს აღნიშნავენ, უკვე ჩაიწერა პირველი სტრიქონები.

მუშაობა კი კვლავ გრძელდება.

კომკავშირის ღირსშესანიშნავ თარიღს ნორჩ ნატურალისტთა გარჯით გახარებული ყვავილებიც შემატებენ შუქს.



კაბინეტში დაწყებული საუბარი, საცდელ ნაკვეთში გრძელდება

ფოტო ვ. ბორისენკოსი

ვლადიმერ მაიაკოვსკი

## სიმღერა — ელვა

ზღვას გადაწვდება ლურჯტალღას,
ხმა
ქედებს გადაევლება —
უმღერე,
ელვა-სიმღერავ,
პიონერების შეკრებას.
ჩვენს
წითელ კოცონს
ეწვიეთ,
დროზე გვეწვიეთ
ტოლები!
მოვიდეს
დების
და ძმების
ურიცხვი მილიონები!..
... შრომის და ბრძოლის
სწორი გზა
გვინათე შენ,
განთიადო,
ჩემო
მშობელო დედაო,
შენ,
რესპუბლიკავ დიადო.
მიწავ, მოხუცო,
ვიზრდებით —
დოვლათი
ყველგან დახვავდა,
ქარხნებით,
ბაღჩა-ბაღებით
ხრიოკი სივრცე აყვავდა.
ყველგან
მშობლიურ თვალს
ვხედავთ,
ვხარობთ,
რაც უფრო დრო გადის.
ჩვენი დიადი მამაა —
მუშათა კლასი ფოლადის.
დროა ისწავლოთ,
გეყოფათ
უცოდინრობის ამბავი.
შენ,
ამხანაგო ბებიავ,
დაჯექ,
ისწავლე ანბანი.
წინ გასწით!
ამ გზას ლენინურს
მტკიცე მწკრივები არტყია!
ჩვენ
ხელმძღვანელი
ერთი გვყავს —
კომუნისტური პარტია.

თარგმნა
ვასილ ლაფერაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კერკეტი კაკალი

ლოლო ჟალაჭორია

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

მოთხრობა

მთელი ღამე ჩუმად თოვდა.

დილით ქათქათა თოვლმა თვალი მოსჭრა გოგოს.

მამა და უფროსი ძმები ეზოში გასულიყვნენ და ნიჩბებით თოვლს კვალავდნენ. მეზობლები ხმამაღლა ეძილიკავებოდნენ ერთმანეთს და იცინოდნენ, მაგრამ ხმა ახლა უფრო ყრუდ ისმოდა, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს.

კიბიდან ჭიშკრამდე მამამ გაკვალა თოვლი, ბოსლამდე — ერთმა ძმამ, ჭამდე — მეორემ.

პატარა გოგო სკამზე დადებულ ზოლებიან ბალიშზე იყო ჩამუხლული, ხელისგულით მალიმალ ასუფთავებდა შეორთქლილ სარკმლის მინას და ეზოში იყურებოდა, თან რაღაცაზე იღიმებოდა.

„ერთი, ორი, სამი... ათამდე დათვლაში თუ მივა მსხლის ხემდე, — ერთ ძმაზე ფიქრობდა გოგო, — ჩვენი ძროხა ჭრელ ხბოს მოიგებს. ერთი, ორი, სამი... ოცამდე დათვლაში თუ კაკლამდე მივა, — მეორე ძმაზე ფიქრობდა, — დედა ქალაქიდან წითელ ფეხსაცმელებს ამომიტანს".

ერთიც ვნახოთ, სახე დაუნაღვლიანდა გოგოს.

„ნეტავი ჩიტები სადღა არიანო, — გაიფიქრა. — არც მურია ჩანს, ბოსელში როგორ შევიდოდა, კარი გამოგდებული იყო. წკმუტუნი მაინც გამეგონა, ლოგინიდან წამოვვარდებოდი, კარს გავუღებდი, ჩემი საწოლის ქვეშ ტკბილად დაიძინებდა. დიდედამ აკი თქვა, ცუდად მამტვრევს ე ოხერი ძვლებიო. უნდა დაგვეჯერებინა, რომ გაავდარდებოდა".

გოგო სკამიდან ჩამოვიდა.

სამზარეულოდან სითბო და გემრიელი ოხშივარი გამოდიოდა. დიდედა დაბალ სკამზე ჩამომჯდარიყო და თეთრად დაწინწკლული წინსაფრის კალთაში რაღაცას არჩევდა დაძარღვული ხელებით.

— ჩიტები არა ჩანან, — შესჩივლა გოგომ.

— სახლის ერდოზე შეყუჟდებოდნენ, ან სხვენის სარკმელში შეფრინდებოდნენ, — დაამშვიდა დიდედამ.

გოგომ პატარა ჭრელ კალათაში ხორბალი ჩაყარა, თბილად ჩაიცვა და აივანზე გავიდა.

— აჰა, გამობრძანდა — გაიცინეს ძმებმა.

„ნეტა რას იღრიჭებიან", — გაეღიმა გოგოს. კალათიდან მუჭით ხორბალი ამოიღო, კიბესთან თოვლნაყარზე მოაბნია.

— ეგრე არა, შვილო, — უთხრა მამამ. საბძლიდან თხელი ფიცარი გამოიტანა, თოვლზე დადო და ანიშნა, აი ამაზე დაყარეო.

მოაბნია თუ არა ხორბალი გოგომ, სულ ფრთხიალით დაეშვნენ შეცივნული ბეღურები ფიცრის შორიახლოს. მერე ხტუნვა-ხტუნვით დაუარეს საკენკს თავი. „რაო, გეშინიათ?" — გაიფიქრა გოგომ და გაეცალა.

თოვლზე სამ-სამი ჩხირივით რჩებოდა ჩიტების ნაფეხურები.

ის იყო ჩიტები გათამამდნენ და ფიცარს მიაშურეს, რომ ძმებს ერთი ალიაქოთი შეუდგათ და ჩიტები ისევ დაფრთხნენ.

— აქედან დაუარე, არ გაგექცეს, იქიდან დაუარე! — ყვიროდნენ ბიჭები.

უფროსი ძმა თოვლში ჩაემხო და რის ვაი-ვაგლახით წამოაყენა მეორემ. ბიჭს მკლავებში რაღაც მოექცია და გულზე იხუტებდა, თან მაღალ თოვლს ძლივა მიარღვევდა.

ძმებმა კიბეზე თოვლი დაიბერტყეს და ყაყანით შეცვივდნენ შინ.

— ციყვი! — გაიოცა გოგომ და სულ ახლოს მივიდა ძმასთან.

შავ, მძივებივით თვალებს ატრიალებდა ციყვი, ბუთქუნა კუდი აეპრიხა და ყურებთან წამოზრდილ თმებს დროდადრო ატოკებდა.

სხვა რა ექნათ, გალიაში შესვეს ციყვი. ნუში, თხილი, კაკალი, ჩურჩხელა და ჩამიჩიც დაუდგეს. გავიდოდნენ ბავშვები, მტვრევა-კვნეტის ხმა გაისმოდა; შემოვიდოდნენ, გაინაბებოდა ციყვი, ცხვირ-პირზე ფუმფულა კუდს აიფარებდა და ეშმაკური თვალებით იჭყიტებოდა, ვითომც აქ არაფერიო.

— კაკალი და წაბლი გყვარებია, ციყვუნია? — ეკითხებოდა გოგო, — ერთი შაქარიც მიირთვი.

შაქარი არა და, ერთი კერკეტი კაკალი კი აითრია. აგორა და აგორა, მაგრამ ვერა დააკლო რა. მაინც არ მოეშვა, დღენიადაგ ისმოდა კერკეტის გორვისა და ციყვის პაწია კლანჭების ფხაჭა-ფხუჭი გალიის ფსკერზე.

გარეთ ისევ თოვდა და თოვდა. მგონი მთელი სოფლის ქვეშ მოქცევას აპირებდა. ეზოები თითქოს გაერთიანდნენ. საკვამურებიდან ამოვლილი კვამლითღა შეიტყობდი, რომ აქ სოფელი იყო. აღარც ძაღლები ყეფდნენ, არც ნახირი ბღაოდა. აბა, ციყვს გარეთ ვინ გაუშვებდა.

— მოდი, გალიიდან გამოვუშვათ, — თქვეს ბავშვებმა, მაგრამ დიდედამ გააფრთხილა, სულმთლად აურევს აქაურობას, თვითონაც რამეს დაიშავებსო.

მაგრამ მერე რა, რომ არავის გამოუშვია, თვითონ გამობრძანდა. უკვე აღარავის ეპუებოდა: ბუხართან მიმჯდარი კატა დააფრთხო და სარკმლის რაფაზე ჩამოსკუპდა. ფანჯრის რაფაზე ჯდომა და ეზოში ცქერა დასჩემდა. მოწყენაც შენიშნეს ბავშვებმა.

— თუ გინდა, წადი. მაგრამ შიმშილით მოკვდები, შენი ფუღურო ალბათ თოვლმა ამოქოლა და რა გეშველება?,— ეჩურჩულებოდნენ ბავშვები.

ციყვი თავისას არ იშლიდა, პაწია თათები სარკმლის მინაზე მიებჯინა და გულდაგულ გასცქეროდა იმ მხარეს, საითაც ფუღურო ეგულებოდა.

„რაო, ეს რა თქვეს ამ ბავშვებმა, ფუღურო თოვლმა ამოქოლაო? — ფიქრობდა, ალბათ, ციყვი. — რამდენი სარჩო-საბადებელი შევზიდე იმ ფუღუროში. როგორი ფუმფულა ლოგინი გავმართე. თბილოდა ჩემს ფუღუროში. რა მიჭირდა, რამდენიც უნდა ეთოვა, დავჯდებოდი, ვაკნატუნებდი გირჩის თესლს და ვიქნებოდი. რა კარგი იყო! ხან ცქმუტაანთ ბიჭი შემოივლიდა, ხან პაწკუაანთ რძალი... როგორ ეხარბებოდათ ჩემი მყუდრო ბინა და ბუთქუნა კუდი? თავადაც ბევრი ხორაგი შეზიდეს თავიანთ ფუღუროში, მაგრამ ჩემი უფრო ემებოდა ყველას. შემოუჩხდებოდნენ ხოლმე თხილსა და კაკალს, სულ კნატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნუტი გაუდიოდათ. — ოხრავდა ციყვი, და რაც ძალა ჰქონდა, მინას უშენდა თათებს. — მალე დადნება ეს თოვლი, სანთლებივით დაინთებიან ნორჩი გირჩები ნაძვებზე. ჭრელი კოდალა ჩამოჯდება ჩემს ფუღუროსთან და დამიკაკუნებს. უიჰ, უიჰ, კიდევ უფრო გალამაზებულხარ, ბუთქუნაო, — მეტყვის. მეც შემოვსკუპდები ხის კენწეროზე, ახლად ამოსულ კრიალა ბეწვს მზეზე დავილაგებ და ვიკუპებ. აბა რომელი ჩიტი მაჯობებს. სკუპ, ერთი ხიდან მეორე ხეს გადავევლები, სკუპ, მეორე ხიდან — მესამეს. ასე შემოვივლი შრიალა და ხასხასა მწვანე ტყეს. ქვემოდან ცისფერი თვალებივით ამომხედავენ კამკამა წყლით სავსე გუბეები. ამ გუბეებში ცქერა და ტრიალ-ტრიალი მიყვარს. გამიშვით რა, გარეთ!“

ერთ დილით, სანამ გოგო გაიღვიძებდა, ფანჯრის რაფაზე გაფიჩხული იპოვეა ციყვი. მამამ სწრაფად დაავლო ხელი და ერთ კაცთან წაიღო.

— ის კაცი ფიტულებს აკეთებს, — ჩურჩულებდნენ ბიჭები და დიდედა.

გოგომ ციყვი მოიკითხა, მაგრამ დაამშვიდეს: სადმე მიიმალებოდა და გამოჩნდებაო.

ნაღვლობდა გოგო, მაგრამ ციყვი არსად ჩანდა.

ერთ დღეს, გზააბნეულივით კუნჭულკუთხეს უვლიდა გოგო და რას ხედავს — კედელზე მიჭედებულ ხის პატარა ტოტზე ციყვი ჩამოსკუპებულა და წინა ორ თათში სწორედ ის კერკეტი კაკალი უჭირავს, სულ რომ დააგორებდა, მაგრამ ვერა დააკლო რა.



# ბიჭის ჩიტი



მოთხრობა

ჩიტი გალიის ხან ერთ კუთხეს მიასკუპდებოდა, ხან მეორეს.

ჩიტისთვის დასხმულ წყალში სარკმელში შემოსულ მზეს სხივი ჩაეყო და აეკრიალებინა.

წყლიდან ასხლეტილი სხვადასხვა ფერის ლიცლიცები იადონს თავს ევლებოდნენ, მაგრამ მერე, სადღაც ქრებოდნენ; მალე, გალიის ქვემოთ, მაგიდაზე დაწყობილ ქოთნის ყვავილებში გამოჩნდებოდნენ და ცეკვა-ცეკვით ფოთლებზე დასრიალებდნენ. ვინ იცის, იქნებ ისევ წყალს უბრუნდებოდნენ, თორემ ეს ახალ-ახალი ლიცლიცები საიდან ამოდიოდნენ, კედელს მოედებოდნენ, ისევ იადონსა და ყვავილებს უვლიდნენ.

პატარა ბიჭმა გალიის კარი გამოაღო და შუაზე გადაჭრილი მაგრად მოხარშული კვერცხი ხელისგულით მიართვა იადონს. ისკუპა იადონმა, ამოიჭიკჭიკა და კვერცხის ყვითელ გულს ნისკარტი ჩაჰკრა. კიდევ ჩაჰკრა, კიდევ და ისევ უკან აფრინდა ქანდარაზე. ბიჭი მიხვდა რაც უნდოდა, და კვერცხი პაწია როფში ჩაუტოვა.

იადონმა კვერცხს ხტუნვა-ხტუნვით შემოუარა, კენკა და კენკა.

კვერცხის გული და იადონი თითქმის ერთი ფერისა იყვნენ.

ახლა წყალს ისე მიადგა ჩიტი, გეგონებოდათ სხივის დაჭერა უნდაო. დალია წყალი, ახედა ჭერს, დალია და ახედა. ლამაზი ნისკარტი ფრთებზე შეიწმინდა, დაუბრუნდა ქანდარას, გალობა დაიწყო.

ფარდაგზე ნებიერი კატა თვლემდა. დროდადრო ამოიკრუტუნებდა, ყურებს აათამაშებდა და თვალებს უფრო მოხუჭავდა. სიამოვნებდა თუ არა იადონის გალობა, ვერ გეტყვით. რას გაუგებ ცბიერ კატას!

მერე გაიღვიძა. შეიძლება იადონის გაბმულმა ჭიკჭიკმა გამოაღვიძა. თითქოს უსიამოვნოდ გაიზმორა, წელში გაიზნიქა და კუდი აპრიხა, გამარჯვებული ფალავანივით გაიარ-გამოიარა ფარდაგზე.

გარეთ თბილოდა. ჩიტები მწარე ბალზე და წაბლის დიდ ხეზე დახტოდნენ. გაღმა, ოქროსფერი ყანით დაფარულ ფერდობზე, ოთხი თუ ხუთი კომბაინი მკიდა პურს.

კატას ხეზე გასვლა და ჩიტებზე ნადირობა დაეზარა. „ძალიან მარდები არიან ეს ჩამრგვალებული ბეღურები და, აბა, მერცხლის დაჭერაზე ოცნებაც ხომ ზედმეტია. კაცმა რომ თვალი მოჰკრას, კატა მერცხალზე ნადირობსო, კეტით გაუპობს კიდეც თავს. ახიცაა. რაღა მერცხალი!.. ეს მუქთახორა იადონი უფრო მსუქანი არ იქნება?! თანაც აქვეა. ერთი თათის გაკვრა და, გალიის კარი გაიღება. იადონი გამოფრინდება და მეც აქ არა ვარ?! ჩავცხებ თათს და მოვუსვამ. მდიონ მერე! მალე გადაავიწყდება ბიჭს ეს ლამაზი ჩიტი და მეც გამოვჩნდები,“ — ფიქრობდა კატა და ფრთხილი ნაბიჯით უახლოვდებოდა იადონის გალიას.

„ყვავილებში ისე უნდა ჩავხტე, არ გავთელო, თორემ ამისთვის ცალკე მომხვდება“. ბევრი არ უფიქრია, უეცრად ისკუპა, მაგრამ ვერ მოზომა და მაგიდის ძგიდეს თათებით ჩამოეკიდა.

იადონი ხმაურზე დაფრთხა, გალიის ერთ კუნჭულში მიიბუზა, თან ყურადღებით, ცალი თვალით დასცქეროდა ტანმოვარჯიშესავით თათებზე დაკიდებულ კატას.

კატუნიამ ტანი აითრია და ისე სხარტად ჩახტა ყვავილებში, ერთი ფოთოლიც კი არ შერხეულა.

ჩიტი ფრთხიალებდა და ფრთხიალებდა.

კატამ ქვემოდან შეათვალიერა გალია, აიწია, ერთი თათი გალიას ჩამოსდო, მეორეთი კარის პატარა ურდულს ფხოჭნა დაუწყო.

ჩიტი განწირულივით დახტოდა გალიაში, მისთვის უჩვეულო ხმით ჭყიპინებდა, უმწეოდ აწყდებოდა კედლებს.

ერთი კიდევ მოიქნია კატამ თათი და გაიღო კარი, მაგრამ იადონი უფრო მაგრად აეკრა გალიის კედელს და გამოფრენა არც უფიქრია.

კატას აკი იმისი იმედი ჰქონდა, გაფრენილ იადონს ვწვდები და დავიჭერო.

„ეგრე, არა?!". — გაიფიქრა კატამ. ახტა და გალიას თავზე მოექცა.

გალია შეირხა, შეტორტმანდა, წყალი დაიქცა და ფერად-ფერადი ლიცლიცები გაქრნენ, გალია ერთ ლურსმანზე ჩამოეკიდა, მეორე, მომძვრალი ლურსმანი წკაპუნით ჩავარდა ყვავილებში.

დამფრთხალი ჩიტი ისევ მიაწყდა მეორე მხარეს და ბიჭის ფეხის ხმაც გაისმა! იადონმა გალიის ღია კარი შენიშნა, მაგრამ, სწორედ ამ დროს შემოჰყო გალიაში თათი კატამ.

„ქვემოთ, ქვემოთ! — გაიფიქრა იადონმა. — ქვემოთ, თათსა და ხარიხას შორის, ცარიელი არეა, მოვასწრებ გაძრომას!" — კარს მიაფრინდა და ის იყო ზურგზე მძიმე თათი იგრძნო, რომ ოთახში ბიჭი შემოვიდა და კატას დაუცაცხანა.

კატა გაირინდა, ისე ნელა წაიღო უკან გალიაში შეყოფილი ბრჭყალებწამოყრილი თათი, თითქოს იადონს უფრთხილდებაო.

ბიჭის დანახვაზე იადონმა დაიჭიკჭიკა, ფრთა გაშალა და შიგ უბეში ჩაუფრინდა პატრონს.





# ნორჩ ნატურალისტთა ექსკურსია

ჩვენმა სკოლის ნორჩმა მევენახეებმა — ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრებმა მოვაწყეთ ექსკურსია თბილისსა და მცხეთაში. მცხეთაში დავათვალიერეთ მამულაშვილის ბაღი, ვნახეთ შესანიშნავი ისტორიული ტაძარი სვეტიცხოველი, სადაც დასაფლავებულნი არიან ქართლ-კახეთის მეფეები. შემდეგ ვესტუმრეთ თბილისის ბოტანიკურ ბაღს, ვიყავით ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში. აქ დაგვათვალიერებინეს სხვადასხვა განყოფილებები. ნორჩ ბუნების მეგობრებს მოუმრავლებიათ ზღვის გოჭები, კურდღლები, თუთიყუშები. გაგვაცნეს მებაღეობა-მევენახეობის წრის წევრები, ნორჩ მევენახეთა I რესპუბლიკური შეკრების ინიციატორები.

ვნახეთ ნორჩ ტექნიკოსთა და ფოტომოყვარულთა გამოფენა.

გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათები მეტეხის ციხესთან, სვეტიცხოველთან, ბოტანიკურ ბაღში, მამულაშვილის ბაღში და კმაყოფილები დავბრუნდით შინ.

**ნონა ქადაგიშვილი,**

გურჯაანის რაიონი, კარდანახის საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, VII ბ კლასი.

# სახელოვან წინაპართა ნაკვალევზე

დაუსწრებლად ვიმოგზაურეთ ოქტომბრის ექსპრესით. ყველა სადგური „წარმატებით დავიპყარით": შევისწავლეთ საბჭოეთის ბიოგრაფია, მონაწილეობა მივიღეთ საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში. შრომა დაგვიფასდა კიდეც — ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა და გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციამ დაგვაჯილდოვა ტურისტული საგზურით ჩვენი ქვეყნის გმირ ქალაქებში სამოგზაუროდ.

აღფრთოვანებული დავრჩით გმირ ქალაქ კიევის დათვალიერებით. საძმო საფლავზე წუთიერი დუმილით პატივი ვეცით ომში დაღუპულთა ხსოვნას.

მხოლოდ წიგნებში წაგვეკითხა, რომ ნოე ადამია და ალიოშა წურწუმია სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. და, აი, იმ მიწაზეც დავაბიჯეთ ფეხი, სადაც წურწუმიას, ადამიას, გეგეშიძეს, გახოკიძეს, პაპიძეს და სხვებს უბრძოლიათ.

მოვინახულეთ 414-ე ქართული დივიზიის ბრძოლის ადგილები, ქართველი ჯარისკაცების ობელისკთან ყვავილები მივიტანეთ, საფლავებზე ქართული მიწა მოვაყარეთ.

ფეოდოსიაში დიდხანს ვიდექით მდუმარედ პარტიზანი პიონერის — ვიტია კორობკოვის ძეგლთან. იქვე გადავწყვიტეთ მეგობრობა დაგვემყარებინა გმირი პარტიზანის მშობლიურ მე-4 საშუალო სკოლასთან.

დღეს უღრუბლო ცა დაგვყურებს საბჭოთა ადამიანებს, დღევანდელი მშვიდობა სიცოცხლის ფასი დაუჯდათ ჩვენს მამა-პაპებს.

„ჩვენო სახელოვანო წინაპრებო, სამშობლოსათვის შეწირული თქვენი სიცოცხლე დაბადებაა ჩვენი. თქვენ არ მომკვდარხართ, მხოლოდ გაიმარჯვეთ ბოროტებაზე", — ამ გრძნობით იყო გამსჭვალული თითოეული ჩვენგანი.

ექსკურსიის მონაწილეთა სახელით მადლობა გვინდა მოვახსენოთ ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის კოლექტივს, რომელმაც ასეთი შინაარსიანი, საინტერესო ექსკურსია მოაწყო ჩვენთვის.

**გივი პატარაია,**
**დავით ცაავა,**

გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატის პიონერები.

## ჩვენი შემოქმედება

### სამშობლო

არწივების ასაფრენი ფრთები,
მხარი მხარზე მიწყობილი მთები,
ველ-მინდვრები, ტყეები და ზვრები,
სიცილი და მხიარული ხმები,

თავთავების ოქროსფერი ღელვა,
გაზაფხულზე თბილი წვიმის თქეში,
მყინვარს ქვემოთ დაკიდული ელვა,
ჩანჩქერების მქუხარება მთებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №7

ნიავი რომ არხევს ბალახს ნელა,
და ზღვის ტალღებს რომ მიაპობს გემი,
ეს ხომ, ერთად აღებული ყველა,
საყვარელი სამშობლოა ჩემი.

## გაზაფხული

მწვანით მობურულ
მთათა მწვერვალებს
თეთრი ნისლები ფარავს,

შეუპენტია
მთის ფერდობები
ქათქათა ცხვრების ფარას.

გული ვერ იტევს
სითბოს, სინათლეს,
სახე მიბრწყინავს ღიმით.

რა მიხარია,
თვითონ არ ვიცი,
ალბათ — სიტურფე დილის,

ან სილამაზე
გაზაფხულისა,
ანდა ნიავის ქროლა,
ან ენძელების,
ია-იების,
მწვანე ბალახის თრთოლა.

## საუბარი სიზმართან

ურბილეს ფაჩუჩით,
ზღაპრების თქორითა,
შენ ჩემს სასთუმალთან
მოსულხარ შორიდან;

ბალიშთან დამდგარხარ,
ცისფერო სიზმარო,
მითხარი, მითხარი,
რა უნდა მეზმანოს?

## გუბურა

მზე თეთრი ქაღალდივით
გდია გუბურაში,
თითქოს ნატყვიარი
პატარა ჩიტია,

წვეთები ეცემა და
კანკალებს გუბურა,
რომელმაც ამხელა
მზე დაიტია.

მარინე გათენაშვილი,
ლენინგორის 1-ლი საშუალო
სკოლა, IX კლასი.

# უცხოური იუმორი

მეფის ოფიცერმა ჯარისკაცებს უბრძანა:

— სწორდით!.. რაა მანდ, რომ ტრიალებს?

— დედამიწა! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ მწყობრში.

— ვინ თქვა ეს?

— კოპერნიკმა.

— კოპერნიკო!.. ერთი ნაბიჯით წინ! — გასცა განკარგულება ოფიცერმა.

●

— ბიჭებო, ვის გიყვართ მუსიკა?

ხელი ათმა კაცმა ასწია.

— აგაშენათ ღმერთმა! წავედით, მესამე სართულზე პიანინოა ასატანი.

ფრანგულიდან თარგმნა
გვანცა იაკობიძემ, ქ. ჭიათურის
1-ლი საშუალო სკოლა, IV კლასი.

## პატარა ჰანსი

რეკავს ტელეფონი.

პატარა ჰანსი აპარატთან მივიდა. ტელეფონისტმა თქვა, რომ ჰანსის მამას დეპეშა უნდა გადასცეს.

— დედა და მამა შინ არ არიან, — უპასუხა ჰანსმა.

— მაგრამ შენც ხომ შეგიძლია, მამას ან დედას დეპეშა გადასცე? მოიტანე ფანქარი, ბიჭუნი!

— კარგი, ახლავე მოვიტან, — დაეთანხმა ჰანსი.

დიდი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იპოვა ფანქარი და ტელეფონთან მივიდა.

— თუ შეიძლება, კიდევ ერთი წუთი — ფანქარი კი მოვიტანე, მაგრამ გადამიტყდა. ახლავე მოვძებნი მეორეს.

ჰანსმა იპოვა მეორე ფანქარი.

— ახლა უკვე მაქვს ფანქარი, მაგრამ... ერთი რამ უნდა გითხრათ, — თქვა ჰანსმა.

— რა გინდა, რა უნდა მითხრა? — იკითხა ტელეფონისტმა.

— მე რომ ჯერ წერა არ ვიცი?..

გერმანულიდან თარგმნა თბილისის მე-18 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე
ლევან ურუშაძემ.



დათვები არენაზე.

პაატა დიდებაშვილი, თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო გახანგრძლივებული დღის მე-2 საშ. სკოლა, VIII კლასი.

15848

ქ. მარქსის ს. ხ. ს. ქ. სსრ სახელმწ. ფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

„ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისთვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით“.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია, თავი 2. მუხლი მე-18.



# ბუნება — ჩვენი მწვანე [illegible] მეგობარი

**მირონ ხერგიანი**

დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების უმაღლეს საფეხურზე, უცნაურია, მაგრამ სავალალო ფაქტია, რომ ტექნიკური ცივილიზაციის კეთილისმყოფელობა ოდნავადაც არ შეხებია ჩვენს გარემომცველ დედაბუნებას. პირიქით, დღევანდელობის ყველაზე უმნიშვნელოვანეს და საშურ პრობლემად ფლორისა და ფაუნის გადარჩენის, აღდგენისა და გამრავალფეროვნების საკითხი რჩება. უნდა ითქვას, რომ ბუნების პრობლემა თავისთავად რთული და მრავალწახნაგოვანია. მისი გადაწყვეტა შესაძლებელია სხვადასხვა დარგების კომპლექსურად შესწავლისა და განხილვის საფუძველზე. ხოლო ამ საქმეში რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება და „სასიკეთო კვალის დაჩნევა“ წარმოუდგენელია მთელი საზოგადოებრივი ძალების გაერთიანების გარეშე. ბუნების დაცვისა და გაფრთხილების საქმე მთელი ერის, მთელი კაცობრიობის საქმეა, ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნება ხალხს ეკუთვნის, მის გაჯანსაღებასა და სიცოცხლისუნარიანობას ემსახურება, ამიტომაც ხალხმა უნდა უპატრონოს და მოუაროს მას. ამ კეთილშობილურ საქმეში მცირე როლი როდი ეკისრება ჩვენს ახალგაზრდობას — პიონერ-მოსწავლეებსა და კომკავშირელებს...

ჩვენი ჟურნალის მრგვალი მაგიდის მიზანია ნორჩების ყურამდე მიიტანოს ბუნების მდგომარეობა რესპუბლიკაში, გააცნოს მათ ამ საკითხთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები, დასახოს მათი გადაჭრის საქმეში მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობის ამოცანები.

სწორედ ამ მიზნით რედაქციაში მოვიწვიეთ ბუნებისმცოდნეობის სხვადასხვა დისციპლინების წარმომადგენლები, აგრეთვე ის ადამიანები, ვინც თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობით არიან ამ საკითხთან დაკავშირებულნი და პროფესიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მისი დაცვისა და შენახვის, გაფრთხილებისა და გამრავალფეროვნებისათვის... ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ საუბრის შინაარს.

ნიკო მგელიაშვილი — საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

— ბუნების დაცვისა და აღდგენის საქმეში განუზომელი როლი ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობას. ყველაზე ნათლად ამას შეიძლება ჩვენი ორგანიზაცია გრძნობდეს. ნადირ-ფრინველის მოვლა-პატრონობაში ჩვენს ნორჩებს მართლაც რომ ვერავინ შეედრება, ასევე შეიძლება ითქვას ტყეების განაშენიანებასა და მოვლა-პატრონობაზედაც. მაგრამ მე, როგორც მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში მეტად მწვავედა დგას ნადირ-ფრინველის გამრავლების პრობლემა. უფრო მეტიც, ასე მწვავედ ეს საკითხი ალბათ არც მდგარა ჩვენი საზოგადოების წინაშე. ფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა და ფაუნის გაჩანაგება მსოფლიო მასშტაბებს მოიცავს. მაგრამ ეს ჩვენ როდი გვანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

კორესპონდენტი:

— ბატონო ნიკო, მაინც რა ფაქტორები თამაშობენ უმთავრეს როლს ფლორის გაჩანაგების საქმეში?

ნიკო მგელიაშვილი — ეს გახლავთ ბრაკონიერობა და შხამქიმიკატები! ორივე მეტად საშიში მოვლენაა. ბრაკონიერების სამწუხარო ფაქტებზე ბევრი იწერება ჩვენს პრესაში. უპასუხისმგებლო, ანგარებიანი და უსინდისო ადამიანები განურჩევლად ანადგურებენ ხეტყეს, ფრინველს, თევზს, ნადირს... ამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ბრაკონიერებმა განადგურებამდე მიიყვანეს კავკასიონის მშვენება — ჯიხვი, რაზედაც განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რადგანაც ჯიხვზე ნადირობამ ერთობ საშიში ფორმები მიიღო. საქმე ის არის, რომ მაღალმთიანეთში, სადაც ეს მშვენიერი ცხოველი ბინადრობს, ჩვენი კონტროლი, ბუნებრივია, ვერ არის სათანადოდ ქმედითი, ამიტომაც ბრაკონიერები თავისუფლად თოფავენ ამ უწყინარ პირუტყვს. ისინი რქების გულისათვის მზად არიან მთელი არვე გაჟლიტონ.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ შხამქიმიკატები. სამწუხაროდ, ეს „გამოგონება“ ჩვენი საუკუნის ღვიძლი შვილი გახლავთ. საწამლავი, რომელიც მღრღნელებისთვის არის მობნეული, ნადირ-ფრინველის ლუკმა ხდება. ერთს ვუდარაჯდებით და მეორეს ვახვედრებთ. შხამქიმიკატების მავნებლობა აშკარაა, ახლა ამ საკითხზე ბევრი იწერება. თითოეულ ჩვენთაგანს მრავლად უნახავს ქიმიკატებით მოწამლული ხოხობი, დურაჯი, კაკაბი, გნოლი, კურდღელი, შველი, შინაური საქონელი, მათი არც ტყავი ვარგა და არც ხორცი...

და კიდევ ერთზე შევაჩერებდი თქვენს ყურადღებას: დიდთოვლიანობაზე! აი, აქ კი თავიანთ წვლილი შეაქვთ ჩვენს ბავშვებს უმწეო ნადირის გადარჩენისა და მოვლის საქმეში. რამდენი გულისამაჩუყებელი ისტორია წაგვიკითხავს იმის თაობაზე, თუ როგორ გადაარჩინეს ბავშვებმა დაღუპვას უმწეო ნადირი, მოუარეს, გამოკვებეს და საღ-სალამათი კვლავ დედაბუნებას დაუბრუნეს. კარგ ტრადიციად იქცა აგრეთვე ბავშვების აქტიური მონაწილეობა ფრინველებისათვის „ბინათმშენებლობაში“. ვისაც ფეხით აქვს დავლილი ჩვენი ტყეები, უნახავს ნორჩების მადლიანი ხელით გაკეთებული და ხეებზე დამაგრებული „სახლები“... განა ეს ცოტას ნიშნავს? ჩვენ მრავლადა გვყავს ბუნების ნორჩი მეგობრები, რომლებსაც ბევრი ბრაკონიერი გამოუვლენიათ. საჭიროა უგულო ხალხთან მებრძოლი მოწინავე პიონერმოსწავლეთა რაზმების ჩამოყალიბება და მათი სამოქმედო უბნების გაფართოება, რათა ნორჩ გუშაგთა ხმა ყოველგნით გაისმოდეს ჩვენს ტყეებში და მათი შიშით ავი თვალით გახედვა ვერავინ გაბედოს. ნათქვამი ეხება მდინარეთა და წყალსატევების დაცვასა და გაფრთხილებასაც. ამ საქმეშიაც ჩვენი ბავშვები მეტად აქტიურად მონაწილეობენ.

კორესპონდენტი:

— ადამიანები უმჭიდროეს კავშირში ვიმყოფებით გარემომცველ სამყაროსთან, და უმისოდ ჩვენი არსებობა წარმოუდგენელია. ამდენად საინტერესო იქნებოდა გვესაუბრა თანამედროვე საზოგადოებისა და გარემომცველი ბუნების ურთიერთობის უმთავრეს ასპექტებზე, არსებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე?

თენგიზ ურუშაძე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი:

— ცნობილია, რომ ამჟამად ბუნების დაცვის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელს მსოფლიოში. ბატონი ნიკოს საუბრიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სამწუხაროდ, ფლორისა და ფაუნის დაცვის მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც ჩვენს რესპუბლიკაშია. უფრო მეტიც, ეს მდგომარეობა ერთობ დამაფიქრებელია და მოითხოვს განსაკუთრებულ ღონისძიებებს, ამ საქმეში მთელი საზოგადოებრიობის და განსაკუთრებით ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას. მე ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ბიოსფეროს გაჭუჭყიანების საკითხებზე. ბიოსფერო, მოგეხსენებათ, ის ჰაერიცაა, რომელსაც ყოველ წუთში ჩავისუნთქავთ და ურომლისოდაც ჩვენი არსებობა წარმოუდგენელია, ამიტომაც მის მდგომარეობას დღეს ძალზე დიდი ყურადღება ექცევა.

გარემოს გაჭუჭყიანებას უმთავრესად იწვევს რადიაცია, შხამქიმიკატები (აქ ბატონმა ნიკომაც წამოჭრა შხამქიმიკატების პრობლემა) მავნე აირები... გაჭუჭყიანებასთან ბრძოლა მოიცავს გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობას, სამრეწველო ჩამონადენის მფილტრავი ახალი, ეფექტური მეთოდების დანერგვას, ტოქსიკურ ნივთიერებათა ნორმირებას, მწვანე ნარგავთა გაშენებას.

კორესპონდენტი:

— თქვენ ახსენეთ საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები, გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის და ახალი ეფექტური მეთოდების დანერგვის აუცილებლობა. რამდენადაც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია იყენებენ მავნე გამონაბოლქვების გამწმენდ მოწყობილობებს და სამრეწველო ჩამონადენების მფილტრავ საშუალებებს. როგორ უნდა გავიგოთ თქვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება ახალი ეფექტური მეთოდების დანერგვის თაობაზე?

თენგიზ ურუშაძე:

— საქართველოში 1975 წლისათვის დაგროვილი იყო 20 მილიონი ტონა ნარჩენი. ამჟამად ნარჩენების ყოველწლიური მატება რესპუბლიკაში მილიონ ტონას აღემატება.

ხოლო, რაც შეეხება გამწმენდ ნაგებობებს, მათი მდგომარეობა რესპუბლიკაში სრულიად არადამაკმაყოფილებელია... ამ გამწმენდ მოწყობილობათა ეფექტი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს.

თენგიზ მახარაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი:

— როგორც აქ უკვე ნაწილობრივ ითქვა, ურბანიზაცია და მასთან დაკავშირებული პროცესები (მოსახლეობისა და მრეწველობის კონცენტრაცია დიდ ქალაქებში, ავტოპარკის ზრდა, წარმოების კოოპერირება და სხვა.) გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე.

ურბანიზაციის პროცესის არასწორად წარმართვას მოსდევს ბუნებრივი მოვლენების ძლიერი და არასასურველი დარღვევები: ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის გაჭუჭყიანება, ფაუნისა და ფლორის შემცირება, ნიადაგის ეროზია, სატრანსპორტო ხმაურის გადიდება და ასე შემდეგ. ყოველივე ამის შედეგად კი ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა ბუნებაში, უარესდება ადამიანისათვის საჭირო ჰიგიენური პირობები, ამიტომაც ქალაქების ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო ხდება ბუნებაში მოქმედი კანონების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა, რაც სცილდება მეცნიერების ერთი რომელიმე დარგის ფარგლებს და კომპლექსურ კვლევას მოითხოვს.

კორესპონდენტი:

— საუბარში თქვენ შეეხეთ წყლის პრობლემას, ეს დიდი ქალაქებისათვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. იმ დროს, როცა მსოფლიო მასშტაბით დგება წყლის რესურსების ნაკლებობის საკითხი, განსაკუთრებული სიფრთხილე და მომჭირნეობა გვმართებს მისი ხარჯვისა და გამოყენებისას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი ზრუნავს ამაზე, ამიტომ ბევრია სასმელი წყლის დანაკარგი... რა მდგომარეობაა ამჟამად წყლით მომარაგების მხრივ თბილისში?

თენგიზ მახარაშვილი:

—უნდა ითქვას, რომ წყლის ხარჯვის, უფრო სწორად კი დანიშნულებისამებრ მისი გამოყენების კოეფიციენტი თბილისისთვის ერთობ მცირეა. რაც შეეხება წყლის მოწოდების პრობლემას, ამ მხრივ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქალაქს არც თუ ცუდი ბედი დაჰყვა. როგორც ცნობილია, თბილისი კავკასიონისა და თრიალეთის მთათა უბეშია შეყუჟული. მთაწმინდიდანაც რომ გადმოხედოთ, ქალაქი ერთ ჩაძირულ ხომალდად მოგეჩვენებათ. ერთის მხრივ მისი „დაბალი“ მდგომარეობა, მხედველობაში მაქვს ზღვის დონიდან არასახარბიელო სიმაღლე, ქალაქისთვის მეტად არახელსაყრელი ფაქტორია, მაგრამ მეორეს მხრივ, ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის ქალაქის წყალმომარაგების საკითხის მოგვარებისათვის... მაგრამ ეს რაც შეეხება ბუნების წყალობას, სხვა საკითხავია, ჩვენ როგორ ვიყენებთ ამ სიმდიდრეს. უნდა ითქვას, — ერთობ უსუსურად და უყაირათოდ. საილუსტრაციოდ მოვიყვან შემდეგ ციფრებს: თბილისში სასმელი წყლის დანაკარგი 14 პროცენტს შეადგენს, რუსთავში — 12-ს, ხოლო ქუთაისში 11,5-ს, და ეს მაშინ, როცა ამ ქალაქებში მრავალ რაიონსა და უბანში წყლის მიწოდება გრაფიკით წარმოებს.

კორესპონდენტი:

— რა როლის შესრულება ძალუძთ პიონერებს, ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას ბუნების დაცვის საქმეში? რა წვლილის შეტანა შეუძლია ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ დასახელებული საკითხების გადაწყვეტაში? როგორ განიხილება აღნიშნული პრობლემა მთიანი რაიონების სკოლების პიონერულ ორგანიზაციებში, ესე იგი იქ, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა უფრო ახლო, უშუალო კონტაქტში იმყოფება ბუნებასთან, რა ღონისძიებებს ახორციელებენ ისინი, როგორც ჩვენი ფლორისა და ფაუნის ნორჩი მეგობრები?

ესმა მათურელი, თიანეთის ზ. რუხაძის სახ. რვაწლიანი სკოლის პიონერხელმძღვანელი:

— თიანეთის რაიონი მდიდარია ტყეებით, წყლითა და ნადირ-ფრინველით, ხოლო იორი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც საქართველოს ყველაზე უხვთევზიანი მდინარე. ჩვენი რაიონის სკოლების პიონერულ ორგანიზაციებში შემუშავებულია დაახლოებით ერთიანი ღონისძიებები, რომლებიც ძირითადად ბუნების დაცვასა და გაფრთხილებას ითვალისწინებენ. ერთი სიტყვით, მთელს ჩვენს საქმიანობას საფუძვლად უდევს გარემომცველ ბუნებასთან მჭიდრო კავშირი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს ბავშვებს შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტაში, რომლებზეც აქ ილაპარაკეს ჩვენი მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა. ასეთი პრობლემებია, მაგალითად, ჰაერის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლა, ქალაქგანაშენიანება, აგრეთვე წყლის მომჭირნეობით ხარჯვა. რა თქმა უნდა, ამით იმისი თქმა როდი მინდა, თითქოს მოსწავლეებს ამ კუთხით არ შეეძლოთ თავიანთი წვლილის შეტანა საერთო სახალხო საქმეში. მე, უბრალოდ, ხაზს ვუსვამ, რომ ამჟამად ჩვენი ძირითადი საზრუნავია — ტყეების გაშენება — ჩვენმა სკოლამ მიმდინარე წელს ხელშეკრულება დადო თიანეთის სატყეო მეურნეობასთან, რის საფუძველზეც სკოლის აღსაზრდელებმა 500 ჰექტარი ტყე უნდა დაიცვან უნებართვო ჭრისა და ხანძრებისაგან. მეორე ხელშეკრულების თანახმად, ჩვენმა პიონერულმა ორგანიზაციამ სატყეო მეურნეობის ხელშეწყობით ერთ ჰექტარ ფართობზე უნდა მოუაროს ფიჭვის ნარგავებს. ჩვენი პიონერული ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს რაიონის გამწვანების საქმეში. ყოველწლიურად მოსწავლეები რგავენ 200 ძირ ვერხვს. ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი შენიშვნა გავაკეთო. ხომ შეიძლება ვერხვის ნაცვლად რომელიმე სასარგებლო მცენარე გაშენდეს თიანეთში? ნებისმიერი ნაყოფისმომცემი მცენარის დარგვა უფრო მომგებიანი იქნებოდა ხალხისა და ქვეყნისათვისაც, ვიდრე მხოლოდ ვერხვისა და ალვის ხეების, აკაციებისა და ტირიფების მასივების შექმნა.

ჩვენს სამოქმედო პროგრამაში თავისი ადგილი უჭირავს გარეულ ფრინველებზე ზრუნვას. როგორც ბატონმა ნიკო მგელიაშვილმა ბრძანა, ჩვენი ტყეები მართლაც რომ მოფენილია ბავშვების მიერ გაკეთებული „სახლებით“. ამ საქმეში ყველა ბავშვი, მიუხედავად მათი მოსწრებისა, ერთნაირად აქტიურია და ეს გამოხატავს მათ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, ხოლო თავისთავად ბუნების სიყვარული მოზარდებში მათი მაღალმოქალაქეობრიობისა და შეგნებულობის, ჰუმანურობისა და კაცურკაცობის უპირველესი ნიშანი და პირობაა. ასე იყო ოდითგან და ასე იქნება ალბათ მომავალშიაც. ამიტომ აუცილებელია, ბავშვს ყოველნაირად შევუწყოთ ხელი, მუდმივად მჭიდრო კონტაქტში იყოს ბუნებასთან, ასეთ სიახლოვეს, ჩემის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დღეს.

რედაქციისაგან:

ჩვენს მრგვალ მაგიდასთან გამოთქმული სურვილები ერთნაირად ეხება ჩვენი ქალაქისა და სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობას, ბუნების ნორჩ მეგობრებს, პიონერებს და კომკავშირელებს. მრგვალი მაგიდის გარშემო საუბრისას წამოჭრილი ზოგიერთი საკითხი მართლაც რომ უნდა გაითავისოს ბუნების ყველა გულშემატკივარმა და სათანადო გეგმები დასახოს, რათა საკუთარი მოქალაქეობრივი და პატრიოტული წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და ადამიანთა არსებობის საფუძველთა საფუძვლის, ჩვენი დედაბუნების მოვლისა და გამრავალფეროვნების საქმეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჩვენ, კომკავშირის წარგზავნილები!

თბილისსა და ქუთაისში, სოხუმსა და ცხინვალში, ზესტაფონსა და რუსთავში, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში შეხვდებით პიონერულ მწყობრში ჩამდგარ ფერმის მუშას, მეჩაის, ახალგაზრდა მეტალურგს, აგრონომს, ინჟინერს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

პიონერებს მოსწონთ მათთან ყოფნა, კამათი წაკითხული წიგნის თუ ერთად ნანახი სპექტაკლის ან კინოს ირგვლივ, ანდა საუბარი სხვადასხვა სპეციალობაზე; უყვართ მათთან ერთად ჩხირკედელაობა, სხვადასხვა მოდელების დამზადება; მათ ხშირად შეხვდებით უფროსი მეგობრების სამუშაო ადგილზეც, ქარხნის საამქროში თუ საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში, ჩაის პლანტაციებში...

პიონერული აქტივის კლუბის „კოცონის" მორიგ შეკრებაზე ორი მათგანი მოვიწვიეთ: მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი ზინა გუჯაბიძე და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერი, მე-4 საშუალო სკოლის რაზმის ხელმძღვანელი გურამ იონანიძე.

სიტყვას ვაძლევთ პიონერულ რაზმებში კომკავშირის წარგზავნილებს!

**ზინა გუჯაბიძე:**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინმა აღნიშნა, რომ ისინი, ვინც ახლა სკოლის მერხზე სხედან, XXI საუკუნეში ჩვენი სამშობლოს ძლიერების გამგებლები იქნებიანო. საერთოდ, ხშირად მიფიქრია პიონერებთან ურთიერთობაზე, მაგრამ ამ სიტყვებმა უფრო ჩამაფიქრა, მაგრძნობინა, რომ მე, მეჩაის ჩემი სიტყვა უნდა მეთქვა მათთან მუშაობაში. უკვე ერთი წელია, რაც ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის მე-4 რაზმს ვხელმძღვანელობ. არ გამჭირვებია თქვენს თანატოლებთან ურთიერთობა. ისინი შარშან მიიღეს პიონერთა ორგანიზაციის რიგებში.

თავიდანვე ერთი რამ შევნიშნე, პატარები საოცრად მბაძავდნენ. ამან პასუხისმგებლობა გამიორკეცა, ჩაის კრეფის ტემპს ვუმატე, დღეში 150-200 კილოგრამს ვკრეფდი. პიონერებთან მუშაობაში ჩემი განუყრელი მეგობრები გახდნენ გაზეთი „ნორჩი ლენინელი" და ჟურნალი „პიონერი". სისტემატურად ვკითხულობ ამ ჟურნალის ფურცლებზე გახსნილ კლუბს — „კოცონს" და ეს მუშაობაში ძალიან მეხმარება.

ჩემი რაზმის პიონერები უმცროსი ასაკის ბავშვები არიან. მუშაობის ტრადიციებიც მათში აგერ-აგერ იკიდებს ფეხს. შაბათობით რაზმის საბჭო ჩემთან და კლასის ხელმძღვანელთან ერთად აჯამებს კვირის მანძილზე სწავლასა და შრომაში მიღებულ შედეგებს. ამან კარგი ეფექტი გამოიღო. ბავშვებმა სწავლას უმატეს.

პიონერულ დავალებებს ყველა ვინაწილებდით. მაგალითად, ერთიანი ძალით ვიმუშავეთ და რაზმმა პირნათლად შეასრულა ოპერაცია „შავი საბადოსა" და „თეთრი ფარის" მიერ მიცემული დავალებები. პიონერები ჩემი პლანტაციის ხშირი სტუმრებიც არიან.

მე ისინი დავარწმუნე, რომ მეგობრული კოლექტივი ძლიერია. ადამიანებმა ერთმანეთს სიხარული უნდა აჩუქონ, — გვასწავლიან მაკარენკო, გაიდარი, კრუპსკაია, და მეც ასეთი სულისკვეთებით ვზრდი პატარა მეგობრებს.

ჩემი რაზმი ჭიათურის მე-5 საშუალო სკოლის თანატოლებთან მეგობრობს.

რაზმის პიონერებს გართობაც უყვართ, სეირნობაც და საინტერესო წიგნების წაკითხვაც; გამოგიტყდებით და მე კი საამისოდ ზოგჯერ დრო არ მყოფნის, განსაკუთრებით მაშინ, როცა „მწვანე ოქროს" კრეფის სეზონი დგას; ხოლო, როცა ამ საქმეს მოვრჩები, მაშინ, იცოცხლეთ, სულ ერთად ვართ ხოლმე. კინოფილმებსაც ერთად ვნახულობთ. ერთად დავათვალიერეთ ცნობილი რევოლუციონერების ფილიპე მახარაძის, ციმბირელი პაპის ნესტორ კალანდარიშვილის, „მცირე მიწის" ლეგენდარული სარდლის კონსტანტინე ლესელიძის სახლ-მუზეუმები.

32 პიონერია ჩემს რაზმში, ისინი ყოველთვის მღელვარებით ადევნებენ თვალს ჩემს წარმატებებს, წლეულს 19 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოკრეფა ვივალდებულე, მათ იციან, რომ თუ დანაპირებს შევასრულებ, შარშანდელ ვალდებულებას 2 ტონით გადავაჭარბებ!

მე და ჩემი რაზმის პიონერები პირველი სექტემბრიდანვე შევუდგებით საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობის მიერ პიონერთა ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას... მე მათ პიონერულ მუშაობაში დახმარებასთან ერთად ჩაის სწრაფად კრეფის საიდუმლოებასაც ვასწავლი.

**გურამ იონანიძე:**

სკოლებში პიონერებთან სამუშაოდ ზესტაფონის ფერო-შენადნობთა ქარხნიდან 100-ზე მეტი ახალგაზრდა წავიდა: ამ ახალგაზრდებს საწარმოო გეგმების შესრულებაზე ნაკლებ როდი მიაქვთ გულთან საიმედო ცვლის აღზრდის საჭირბოროტო საკითხები.

ქარხნის კომკავშირელებს გვეამაყება, რომ ნდობა გამოგვიცხადეს და რაზმის ხელმძღვანელობა გვანდეს. პიონერებთან ერთად ვამზადებთ ხელსაწყოსა თუ დეტალს, ერთად მივდივართ სალაშქროდ, შაბათობაზე, ექსკურსიაზე, ვატარებთ დისპუტებს, კითხვა-პასუხის საღამოებს და ა. შ.

პიონერებთან ქარხნის კომკავშირელთა მუშაობამ შედეგიც კარგი მოგვცა. იკლო არასრულწლოვანთა დანაშაულმა, ზარმაცების რიცხვმა, იმატა საბავშვო მუსიკისა და წიგნის, თეატრისა და კინოს, მხატვრისა და რევოლუციური დიდების კვირეულებში მოსწავლეთა მონაწილეობამ. დღეს ზესტაფონის რაიონის სკოლებში პიონერებთან მუშაობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი მეჭრეველი

### წყარო

მუხის ფესვებთან წყარო ტიტინებს,
როგორც ყმაწვილი დედის კალთაში,
ქუდად ახურავს მუხის ტოტები
დარში,
ავდარში.
ავდარში,
პაწაწინაა,
სულ პაწაწინა,
ცნობა არ იცის არც მზის,
არც მთვარის...
გულუბრყვილოა, როგორც ყმაწვილი,
და ყმაწვილივით ალალ-მართალი.

### მზის ჩასვლა მთაში

დაგრძელებულა
ხეთა ჩრდილები
და დაებერა ფილტვები ნიავს,
ხეები დგანან
ხელაწვდილები...
დღე მიდის და თან
სინათლე მიაქვს.
ზღაპარსა ჰყვება
პატარა ღელე,
პატარა ბიჭი
თხებს მიდენის და,
ასე მგონია,
მზე იქნევს ხელებს,
ვით მგზავრი
დაძრულ მატარებლიდან...

### ვარ ერთი ვაზი

არა მგონია
ჩემზე უფრო სხვა ბედნიერი, —
ვარ ერთი ვაზი
საქართველოს დიდი ვენახის!..
მომდინარეობს ჩემს სხეულში
სისხლი ხნიერი
და სიყვარული,
სიყვარული
შენსკენ მეძახის!..
მამულო, სულის სათნოებავ
და მღელვარებავ,
ჩემში სისხლია
ცოტნესი და საბა-სულხანის,
ჩემში სისხლია შოთასი
და პაატა ბიჭის...
მე ის სისხლი მაქვს,
რაც დაღვარა
მღვდელმა თევდორემ...
სწორედ ამიტომ
ქართველობა
ძალიან მიჭირს:
ვაითუ ვერ ვარ
მისი ღირსი თანამედროვე.
მაწვალებს ფიქრი
ვერშექმნის და
ბევრის ვერნახვის,
და მაინც ვცდილობ
ჩემს ქვეყანას
რამე ვარგო.
ვარ ერთი ვაზი
საქართველოს დიდი ვენახის!..

### დილა

ვარდისფერია აღმოსავლეთი,
სადღაც მინდორში ტოროლა გალობს,
ცაზე არა ჩანს ღრუბლის ნაფლეთიც,
ცა არის დიდი და სუფთა კალო!

არის სიგრილე... დილაა სანდო,
სიო აღვიძებს მძინარე მუხებს
და ნაკადული ხევში სულ მარტო
ტინებზე იმტვრევს შიშველა მუხლებს.

სადღაც მინდორში ტოროლა გალობს,
ნუშის ფოთოლზე ციმციმებს ცვარი,
ცა არის დიდი და სუფთა კალო
და უშფოთველად რონინებს მტკვარი...

ჩვენი ქარხნის კომკავშირის წარგზავნილები, სოციალისტური შრომის გმირები: გრიგოლ ნანიტაშვილი, კოსტა მდივანი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზაურ ფერაძე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატი ტრისტან გეგეშიძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი დავით ჩიკაშუა.

ამ საქმეში ძალიან გვეხმარება ქარხნის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია;

რაზმში ხაზვის მოყვარულთა წრის ჩამოყალიბებამ უამრავი საზრუნავი გამიჩინა; პიონერები წრის ყოველ მეცადინეობაზე მთხოვენ არქიტექტურის, მანქანათმშენებლობის, არქეოლოგიის საინტერესო საკითხებზე საუბარს. მათ ასეთივე საზრუნავი გაუჩინეს წრის ხელმძღვანელს, ქარხნის ცვლის ოსტატს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურის კურსდამთავრებულს ელეონორა მაღლაკელიძეს და დანარჩენ უფროს მეგობრებს.

როგორც ჩემი ქარხნის წარმატება, ისე მეამაყება მე-4 საშუალო სკოლის წარმატებები. სკოლა 5 წელზე მეტია, რაც მეორეწლიანობის გარეშე მუშაობს; რაზმეული კი მესამე წელია „მარჯვენაფლანგელის“ საპატიო სახელს ატარებს; ამ სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი და სამი რაზმის ხელმძღვანელი საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატებად იყვნენ არჩეულნი. ამასთან ერთად, ერთ საკითხზეც მინდა პიონერული აქტივის ყურადღება შევაჩერო. ვგრძნობ, რომ ფორმალიზმი ყველაზე ნოყიერ ნიადაგს პიონერულ ორგანიზაციაში პოულობს, არა და პირველ რიგში პიონერული აქტივი უნდა ებრძოლოს მის ყოველგვარ გამოვლინებას. „კოცონის“ საბჭოს მინდა ვთხოვო, რომ როგორც კი ამის საშუალება ექნება, პიონერული აქტივის ცხოვრების გაშუქებასთან ერთად, რაზმის ხელმძღვანელების საქმიანობაც განაზოგადოს, ფაქტობრივად ხომ უფროსპიონერხელმძღვანელთან ერთად რაზმის ხელმძღვანელია პიონერული აქტივის წინამძღოლი. განსაკუთრებით მაინტერესებს პიონერებთან ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელთა მუშაობა.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა სტუმართმოყვრულად უღებს კარს ყველა პიონერს, აკი ამიტომაც აგზავნის მისი კომკავშირული ორგანიზაცია ყველაზე რჩეულთ პიონერებთან სამუშაოდ.

●

პიონერული აქტივის კლუბის „კოცონის“ საბჭო თითოეულ თქვენთაგანს თხოვს რედაქციას მოსწეროს რაზმში წარმოებიდან მოსული ხელმძღვანელის დახმარებით ჩატარებულ მუშაობაზე... გაგვაცნოს რაზმის უფროსი მეგობრები, ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც მათთან სამუშაოდ კომკავშირმა გამოგზავნა.

ბ. ფაილოძე



# ზნეობის ანბანი

## პასუხისმგებლობა—

ვინმეზე დაკისრებული, ანდა ვინმეს მიერ აღებული ვალდებულება ანგარიში ჩააბაროს თავის რაიმე ქმედობაზე და პასუხი აგოს მისი შესაძლო შედეგების გამო.

რაზე აგებს ადამიანი პასუხს? ყველაფერზე, რაც დედამიწაზე ხდება? თუ რაიმე უმნიშვნელოზე?

არსებობს რონის შესანიშნავი წიგნი „ბრძოლა ცეცხლისათვის“. მასში მოთხრობილია წინაისტორიული ხანის ადამიანებზე, როგორც ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისინი. ჩვენამდე მოღწეული ცნობები ხომ ძალზე ღარიბია! ვინც ეს წიგნი წაიკითხა, უთუოდ ემახსოვრება მისი შინაარსი: ბიჭუნას ცეცხლის დაცვა დააკისრეს: იმ დროს ადამიანებმა არ იცოდნენ ცეცხლის მოპოვება და ერთხელ გაჩენილ ცეცხლს ჩაუქრობლად ინახავდნენ. მაგრამ ბიჭუნას ჩაეძინა და ცეცხლი ჩაქრა.˙ ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი ტომი განწირული იყო სიცივის, შიმშილის და, შესაძლოა, დაღუპვისთვისაც.

როდესაც ტომმა ბიჭს ცეცხლი ჩააბარა, ამით მას საკუთარი თავი, თავისი სიცოცხლე ანდო. ბიჭმა კი ისინი სასიკვდილოდ გასწირა. ამისათვის, იმდროინდელი წესის თანახმად თვითონ ბიჭი იყო სიკვდილის ღირსი.

უკვე ამ მაგალითითაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ სხვისთვის პასუხისგება ნიშნავს — შეგეძლოს საკუთარ თავზე პასუხისგება. მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველგვარ პირობებში ფლობს საკუთარ თავს, რომელსაც ძალუძს დათმოს საკუთარი ინტერესები, არის ღირსი მაღალი უფლებისა — პასუხი აგოს სხვებზე.

მაგრამ შორეულ წარსულში ერთი ადამიანის შეცდომას ანდა უპასუხისმგებლობას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი საშინელი შედეგი, როგორც დღეს. ხალხი ცოტა იყო, ისინი ცალკეულ ტომებად ცხოვრობდნენ თავთავიანთ მიწაზე, რომელიც უკიდეგანო სივრცედ მიაჩნდათ. ახლა კი, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვცხოვრობთ არც თუ ისე დიდ პლანეტაზე. კოსმოსიდან, კოსმონავტების თვალით უკვე დავინახეთ ჩვენი დედამიწა. ის პატარაა და მასზე მცხოვრები ადამიანები მტკიცედ არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ჩვენი დედამიწაც თითქოს კოსმოსური ხომალდია, ჩვენ ყველა ერთად კი — მისი ეკიპაჟი. სავსებით გასაგებია, რა ბევრია დამოკიდებული ხომალდის ეკიპაჟის შეთანხმებულ მუშაობაზე.

როდესაც პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობენ, ყველაზე ხშირად მაგალითები ფრონტული ცხოვრებიდან მოჰყავთ. მართლაც ფრონტზე, განსაკუთრებულ პირობებში, ბევრი ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილია დამოკიდებული ერთი ადამიანის მოქმედებაზე. კრიტიკულ მომენტში შენ შესძელი დანარჩენების გაყოლიება, შენი მამაცობით მათი აღტკინება და ამის შედეგად ერთად მიაღწიეთ გამარჯვებას. ხოლო თუ ბრძოლის ველი დასტოვე, მებრძოლებში შეშფოთება და არეულობა შეიტანე,—ეს უკვე მარცხია და დაღუპვა. მაგრამ განა მარტო ფრონტზე ხდება გმირობა? განა მარტო ფრონტზე ხდება ადამიანების გადარჩენა?

პასტერი მშვიდობიანი კაცი იყო, შესაძლოა ბრძოლის ველზე მას ვერც ეჩვენებინა მამაცობის მაგალითი. მაგრამ მას ჰქონდა მეცნიერული სიმამაცე. მან ისეთ გამარჯვებას მიაღწია, რომელიც კაცობრიობისათვის გაცილებით უფრო ღირებულია, ვიდრე მისი თანამემამულის — ნაპოლეონის ყველა გამარჯვება ერთად აღებული. ნაპოლეონის გამარჯვებებს, ბოლოს და ბოლოს კი მის მარცხით დასრულებულ გზას, ადამიანების სიცოცხლე მიჰქონდა. პასტერმა კი ისეთი აღმოჩენა გააკეთა, რომელმაც მილიონების სიცოცხლე იხსნა. ბევრი ჩვენგანი დღეს ცოცხლობს იმის წყალობით, რომ პასტერის მიერ აღმოჩენილმა აცრის მეთოდმა ადამიანებს საშუალება მისცა დაემარცხებინათ შავი ჭირი და ყვავილი.

განა მხოლოდ დიდი ნიჭი იძლევა უდიდესი აღმოჩენების შესაძლებლობას? დიდი აღმოჩენებისათვის ასევე აუცილებელია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. პასუხისმგებლობა ადამიანების გამო? დიახ. მაგრამ ასევე საკუთარი თავის გამოც. დიდი მეცნიერი, დიდი მწერალი, პირველ რიგში დიდი მშრომელია. იგი დაჯილდოებულია უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობით იმის გამო, რაც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია. იგი კი არ ფლანგავს თავის შესაძლებლობებს, არამედ შრომით ამრავლებს მათ.

პასტერის აღმოჩენა დროის მიხედვით დაშორებული იყო მის პრაქტიკულ განხორციელებასთან. მაგრამ არის აღმოჩენები, რომლებიც მეცნიერის წინაშე იმთავითვე აყენებენ კითხვას: რა მოგაქვს ადამიანებისათვის — სიკეთე თუ განადგურება?

ფიზიკოსებმა, რომლებიც ატომის გახლეჩაზე, ურანის საქვაბის შექმნაზე მუშაობდნენ, იცოდნენ, რომ მათი მუშაობის ერთ-ერთი შედეგი იქნებოდა ატომური ბომბი. მაგრამ რას ნიშნავდა ეს ბომბი ჰიტლერის ხელში? იგი ნიშნავდა კაცობრიობის დაღუპვას, ადამიანების გადაქცევას მახინჯებად და მონებად. გერმანელი ფიზიკოსები გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას და ყველა როდი იყო თანახმა მიეცა ჰიტლერისთვის ატომური ბომბი. მართალია, ეს არ იყო მთავარი მიზეზი, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი კი იყო, რომლის გამოც ფაშისტურ გერმანიაში ვერ მოასწრეს ატომური ბომბის შექმნა.

დღეს ადამიანი, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი აგებს პასუხს ყველაფერზე ამ ქვეყნად. ათასობით წლების მანძილზე იგი ებრძოდა ბუნებას, როგორც მტერს, ახლა იგი პასუხს აგებს მასზე, როგორც უფროსი. იგი პასუხს აგებს ჰაერზე, რომელიც გარს არტყია ჩვენს პლანეტას, ოკეანეებზე, ტყეებსა და მდინარეებზე, ყველაფერზე, რაც იქ ცხოვრობს. ამ თავის პასუხისმგებლობას ადამიანი ვერავის ვერ გადააკისრებს, რადგან მხოლოდ მას აქვს მინიჭებული უმაღლესი ძალა: გონების ძალა. და სწორედ ამიტომ მისი ქმედობა უნდა იყოს გონიერი და ადამიანური.

ვინ არის ეს ადამიანი? ეს ჩვენ ვართ ყველანი და თითოეული ცალ-ცალკე.

ყველა მომავალი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც შემდგომში უნდა განაგოს ხალხების ბედი, ყველა დიდი მეცნიერი, მწერალი, ფილოსოფოსი, რომელთა სახელები ჯერ არავინ იცის, ახლა სასკოლო მერხებს უსხედან. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იფიქრონ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გაჩნდება შემდეგ, დაკისრებულ საქმესთან ერთად. ის, ვინც პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარ თავში სიყმაწვილეშივე არ აღზარდა, ამას სიჭარმაგეში ვერ ისწავლის.

გრ. ბაკლანოვი

**დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის მიმდინარე წლის ოქტომბერში უსრულდება დაბადების 150 წლისთავი**

ლევ ტოლსტოი

# ძროხა

ნამდვილი ამბავი



იყო ერთი ქვრივი — მარია. შინ დედა და ექვსი შვილი ჰყავდა. ღარიბულად ცხოვრობდნენ, მაგრამ უკანასკნელი ფულით ერთი წაბლა ძროხა იყიდეს, რომ ბავშვებისათვის რძე ჰქონოდათ. მარიას უფროსი შვილები წაბლას მინდორში აბალახებდნენ და შინ ნარჩენებით აპურებდნენ. ერთხელ დედა ეზოდან გავიდა, უფროსი ბიჭი მიშა კი კარადაზე აბობღდა პურისათვის, ჭიქა გადმოაგდო და გატეხა. მიშას შეეშინდა, დედა გამიწყრებაო, ჭიქის დიდი ნატეხები აკრიფა, ეზოში გაიტანა და ნაკელში ჩაფლა, პაწაწინა ნაფშვენები კი მოაქუჩა და გეჯაში ჩაყარა. დედამ ჭიქა მოისაკლისა, სადააო იკითხა, მაგრამ მიშკამ არაფერი უთხრა და, რა გაეწყობოდა, ჭიქა ვითომ არც ჰქონდათ.

მეორე დღეს დედა წაბლას გეჯიდან სალაფავს აძლევდა, დაინახა, რომ ძროხა უგუნებოდ იყო, საჭმელს თავი მიანება და არა და არ მიეკარა. ძროხა ხომ უნდა მოერჩინათ და წამლობის მცოდნე დედაბერს დაუძახეს. დედაბერმა თქვა: „ძროხა ვერ გადარჩება, დაკალით, ხორცად მაინც ივარგებსო“. მეზობელს დაუძახეს და სთხოვეს: ძროხა დაგვიკალიო. ისიც საქმეს შეუდგა. ბავშვებმა გაიგონეს, თუ როგორ აბღავლდა განწირული წაბლა. ყველანი ღუმელზე მოქუჩდნენ და ატირდნენ. როცა წაბლა დაკლეს, გაატყავეს და ნაჭერ-ნაჭერ აქნეს, ყელში შუშის ნამსხვრევები ნახეს. ამით მიხვდნენ: სალაფავში შუშა რომ არ შეჰყოლოდა, წაბლა ახლაც ცოცხალი იქნებოდა. ეს რომ მიშამ შეიტყო, აღრიალდა და დედას ყველაფერში გამოუტყდა. დედამ არაფერი უთხრა და თვითონაც ატირდა. მერე თქვა:

— მორჩა, ჩვენი წაბლა დავკალით. ახალი ძროხის საყიდელი ფული არა გვაქვს. რა ვქნათ, ეს უნცრუა ბალღები ურძეოდ როგორ დავარჩინოთო?

მიშა უფრო ხმამაღლა აღრიალდა და როცა დანარჩენები ძროხის თავის ლაბას შეექცეოდნენ, ღუმელიდან არ ჩამოსულა. ყოველდღე ხედავდა სიზმარში, როგორ ეჭირა ბიძია ვასილს რქით მკვდარი წაბლას თავი, ხედავდა მკვდარი წაბლას ღიად დარჩენილ თვალებსა და წითელ კისერს. მას აქეთ ბალღებს რძე არ ჰქონდათ, დღესასწაულებზე თუღა დალევდნენ, როცა მარია მეზობლებისაგან ქილა-ქილა ჩამოინათხოვრებდა. ერთხელაც, იმსოფლელი მებატონის მეუღლეს ჩვილი ბავშვისთვის ძიძა დასჭირდა. დედაბერმა უთხრა თავის ქალიშვილს, მარიას:

— მე გამიშვი, წავალ, დავუდგები ძიძად, შენ კი, როგორმე, ღვთის შეწევნით, იქნებ მარტოკაც გაუძლვე ბალღებს. მე კი, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა, ამ ერთ წელიწადში იქნებ ძროხის საფასურს მოვუყარო თავიო.

ასეც მოიქცნენ. დედაბერი ქალბატონს დაუდგა, მარიას კიდევ უფრო გაუძნელდა ბავშვების მოვლა და რჩენა. ბავშვები მთელი წელი ურძეოდ იყვნენ. გახდნენ და ფერი დაკარგეს. წელიც მიიწურა, დაბრუნდა შინ დედაბერი და ოცი მანეთი მოიტანა.

— აი, შვილო, — ეუბნება მარიას, — ახლა კი ვიყიდით ძროხასო.

გაიხარა მარიამ, გაიხარეს ბავშვებმა. მარია და დედამისი ბაზარში წავიდნენ ძროხის საყიდლად. მეზობელ ქალს სთხოვეს, დარჩენილიყო ბავშვებთან, ძია ზახარას კი შეეხვეწნენ, წამოგვყევი ძროხა შეგვარჩევინეო. ღმერთს მფარველობა შესთხოვეს და ქალაქისაკენ გასწიეს. ბავშვები დანაყრდნენ და ქუჩაში გავიდნენ, გზას გაჰყურებდნენ: ძროხა მოჰყავთ თუ არაო, თან მკითხაობდნენ: ნეტა ჩვენი ძროხა წაბლისფერი იქნება თუ შავიო, ამბობდნენ, ასე და ასე ვაბალახებთო, ასე და ასე ვაჭმევთო, დიდხანს, დიდხანს, მთელი დღე ელოდნენ. სახლიდან მთე-

ლი ვერსით წასულიყვნენ, წინ შევეგებოთ ჩვენს ძროხასო, მაგრამ შებინდება რომ დაიწყო, შინ მიბრუნდნენ. უცებ, ხედავენ — ოთხთვალა მოდის, ზედ ბებო შემომჯდარა, ოთხთვალას კი უკან ბორბალზე ჭრელი ძროხა უბია, დედა ძროხას ფეხდაფეხ მოჰყვება და წკნელით მოერეკება. შეეგებნენ, შემოეხვივნენ ბავშვები, გარს უვლიან ძროხას, გამოაქვთ პურის ნარჩენები, ბალახბულახი და აჭმევენ, დედა ქოხში შევიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და რომ გამოვიდა, ხელსახოცი და საწველელი გამოიტანა. ძროხას მიუცუცქდა, ჯიქნები მოუწმინდა, „ღმერთო, შენ შეგვეწიეო“ და წველა დაიწყო, ბავშვები კი ირგვლივ შემოუსხდნენ და თვალს არ აცილებდნენ, ჯიქნებიდან დედის თითებშუა როგორ სტვენა-სტვენით მოჩხრიალებდა რძე და საწველელში იღვრებოდა. დედამ ნახევარი ქეთლი რძე ჩამოწველა, სარდაფში შეიტანა და მერე, ვახშმად თითო-თითო ქოთანი ჩამოურიგა შვილებს.

# ლომი და ფინია

ნამდვილი ამბავი

ლონდონში ხალხს მხეცებს უჩვენებდნენ და ამისათვის ხალხი ან ფულს იხდიდა, ან ძაღლები და კატები მიჰყავდა მხეცების საკვებად.

ერთ კაცსაც მოუნდა მხეცების ნახვა. გზაში ფინია დაიჭირა და სამხეცეში მიიყვანა. კაცი მხეცების სანახავად შეუშვეს, ფინია კი გამოართვეს და ლომს შეუგდეს გალიაში შესაჭმელად.

ფინიამ კუდი აიპრიხა და გალიის კუთხეში მიიჭუჭკა. ლომი თავზე დაადგა და დასუნა.

ძაღლი ზურგზე დაწვა; თათები ზევით ასწია და კუდის ქიცინი დაიწყო.

ლომმა ტორით გადააბრუნა ფინია.

ძაღლი წამოხტა და ლომის წინ უკანა ფეხებზე დადგა.

ლომმა უყურა, უყურა და თავი მიანება.

როცა მომვლელმა ლომს ხორცი შეუგდო, მან ერთი ნაჭერი ძაღლს მოუგლიჯა.

საღამოს, როცა ლომი დასაძინებლად დაწვა, ფინია მიუწვა, თავი ტორზე დაადო და ასე დაიძინა.

ამის შემდეგ ლომი და ის ფინია ერთად, გალიაში ცხოვრობდნენ. ლომი მას არაფერს უშავებდა, მასთან ერთად ჭამდა, მასთან ერთად ეძინა, ზოგჯერ ეთამაშებოდა კიდეც.

სამხეცეში, ერთხელ, ვიღაც ბატონი მობრძანდა და თავისი ფინია იცნო. სამხეცის პატრონს განუცხადა, ეგ ფინია ჩემია და გამაყოლეთო. პატრონი ყაბულს იყო, ძაღლის გაგამოყვანაც უნდოდა გალიიდან, მაგრამ ლომი გადაირია და ღრენით აიკლო იქაურობა.

ასე დაჰყვეს გალიაში ლომმა და ფინიამ მთელი წელიწადი.

წლისთავზე ფინია დაავადდა და მოკვდა. ლომმა ჭამა შეწყვიტა, მკვდარ ფინიას ყნოსავდა და ტორით ელაციცებოდა.

როცა მიხვდა, რომ ფინია მომკვდარიყო, ფაფარი აებურძგლა, ირტყა და ირტყა ფერდებში კუდი, მერე გალიის კედლებს ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქით და ურდულსა და იატაკს დაუწყო ღრღნა.

მთელი დღე ასე ითავცემა, წრიალებდა და ღრიალებდა, შემდეგ მკვდარი ფინიას გვერდით მიწვა და მიყუჩდა. მომვლელს უნდოდა მკვდარი ფინია გადაეგდო, მაგრამ ლომი არავის არ აკარებდა მას.

სამხეცის პატრონმა იფიქრა, სხვა ფინია თუ მივუყვანე, ლომს მწუხარება გადაუვლისო, და მასთან გალიაში მართლაც შეუშვა სხვა ძაღლი, მაგრამ ლომმა ის უბედური მაშინვე დაფლითა. შემდეგ თავისი მეგობარი მკვდარი ფინია წინა ტორებით გულში ჩაიკრა და ასე იწვა ხუთი დღე.

მეექვსე დღეს ლომი მოკვდა.



# ბლოხინის ნამბობი,

## თუ რატომ უყვარს მას თავისი ძმა

მე ძმა ისედაც მეყვარებოდა, მაგრამ უფრო იმიტომ მიყვარს, რომ ჩემს მაგივრად წავიდა ჯარში. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: კენჭი ყარეს, ჯარში წასვლა მე მერგო, მე კიდევა მაშინ ერთი კვირის დაქორწინებული ვიყავი. არ მინდოდა ახალმოყვანილი ცოლის მიტოვება.

დედამ ტირილი მორთო:

— პეტრუშკა ჯარში როგორ წავიდეს, ბავშვიაო.

რა გაეწყობოდა, უნდა გავმზადებულიყავ საჯარისკაცოდ. ცოლმა ხალათი შემიკერა, ფული მომიქუჩა და უკვე ხვალ უნდა წარვმდგარიყავ ქალაქში კომისიაზე. დედა თავს იკლავდა, ტიროდა, მეც, ხვალინდელ დღეზე ფიქრით ჩემი მემართებოდა, გული მეკუმშებოდა, თითქოს ნაღდი სიკვდილისათვის ვყოფილიყავ განწირული.

საღამოს ყველანი ვახშმად დავსხედით. პირში ლუკმა არავის გადასდიოდა. უფროსი ძმა, ნიკოლაი, ღუმელზე იწვა და ხმას არ იღებდა. ჩემი ერთი კვირის მოყვანილი ქალი ქვითინებდა. მამა კრიჭაშეკრული იჯდა. რახანია დედამ საჭმელი შემოდგა მაგიდაზე, მაგრამ არავინ მიჰკა-

რებია. დედამ ნიკოლაის ასძახა, ჩამოდი, ჭამეო. ისიც ჩამოვიდა, პირჯვარი გადაიწერა, მაგიდას მიუჯდა და თქვა:

— რა თავს იკლავ, დედი, პეტრუშკას მაგივრად მე წავალ ჯარში. მე მაგაზე უფროსი ვარ, როგორმე მოვუვლი თავს, არ დავიკარგები, ვიმსახურებ და უკან მოგივალთ. შენ კი, ჩემს აქ არყოფნაში ჩვენს დედ-მამას და ჩემს ცოლს უნდა მიხედოო.

გამეხარდა, დედაც დამშვიდდა. ნიკოლაის გამზადებას შევუდექით.

დილით, როცა გამეღვიძა და ვიაზრე, რომ ნიკოლაი ჩემს მაგივრად მიდიოდა, თავი შემძაგდა. ვეუბნები:

— შენ ნუ მიდიხარ, ნიკოლაი, ჩემი რიგია, კენჭი მე შემხვდა-მეთქი.

ის კიდევ ხმას არ იღებს და მიდის. მეც მივდივარ. ორივენი წავედით ქალაქში, გამოვცხადდით საცა საჭიროა. ისიც წარუდგა კომისიას, მეცა. ორივე ტალიკ-ტალიკი ბიჭები ვართ; არც ერთი დაგვიწუნეს და არც მეორე. უფროსმა ძმამ შემომხედა, გაიცინა და მითხრა:

— გეყოფა, პიოტრ, შინ წადი, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ხომ ხედავ, მეხალისება და მივდივარო...

ავტირდი, ავტირდი და გამოვწიე შინისაკენ. ახლა კი ძმა რომ გამახსენდება, ასე მგონია, მისთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ-მეთქი...

თარგმნა ჯ. თითმერიამ

მხატვარი დ. ზარაშიშვილი



# როგორ მოკვდა ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა ავად რომ გახდა, მთიდან ჩამოიყვანეს და თავისი ძმის, სანდრო რაზიკაშვილისას დააწვინეს. ავადმყოფობა გართულდა და ვაჟა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ვარაზისხევთან, ახლანდელ უნივერსიტეტის შენობაში. აქ, თბილისის განაპირას, მაშინ მეტი სიჩუმე იყო — ეს ამბავი 1915 წლის აგვისტოში ხდებოდა. ვაჟას სანახავად ხშირად დადიოდნენ მისი მეგობრები; ერთი მათგანი, იოსებ იმედაშვილი*, ყოველდღე მასთან იყო, ძმასავით უვლიდა, ანუგეშებდა, გაზეთებს უკითხავდა.

იმ დროს პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. დიდძალი ქართველი ახალგაზრდობა იბრძოდა გერმანია-ავსტრიისა და ოსმალეთის ფრონტებზე. ვაჟას აინტერესებდა ქართველი ახალგაზრდობის ბედი. იოსები გაზეთებსაც უკითხავდა და იმასაც უყვებოდა, რაც ამბად მოდიოდა ფრონტიდან და გაზეთებში არ ეწერა. ვაჟა ხალისით უსმენდა.

იმ დღეს კი, 9 აგვისტოს, ვაჟას

* ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ბავშვებმა ფერდობი აირბინეს, ტყე გალიეს და ჟივილ-ხივილით მოეფინნენ ამწვანებულ მდელოს, რომლისათვისაც ხალხს ძველთაგანვე „კეპნები" შეურქმევია.

— შეჩერდით, — მიმართა მათ მასწავლებელმა, — შეხედეთ ამ არემარეს, ხედავთ, რა ლამაზი და თვალწარმტაცი სანახაობაა ჩვენს ირგვლივ!? აგერ, სულ მაღლა, დათოვლილი, ცამდე აზიდული მთის მწვერვალები, დაბლა — ნაშალი ქვებით ჩამოზვავებული, დანისლული მთის თხემები. აი, ქუჩიანი მდელო; ქვემოთ მწვანე სამოსელში გამოწყობილი ტყე, ხოლო იქ, სულ დაბლა, თვალუწვდენელი ალაზნის ველი. აი, რა ნაირგვარი მცენარეებითა და ყვავილებით არის შემკული ეს არემარე. ერთი შეხედვით აქ, ბუნების წიაღში, თითქოს მშვიდად მიმდინარეობს ცხოვრება... მაგრამ იცით, რა დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული ბუნებაში მცენარესა და გარემოს შორის? თუ მცენარე მისთვის უჩვეულო პირობებში მოხვდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იწყება და მხოლოდ მაშინ წყდება, როცა ბუნება თავისას გაიტანს — ან მოსპობს მცენარეს, ან შეიგუებს... ახლა ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ბრძოლის ამბავს გიამბობთ. ეს ბრძოლა მცენარეებსა და გარემოს შორის გაიმართა კუნძულ რეუნიონზე ნავსადგურ სენ-დენის მიდამოებში ოცდაათი წლის წინათ. ნავსადგურ სენ-დენში გემი ჩამოდგა, ღუზა ჩაუშვა და საყვირით ამცნო იქაურობას მორიგი ცურვიდან დაბრუნება.

სანაპიროზე თავმოყრილი ხალხის ჟრიამულმა იქაურობა აავსო, ისმოდა სიხარულისა და აღტაცების შეძახილები. დამხვდურთა შორის პატარა ჯონიც იყო, რომელსაც ხელები მაღლა აეწია, ხელსახოცს აფრიალებდა და ხმამაღლა გაჰკიოდა; დედი! მამიკო მოვიდა, ჩემი მამიკო დაბრუნდა.

— ჯონ!, რომ იცოდე, რა მოგიტანე! ჩვენს ქვეყანაში უცნობი ხეხილის, ატმის ნერგები, მათ შორის უძვირფასესია პატარა ბიჭუნას მიერ გამოგზავნილი ატმის კურკა და ბარათი. აი, ჩაიბარე — უთხრა თომამ. გახარებულმა ჯონმა ატმის ნერგები სარდაფში დააბინავა, შემდეგ მამასთან მიირბინა და სთხოვა, მამიკო! მე ხომ რუსული არ ვიცი, წამიკითხე, რა წერია აქ, — და ბიჭუნამ მამას ბარათი გაუწოდა. თომამ ბარათი გაშალა, ჯონი გვერდით მოისვა და კითხვა დაიწყო:

„ჯონ, ჩვენო უცნობო მეგობარო, ამ საჩუქარსა და ბარათს შორეული ქვეყნიდან, საბჭოთა კავშირის პატარა კუთხიდან — საქართველოდან გიგზავნი. შენმა მამიკომ, ძია თომამ, ინახულა ჩვენი მეხილეობის მეურნეობა, სადაც მამაჩემი აგრონომად მუშაობს. ძია თომას მეურნეობის ნაირგვარი მცენარეებიდან განსაკუთრებით მოეწონა ჩვენებური ატამი.

ძია თომასაგან შევიტყვე, რომ მას კუნძულ რეუნიონზე ჩემი კბილა ბიჭი, ჯონი ჰყავს და გადავწყვიტე, შენთვის ეს საჩუქარი გამომეგზავნა. გახარე, ჯონ, ეს ძვირფასი ხეხილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფრის ხალისი დაეკარგა. წინა დღეებშიაც ატყობდა იოსები, რომ ავადმყოფს თანდათან ელეოდა ღონე, მაგრამ ის დღე მაინც განსაკუთრებით შავად გათენდა. ვაჟამ უცებ ძალზე ცუდად იგრძნო თავი; ამოიკვნესა და ინატრა:

— ნეტავი მთაში ვიყო ახლა!.. მენატრება მწვანე ტყე, ხის ტოტები, ხასხასა სურო!.. გავეხვეოდი ტოტებსა და სუროში...

— ახლავე მოგიტან! — უთხრა იოსებმა. ვარაზისხევში წავიდა, ნაზი, მწვანე ტოტები მოამტვრია ხეებს, სუროს ფოთლები დაკრიფა და ვაჟას მიუტანა. ვაჟას გაუხარდა და სთხოვა: გამახვიე ტოტებში და სუროს ფოთლები მკერდზე დამაყარეო. იოსებმა თხოვნა შეუსრულა.

ვაჟამ ხელით მოსინჯა ტოტები და მიუალერსა. მერე სუროს ფოთლები შუბლსა და სახეზე დაიყარა და გაირინდა. ერთმა ხანმა სიჩუმეში განვლო.

მერე ვაჟამ კმაყოფილი ღიმილით ამოისუნთქა და ჩუმად უთხრა იოსებს:

— გმადლობ, ჩემო იოსებ! ახლა თავი მთაში მგონია! ვხედავ მაღალ მთებს, მესმის ხის ტოტების შრიალი. ფართო თვალით მიყურებენ სუროს ფოთლები...

თვითონ კი თვალები ნელა-ნელა უქრებოდა. უნდოდა, ერთხელ კიდევ მიალერსებოდა ტოტებს, მაგრამ უმტყუნა ხელმა. ავადმყოფობამდე ვაჟას ყოველთვის დიდი ხანჯალი ეკიდა წელზე და მსუბუქი იყო ის ხანჯალი მის ვაჟკაცურ ხელში... ახლა კი ერთი ტოტიც ვერ ასწია... ჩამოუვარდა მარჯვენა.

ატირდა იოსები...

ვაჟა დაიძაბა. გააქრქოლა. შუბლზე ოფლმა დაასხა. ძალა მოიკრიბა და ჩუმად უთხრა იოსებს:

— ტირი, იოსებ?.. მოვიდა სიკვდილი?

— არა, ვაჟა! არ მოვა სიკვდილი! — ფუჭი იმედის სალაროში მხოლოდ ეს სიტყვები მოძებნა იოსებმა.

ვაჟა მიუხვდა: თვალებში ცრემლი ჰქონდა იოსებს, ხოლო ტუჩებზე ფუჭი იმედის ათინათი. ვაჟას კი თვალები უკვე ეხუჭებოდა...

ნელა და ჩუმად, მწვანე ტოტებსა და სუროს ფოთლებში დახუჭა ვაჟამ თვალები...

იწვა პოეტი მწვანე ტოტებში, მწვანე სუროში, ქართული ბუნების მარადმწვანე ფერში... უსიტყვოდ, უძრავად...

გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა, კი არ მოკვდა, გარდაიცვალა და სამუდამოდ დაიბუდა მშობლიური ხალხის გულში.

**როდიონ ქორქია**

---

# საოცარი ნერგები

თქვენს მხარეში და ყოველთვის, როდესაც მისი გემრიელი ნაყოფით ისიამოვნებ, მოიგონე შენი მეგობარი საქართველოდან.

პიონერული სალამით ზაზა მჭედლიშვილი."

ჯონი მეტად გაახარა უცხო საჩუქრების მიღებამ და თავისი სურვილით შეარქვა სახელები. მან საბჭოთა კავშირიდან მიღებულ ატმის ნერგს — „პიონერი" უწოდა, საფრანგეთიდან ჩამოტანილ ნერგს — „ფრანგულა", ატმის კურკიდან ამოზრდილ მცენარეს კი „კურკიდანა".

ამრიგად, ჯონმა ნერგებს სახელები დაარქვა და ერთ მშვენიერ დღეს, მამის დახმარებით, შესაფერისი ადგილი მიუჩინა ბაღში. დარგულმა ატმებმა კარგად გაიხარეს, აღმოცენდა „კურკიდანაც". ატმებმა მალე განივითარეს ფესვები, ტოტები; ფოთლებით შეიმოსნენ, შემდეგ კი ჩვეულ შრომას შეუდგნენ — ფოთლებით ჰაერიდან ნახშირორჟანგს ითვისებდნენ, ფესვებით წყალსა და საკვებ ნივთიერებებს იმარაგებდნენ; სინათლისა და ქლოროფილის მარცვლების დახმარებით შაქრებს, ცილას, ცხიმს და სხვა ორგანულ ნივთიერებებს ქმნიდნენ; ახალი ტოტებითა და ფოთლებით იმოსებოდნენ და ყოველწლიურად ტანს იყრიდნენ.

— ჯონი მოუთმენლად ელოდა გემრიელი ნაყოფით ხეების ჩატკბარუნებას — განაგრძობდა მასწავლებელი, — მაგრამ ატმებმა მეხუთე წელსღა დაამთავრეს ზრდა, და სულ შეიცვალნენ...

მეექვსე წელს ფოთლების გარდა ლამაზი ვარდისფერი ყვავილებითაც შეიმოსნენ, შემდეგ ყვავილი გაქრა და მათ მაგივრად მწვანე ბუსუსიანი ნასკვები გამოჩნდა. ბუსუსიანი ნაყოფები თანდათანობით გაიზარდნენ, ფერი და ხორცი იცვალეს და წვნით შეივსნენ.

შემოდგომაზე, როდესაც ნაყოფი კარგად მომწიფდა, ჯონი პატარა დაიკოსთან ერთად ატმებს ეწვია, დაკრიფა და როდესაც პირი ჩაიტკბარუნა, მაშინვე გაიხსენა თავისი მეგობარი ზაზა, რომელმაც ეს საჩუქარი გამოუგზავნა.

— „პიონერის" ნაყოფის კურკიდან ახალ ატამს აღვზრდი, — თქვა ჯონმა, — ვნახოთ, როგორ გაიზრდება აქ. — ჯონმა კურკა მიწას მიაბარა და მისგან მომავალში აღმოცენებულ მცენარეს „ადგილობრივი კურკიდანა" შეარქვა.

„ადგილობრივი კურკიდანას" ღივმა მალე ამოყო თავი ნიადაგიდან, პირველი ყლორტი განივითარა, ფოთლებით შეიმოსა და სხვა ატმების მსგავსად ზრდა-განვითარებას შეუდგა, მაგრამ რა იცოდა ჯონმა, რომ იგი მცენარის საოცარი ცვლილების მოწმე გახდებოდა იმავე წლის ბოლოს, როდესაც ყველა ატამმა ზრდა-განვითარება დაამთავრა და ფოთლების დაცვენის შემდეგ მოსვენებას მიეცა, „ადგილობრივმა კურკიდანამ" მწვანე სამოსელი შეიტოვა.

— აი, საოცრება, — გაიძახოდა ჯონი, — ხედავ, რა უცნაურად განვითარდა „ადგილობრივი კურკიდანა" — ფოთოლცვენაზე უარი განაცხადა. რატომ, რამ აიძულა იგი, რად აირჩია სხვა ატმებისაგან განსხვავებული ცხოვრების წესი? — კითხულობდა ჯონი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და მომავალში მეტი მოულოდნელობა ელოდა.

ჯონი ხედავდა — „კურკიდანა", „პიონერი" და „ფრანგულა" თითქმის ჩვეულებრივად იზრდებოდნენ, ახალ ტოტებს იყრიდნენ და ყოველწლიურად შიშვლდებოდნენ, მაგრამ მაინც ამჩნევდა, რომ მათი ბუნებაც იცვლებოდა. აი, მაგალითად, „კურკიდანა" თუ პირველ წლებში უფოთლოდ მხოლოდ თვენახევარი იდგა, ახლა უფრო ნაკლებ ხანს ისვენებდა და მალე ახალი ფოთლებით იმოსებოდა.

ფოთოლცვენის პერიოდი შეუმცირდა „პიონერსაც“. ამ უმნიშვნელო ცვლილებებმა თანდათანობით თავი მოიყარეს, შემდეგ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგეს და სხვადასხვა დროს უცნაურად გარდაქმნილნი წარმოუდგნენ ჯონს.

— „კურკიდანას“ აღმოცენებიდან თორმეტმა წელმა განვლო, — განაგრძო თხრობა მასწავლებელმა, — დადგა შემოდგომა, ფოთოლცვენის დრო და როდესაც ჯონმა ატმები მოინახულა, კვლავ გაოცდა — „ადგილობრივ კურკიდანას“ მსგავსად „კურკიდანაც“ შეფოთლილი იდგა, ისიც მარადმწვანე მცენარედ გადაქცეულიყო. „პიონერი“ კი გაშიშვლებული იდგა, ფოთლები დასცვენოდა.

გადიოდა წლები. „პიონერი“ განაგრძობდა ძველებურ ცხოვრებას. ყოველწლიურად ფოთლებს იცვლიდა და შემდეგ ახალი სამოსელით იმოსებოდა. ჯონი დარწმუნებული იყო, რომ დამთავრდა ატმების საოცარი გარდაქმნა და რომ „პიონერი“ ფოთოლცვენია მცენარედ დარჩებოდა, მაგრამ...

გარემო პირობებთან ბრძოლაში დამარცხებას რომ ვერც „პიონერი“ გადაურჩებოდა, ეს მისი დარგვიდან მეოცე წელს გამოირკვა, სწორედ მეოცე წელს მანაც მიატოვა ყოველწლიური ფოთოლცვენა და ისიც მარადმწვანე მცენარედ გარდაიქმნა.

ასე დამთავრდა ბრძოლა გარემოსა და უცხო მცენარეთა შორის, მაგრამ იგი დამთავრდა არა მათი მოსპობით, არამედ საოცარი ცვლილებით, ადგილობრივ პირობებთან შეგუებით.

მაგრამ ცვლილებები ამით როდი დამთავრდა. ატმებმა ყვავილობა და ნაყოფმსხმოიარობაც ახლებურად დაიწყეს. მათზე, ყოველწლიურად, ჯერ ვარჯის ქვედა ტოტები ყვავილობდა, ვარდისფერი ყვავილებით იმოსებოდა, შემდეგ შუა, ხოლო კენწეროს ტოტები ორი-სამი თვის შემდეგ გაყვავილდებოდა, ამიტომ ერთ ხეზე ერთდროულად განვითარებული იყო ყვავილები, ნასკვები, მკვახე და მწიფე ნაყოფები.

— როგორც ლიმონზე, — ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

— ბავშვებო, ასე დამთავრდა ბრძოლა გარემოსა და უცხო გარემოში მოხვედრილ მცენარეებს, — ატმებს შორის, მაგრამ რა იყო მიზეზი მათი სხვადასხვა დროს გარდაქმნისა?! — აი, რა აინტერესებდა ჯონს.

ერთხელ, დავაქკაცებული ჯონი ატმის ქვეშ მიწვა და ფიქრებში წასულს ტკბილად ჩაეძინა. და, აი, მას მოესმა, თუ როგორ შეირხნენ, აშრიალდნენ და ალაპარაკდნენ მარადმწვანე ატმები.

— ჩემო ჯონ! — ეუბნება „პიონერი“, — კარგია თქვენი ბუნება, მაგრამ მე ჩემი ქვეყანა მირჩევნია. იქ, ჩემს სამშობლოში, არც ამდენი წვიმები იცის, არც სიცხე, იქ გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ზაფხულს — შემოდგომა, შემოდგომას — ზამთარი, აქ კი წლის დროები ვერ გამირჩევია. თანაც როგორი სიცხეები სცოდნია აქ, პირდაპირ სული მეხუთება, ჩემი ფოთლები აქ ისე ხურდება, რომ მათ გასაგრილებლად იძულებული ვარ აუარებელი წყალი ავაორთქლო. თქვენი მიწაც როგორი წითელია, თითქოს აგურიაო, — განაგრძობდა „პიონერი“.— ჩემს ქვეყანაში სხვაგვარად ვცხოვრობდი. ამ დროს ფოთლები დაცვენილი მქონდა, აქ კი რას ვხედავ!? წლის განმავლობაში მწვანე სამოსელის მხოლოდ ნაწილი მცვივა და მათ მაგიერ ახალი ფოთლებით ვიმოსები. თქვენმა ბუნებამ ყველაზე ადრე „ადგილობრივი კურკიდანა“ გარდაქმნა, შემდეგ — „კურკიდანა“ დაამარცხა, მე კი ჯერ გავუძელი, ძველებურად ვიცხოვრე, მაგრამ ბოლოს მეც დამძლია და მარადმწვანე გავხდი.

— დიახ, დიახ,—ჩაერთო საუბარში „ადგილობრივი კურკიდანა“ — ყველაზე მალე თქვენმა გარემომ მე გარდამქმნა, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მშობელი კურკა აქ დაიბადა და გაიზარდა, იმიტომაც, რომ მე ყველაზე ახალგაზრდა ვარ, ჩემი ასაკი ხომ კურკიდან აღმოცენების დღიდან იწყება და მას შემდეგ მხოლოდ ერთმა წელმა განვლო, „პიონერმა“ კი მეტი სიჯიუტე გამოიჩინა და თქვენმა ბუნებამ ის უფრო მოგვიანებით, მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გარდაქმნა.

— „კურკიდანა“, — გასძახა „პიონერმა“, — ხედავ, აქაურ ბუნებას ჩვენებური თუთაც დაუძლევია, ისიც მარადმწვანე მცენარეა.

— ჩემს სამშობლოში, — თქვა „პიონერმა“, — ამ დროს ყველა ყუნწის ძირში ფოთლის მოსაცილებელი ქსოვილი გვიჩნდებოდა. აქ კი რაღაც დაემართა, ალბათ ისიც გარდაიქმნა.

ჯონს გამოეღვიძა, თვალები მოისრისა, ზეცას ახედა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა მარადმწვანე ატმის ხეები და სახლისაკენ გაეშურა.

გიორგი ალექსიძე,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.



## წიგნები

**ქეთევან ჭილაშვილი**

მარცვალა
და
ხარისთვალა

ქეთევან ჭილაშვილის სახელი ქართველი ბავშვებისათვის კარგად არის ცნობილი. მწერლის ბევრი ნაწარმოები




### კანიბალიზმი ბუნებაში

ერთი დედალი ვირთევზას ქვირითიდან მხოლოდ ორი-სამი აღწევს სრულ გაზრდას, სხვანაირად არც შეიძლება — ყოველი ქვირითიდან რომ გაზრდილიყო თევზი, ზღვაში ტევა არ იქნებოდა. ზოგიერთი ზღვის ცხოველი ჭამს ქვირითს. შემდეგ კი გადარჩენილი ქვირითიდან გამოჩეკილებსაც სანსლავს, ზოგჯერ თევზებიც ჭამენ საკუთარ შვილებს. ბუნებაში კანიბალიზმი საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა.

### ბუკნაჭოტის სამფლობელო

ბუკნაჭოტი ზამთარში დიდად აფართოებს თავის სამფლობელოს, სანადირო მიდამოს. ეს ფრინველი ძალზე წინდახედულია: ზოგ ფუღუროს საწყობად იყენებს, ზოგში ნანადირევს შეექცევა, ზოგში კი მხოლოდ იძინებს. ბუკნაჭოტის საზაფხულო საბრძანებელი გაცილებით მცირეა ზამთრისაზე.

### ასე ფიქრობენ

ცნობილია, რომ თამბაქოს კვამლში დაახლოებით 600 კომპონენტია, რომლებიც საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

გამოჩენილი ფრანგი ექიმები, პროფესორები ლუი პიზი და ივ ნაუარი ფიქრობენ, რომ სწორედ თამბაქოს წევა არის მიზეზი ახალგაზრდებში გავრცელებული ქრონიკული ბრონქიტისა და ფილტვების კიბოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა მოზარდმა თაობამ გულითა და სულით შეიყვარა.

ახლახან ბავშვების წიგნის თაროს შემატა ქეთევან ჭილაშვილის ახალი მოთხრობების კრებული „მარცვალა და ხარისთვალა".

„მარცვალა ერთი თითისტარა გოგოა, — გვიამბობს მწერალი, — ისეთი გაწნკული, ისეთი გაღნაპული, გეგონება, რომ შეუბერო, წაიქცევაო, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თავის ტოლებს არაფერში ჩამოუვარდება, ოჯახში ჯარასავით ტრიალებს". დიახ, მარცვალა მშრომელი და დაუზარელი გოგრა, სამ პაწია იხვის კოკორინას ზრდის, ჭალაში დაასეირნებს. თანაც, ვიდრე კოკორინები საკენკს დაეძებენ, ეს კუდრაჭა გოგონა ხის ჩრდილში მიჯდება და ძაფს ართავს — პაპას წინდები უნდა მოუქსოვოს.

ხარისთვალა მარცვალას მეზობელი და მეგობარი ბიჭია. ჯერ პატარაა, მაგრამ უკვე ხბორებს მწყემსავს და დიდებს ტოლს არ უდებს. ის კი არა, ერთხელ ღამით მგელი მიუხტათ, ხარისთვალა არ შეუშინდა და მტაცებელი თოფით გააგორა.

წიგნში ბევრი საინტერესო მოთხრობაა შეტანილი, ასეთებია, მაგალითად, „ჩურჩხელა", „ნადირობა", „ენაჭარტალა", „კუნჭა", „ნიკას ლეკვი" და ბევრი სხვა.

ქეთევან ჭილაშვილის ახალი წიგნი პატარების დიდი სიყვარულით არის დაწერილი და ბევრ ბავშვს გაჰყვება კეთილ მოსაგონებლად.




თამბაქოს წევასთან არის დაკავშირებული აგრეთვე სისხლძარღვების დაავადებათა 90 პროცენტი.

### სიცილია საფრთხეშია

კუნძულ სიცილიაზე ნიადაგის ეროზიამ კატასტროფული მასშტაბი მიიღო. გორაზე გაშენებულ ქალაქ კალტანისეტის ირგვლივ ღრმა ხრამები გაჩნდა. ქალაქის ასობით მკვიდრი ევაკუირებულია.

მსგავს დღეში აღმოჩნდა კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი სან-ფლატელო. 45 წლის წინათ იგი უეცრად დაინგრა მეწყერების შედეგად. ამ კატასტროფამ ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. იტალიის მთავრობა არაერთხელ დაჰპირებია ხალხს, რომ ნიადაგის განსამაგრებლად და სან-ფლატელოს გადასარჩენად სათანადო სახსრებს გამოყოფდა, მაგრამ, დღემდე არსებითად არაფერი გაუკეთებიათ.

### უძველესი ზოოლოგიური ბაღები

პირველი ზოოლოგიური ბაღები გაჩნდა აფრიკასა და აზიაში სამი ათასი წლის წინათ. მეფეებსა და მმართველი დინასტიების სათავეში მდგომთ ეს ბაღები უფრო თავიანთი ძლიერებისა და სიმდიდრის დემონსტრირებისათვის სჭირდებოდათ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასი წლით ადრე ჩინეთში არსებობდა უზარმაზარი, 400 ჰექტარი ფართობის ზოოლოგიური ბაღი. აქ თავმოყრილი იყო გარეული ცხოველების მდიდარი, მრავალფეროვანი კოლექცია. ამ დაწესებულებას „ცოდნის ბაღი" ერქვა.

როცა ესპანელმა დამპყრობლებმა კორტესის მეთაურობით 1519 წელს მექსიკაში აცტეკების სახელმწიფო დაიპყრეს და იმპერატორ მონტესუმის რეზიდენციაში შეიჭრნენ, საუცხოო ზოოლოგიური ბაღი აღმოაჩინეს, სადაც ბინადრობდნენ ირმები, გიგანტური ჰიანჭველაჭამიები, იაგუარები, დათვები, ნიანგები, გველები, კუ, აუარებელი ფრინველი. მონტესუმის ბრძანებით აცტეკელ მეომრებსა და ვაჭრებს ცენტრალური ამერიკიდან ჩამოჰყავდათ გარეული ცხოველები.



### პინგვინების საქორწილო რიტუალი

პინგვინებს თავისებური საქორწინო რიტუალი აქვთ. მამალი პინგვინი ნისკარტით იღებს მრგვალ კენჭს და იწყებს მომავალი მეუღლის ძებნას. მაგრამ, მისი პოვნა თურმე არც ისე იოლია. დედის პინგვინი და სათითაოდ ყველას სთავაზობს კენჭს. თუ მისი თაყვანისცემის ობიექტი აღმოჩნდა დედალი, რომელსაც უკვე შექმნილი აქვს ოჯახი, ეს უკანასკნელი ზედაც არ შეხედავს მას. თუ მოხდა ისე, რომ მან მამალ პინგვინს შესთავაზა კენჭი, ეს პინგვინი მყისვე დაიფრენს უილბლო კავალერს. მხოლოდ თავისუფალი დედალი იღებს საჩუქარს, რითაც თანხმობას აცხადებს დაქორწინებაზე.



ამის შემდეგ იწყება მამალი პინგვინის გასაჭირი. მარადყინულოვან მხარეში ბუდის ასაშენებლად კენჭების მოგროვება ადვილი როდია. სამშენებლო მასალის ძებნაში საკმაოდ დიდი დრო იხარჯება. ახალდაქორწინებული მამალი ზოგჯერ კიდეც ქურდობს — დოყლაპია მეზობელს კენჭებს აწაპნის ხოლმე.

### კომბოსტოსა და თალგამის ნაჯვარი

შოტლანდიელმა სპეციალისტებმა გამოიყვანეს ჰიბრიდი — კომბოსტო თალგამით. იგი ძალზე ყუათიანია, კარგად უმკლავდება კომბოსტოსა და თალგამის დაავადებებს, ყინვაგამძლეა და ყოველივე ამის გამო პირუტყვისათვის ძვირფას ფურაჟს წარმოადგენს.

### მხედველობას უბრუნებს

აზიასა და აფრიკაში გავრცელებული თვალის სნეულება—ტრაქომა ხშირად იწვევს ადამიანის დაბრმავებას. ასეთ შემთხვევაში ხშირად მიმართავენ მეორე ადამიანის თვალიდან რქოვანას გადანერგვას. იმის გამო, რომ მუსლიმანურ ქვეყნებში რელიგიური კანონებით ასეთი ოპერაციები აკრძალულია, პაკისტანელმა თვალის ექიმმა მ. ჰაგმა სხვა საშუალებას მიმართა. მან დაამტკიცა, რომ გარკვეული სახეობების თევზთა რქოვანას შეუძლია შეცვალოს ადამიანის რქოვანა. მრავალი მოსამზადებელი ექსპერიმენტის შემდეგ მან გადაწყვიტა ოპერაცია გაეკეთებინა. გადანერგვის დაწყებამდე თევზი დაიძინეს. ექიმმა მისი რქოვანა გადაუნერგა სამი წლის ასაკიდან დაბრმავებულ 68 წლის კაცს, ოპერაციის შემდეგ ავადმყოფს თვალის ჩინი დაუბრუნდა, თუმცა ნაწილობრივ. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მ. ჰაგმა 25 ასეთი ოპერაცია გააკეთა და ყველა წარმატებით დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველდღე, სპორტს!

## მეშვიდე კომპლექსი





ვ ა რ ჯ ი შ ი  პ ი რ ვ ე ლ ი. სკამისაკენ ზურგშექცეული დადექი. თვლაზე ერთი-ორი, ტანი მარჯვნივ შეაბრუნე, მარცხენა ხელი სკამის საზურგის უშორეს ნაწილს ჩაავლე, მარჯვენა კი — უახლოესს. თვლაზე 3-4, ეს მოძრაობა მეორე მხარესაც გააკეთე. ფეხები ადგილიდან არ დაძრა. მუხლები არ მოხარო.

ვ ა რ ჯ ი შ ი  მ ე ო რ ე. სკამებზე ხელებით დაეყრდენი, ცალ ფეხზე ჩაჯექი, მეორე უკან გასწიე და თითებს დააყრდენი. თვლაზე ერთი-ორი, ფეხებით ზამბარული მოძრაობა გააკეთე, მერე ფეხების მდგომარეობა რიგ-რიგობით შეცვალე. ხელებიც, ცხადია, მოხარე და გამართე. რაც შეიძლება ღრმად ჩაჯექი. დაისვენე და ისევ გაიმეორე ვარჯიში. იქნებ ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც შეძლო? ეს შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო. სცადე.

ვ ა რ ჯ ი შ ი  მ ე ს ა მ ე. ხელები ისევე ეყრდნობა სკამებს, როგორც წინა ვარჯიშის დროს, მაგრამ მარჯვენა ფეხი უკან არის გაწეული და მუხლზე დაყრდნობილი, მარცხენა კი გამართულია და ტერფს ებჯინება. ფეხები ზამბარისებურად ამოძრავე, ისე რომ მარჯვენა ფეხი გაიმართოს. შემდეგ ფეხების მდგომარეობა შეცვალე.



ვ ა რ ჯ ი შ ი  მ ე ო თ ხ ე. გააკეთე თექვსმეტი ხტომა სახტუნელათი. ახტი ორივე ფეხით. ახტომისას მარცხენა ფეხი გვერდზე გასწიე, მერე როცა დაიღლები, ფეხები შეცვალე. სახტუნელათი ვარჯიში მრავალფეროვანია და გზადაგზა შეგიძლია თვითონ გაართულო ან გააიოლო.

ვ ა რ ჯ ი შ ი  მ ე ხ უ თ ე. სახტუნელა გაკეცე და მხრების სიგანეზე უფრო განიერად დაიჭირე. გადააბიჯე მარცხენა ფეხი, მერე მარჯვენა. დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას. გამართული ხელებით სახტუნელა უკან გადაიტანე. იქედან წამოიღე და კვლავ ფეხი გადაატარე, ხან ერთი, ხან მეორე. გააკეთე რამდენჯერაც შეძლებ.





## ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ზოთა ინწკირველი

### ბავშვები და საჭადრაკო რომანტიკა

განვაგრძობთ (იხ. „პიონერი" № 5, 1977 წ.) დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვთა შემოქმედების გაცნობას. წარმოგიდგენთ ჩემი აღზრდილებისა და აღსაზრდელების რამდენიმე ნაწარმოებს.

ვნახოთ ამჯერად უკვე ჭაბუკებში საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონის ზურაბ აზმაიფარაშვილის პარტია. აღვნიშნავთ. რომ მანამდე საქართველოს წარგზავნილებიდან ეს წოდება მოპოვებული ჰქონდა მხოლოდ ტიგრან პეტროსიანს (1946 წ.).

პარტია ნათამაშევია „მსოფლიოს ჩემპიონთა პრიზზე" („თეთრი ეტლი") პიონერული ასაკის გუნდების პირველ საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა IV ეტაპზე — საქართველოს პირველობაზე. მეორეკლასელი, ოქტომბრელი ზურიკო გამონაკლისის სახით დაუშვეს ამ ღონისძიებაში. ფინალში (მოსკოვი, 1969 წ. ივლისი) თავის დაფაზე წარმატებითი შედეგისათვის ჟურნალ „მურზილკის" სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

საქართველოს გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

### როქი სხვადასხვა მხარეს

შეტევის მეთოდებზე უკვე ვისაუბრეთ „პიონერის" 1974 წლის მე-5 ნომერში. ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროის ფაქტორს — წარმატებას აღწევს ის, ვინც პირველი შექმნის რეალურ მუქარებს.

პარტია № 2
იტალიური პარტია
თბილისი, 1969 წ.
რ. გაგათაშვილი
(გარდაბანი. 11 წლის. მესამეთანრიგოსანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

## ვინ გვეძუვის?

ყორეს ანგრევდა
ძია პაპუნა
და ბოლოს ქვაც რომ
გადააბრუნა,
სოროში ნახა
ზღარბი ზღარბუნა.
ამოიყვანა
ძია პაპუნამ
და უჩას მისცა
ზღარბი ზღარბუნა.
— ვაი, მომკვდარა! —
ეწყინა უჩას:
— აღარც თვალს ახელს
და აღარც სუნთქავს.
ღიმილით უთხრა
ძია პაპუნამ:
— ზვინში შემალე
ზღარბი ზღარბუნა.
და რომ დათბება,
თოვლი დადნება,
მოინახულე,
იქვე დაგხვდება.
როგორც ურჩია
ძია პაპუნამ,
ზვინში შემალა
უჩამ ზღარბუნა.
კარგად რომ დათბა
ბარშიც და მთაშიც,
ზღარბი ზღარბუნა
ისურვა მაშინ
და ზვინისაკენ
გასწია ჩქარა.
ძებნა და ძებნა,
არია ჩალა,
მაგრამ ვერ ნახა,
ვერა და ვერა,
ლამის ატირდა,
ჩაუწყდა ენა.
თქვენ გეკითხებათ
ძია პაპუნა:
— რატომ ვერ ნახა
უჩამ ზღარბუნა?

## ბუზი და ფუტკარი

— ფუტკარო,
რად არ ისვენებ,
უქმე დღე არის
შაბათი.
— თაფლმა არ იცის,
ძმობილო,
ორშაბათი და შაბათი,
უქმე დღეს
დამზადებულიც
ტკბილია,
როგორც
შარბათი.

---

ზ. აზმაიფარაშვილი
(თბილისი. 9 წლის. მეორეთანრიგოსანი).

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 კc5 4. 0—0 მf6 5. d3 h6 6. h3.

თეთრების 4. 0—0? და 6. h3? ტიპიური შეცდომებია: მათ ნაადრევად გამოარკვიეს მეფის პოზიცია, ხოლო უკანასკნელი სვლით კი დაასუსტეს ის. ახლა 6. ... d6-ის შემდეგ შავებს შეუძლიათ g7-g5-g4 სვლებით დაიწყონ შეტევა.

6. ... d5 7. ed მ:d5 8. კd2 კe6 9. c3 ლf6 10. მa3 0—0—0 11. მc2.

ასეთ სიტუაციებში მანევრები უადგილოა, აუცილებელია ენერგიული მოქმედება — ნებისმიერი საშუალებებით ხაზების გახსნა.

11. ... g5 12. ლe2 g4 13. hg კ:g4 14. კe3 ეh-g8!

შავებმა გეგმაზომიერი თამაშით მრისხანე პოზიცია მიიღეს.

15. მc-e1 e4!!

ეს უკვე მაღალკვალიფიციური მოჭადრაკის ხელწერაა!

მხედრისათვის თავისუფლდება „e5" უჯრა. შავები ხალისით ტოვებენ მუქარის ქვეშ „უსარგებლო" ფიგურებს. მთავარია დროის მოგება, „საჭირო" ძალების კონცენტრაცია-კოორდინირებისათვის მეფის ფრთაზე გადამწყვეტი იერიშის მისაღებად.

16. de მe5!



ბრძოლის ბედი გადაწყვეტილია! აქ ერთადერთი 17. მფh1-ს შემდეგ შავები ასე იგებენ: 17... ეg5!! 18. კ:d5.

თუ 18. კ:g5, მაშინ 18. ... hg, 19. ... ეh8+ და ლh6

18. ... ეh5+ 19. მფg1 მ:f3+ 20. მ:f3 კ:f3 21. ლb5

თუ 21. ლ:f3, მაშინ 21. ... ლ:f3 22. gf ეg8×

21. ... ეh:g5! 22. ed ლg6 23. g3 ლh5 გარდაუვალი შამათით.

10 წლის გიორგი როგავამ მეხამე თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში (1978 წლის იანვარი. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საჭადრაკო სკოლა) შოტლანდიურ პარტიაში შესანიშნავი კომბინაცია განახორციელა.

„კომბინაცია არის ფორსირებული ვარიანტი შეწირვით".

ბოტვინიკი.

ტაბატაძე



როგავა

უპირველესყოვლისა თვალში საცემია თეთრების წარმატება ძალთა მობილიზაციის მხრივ. შეიძლება ითქვას, რომ ფიგურათა განვითარება შავებსაც დამთავრებული აქვთ, მაგრამ ძალთა კონცენტრაციით თეთრები რამდენადმე ტემპით წინ არიან. თეთრებისათვის შუათამაში უკვე დაწყებულია, და რაც მეტად მნიშვნელოვანია, მათ განვითარება-განლაგებაში თვალნათლივ ჩანს მიზანდასახულობა—მზადყოფნა პირველი შემთხვევისთანავე დალაშქრონ შავი მეფის პოზიცია.

17. ... კb4?

ბუნებრივია, შავები ცდილობენ გაცვლებით შეიმსუბუქონ მდგომარეობა, მაგრამ კუს წასვლით სუსტდება მათი მეფის ფრთის დაცვა, რასაც თეთრები მახვილგონივრულად იყენებენ.

18. კ:f6!

პირველი შეწირვის მიზანია შავების მეფის ფრთის დამცველი მხედრის მოცილება. როგორც მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, კუ ხელშეუხებელია და საშამათო ოპერაციაში „სოლო პარტიას" ასრულებს.

18. ... კ:e1.

აქ უკვე ძნელია კარგი რჩევის მიცემა. თუ 18. ... gf, მაშინ 19. კf5 ლ—ნებისმიერი სვლა, 20. ლh5.

19. კ:h7+!!

ძნელია თავი შეიკავო ორი ძახილის ნიშნის დასმისაგან, მით უმეტეს, რომ ავტორი სრულიად ნორჩი შემოქმედია. ეს შეწირვა შავებს ალბათ გამორჩათ.

მეორე შეწირვის მიზანი შავი მეფის h7-ზე ჩათრევაა, რითაც თეთრები ლაზიერის h6-ზე გადასაყვანად გადამწყვეტ ტემპს იგებენ! ბრძოლა ფორსირებულ ხასიათს ღებულობს და დროის ფაქტორი დიდ მნიშვნელობას იძენს.

19. ... მფ:h7.

თუ 19. ... მფf8, მაშინ 20. ლa3+.

20. ლh5+ მფg8 21. ლg5 კ:f2+!

განწირულის უკანასკნელი ცდა!

თუ ახლა 22. მფ:f2?? მაშინ 22. ... ე:e2+! 23. მფf1 g6 24. ლh4 ლf5+ 25. მფ:e2 ლe4+ და იგებენ შავები! ან 22. ე:f2 ეe1+ 23. ეf1 ე:f1 24. მფ:f1 g6 25. g4 ლd6 26. ლh4 ლf4+.

22. მფf1!

იგებდა აგრეთვე 22. მფh1! შავები დანებდნენ.

ეს დაბოლოება ნორჩი მოჭადრაკის შემოქმედებითი გამარჯვებაა.

ამავე ტურნირში 9 წლის თამაზ ტაბატაძემ განახორციელა მშვენიერი საშამათო კომბინაცია.

ჰოჭუა



ტაბატაძე

შამათი 2 სვლაში

1978 წლის № 3-ში გამოქვეყნებული ჩაჩიბაიას პარტიის ფინალში გადამწყვეტი მუქარა 28. მg5! სწორად გამოიცნეს ქ. აბაშიძემ, ლ. წერეთელმა, ლ. სამადაშვილმა, ა. მამულაშვილმა, მ. ბოჭორაძემ, რ. კაკაბაძემ, მ. დვალმა, მ. ბერბიჭაშვილმა, თ. ურუშაძემ, ნ. ქავთარაძემ, ი. ცქვიტინიძემ, ნ. ჩხიკვაძემ, პ. დაუშვილმა და მ. ჭოჭუამ (თბილისი), ლ. კვარაცხელიამ (წალენჯიხა. ჯგალი), კ. მარგიანმა (ბოლნისი), თ. ოსიტაშვილმა (ქობულეთი), ტ. ჯანელიძემ (ცაგერი, ზუბი) და ა. ბერძენიშვილმა (ჩოხატაური. ფარცხმა).





თეთრეულისა და მსუბუქი ტანსაცმლის გაშრობა სააბაზანოშიც შეიძლება. თუ როგორ უნდა გააკეთოთ სამისო მოწყობილობა, კარგად ჩანს ამ ნახატიდან.

1. სააბაზანოში მოწყობილი საშრობი ჭერზე ბლოკების საშუალებით არის ჩამოკიდებული. მის მოსაწყობად საჭიროა ორი საკიდი, რამდენიმე მეტრი მაგარი ბაწარი (ან ნეილონის ძაფი), ბლოკებში გატარებული დრეკადი მავთული (ან კაპრონის თოკი), რომელიც საშუალებას იძლევა საშრობი ჩამოსწიო ან ასწიო. მავთულის (ან კაპრონის თოკის), ბოლო შეიძლება აბაზანის ფეხს გამოაბა.

2. ასეთი საშრობი შეიძლება დამზადდეს, როგორც ხისაგან, ისე ლითონის მილისაგან. ჩარჩოს კიდეები ერთმანეთთან პლასტმასის მილით უნდა შეერთდეს. ზემო და ქვემო საყრდენები კი კედელზე უნდა მიმაგრდეს. სამისოდ სხვადასხვა საშუალება არსებობს. შენ თვითონ გადაწყვიტე, როგორ დაამაგრო.

3. ეს კიბისმაგვარი საშრობი კონსტრუქციით წინასა ჰგავს, ოღონდ იმ განსხვაეიბით, რომ ბაკანზეა შედგმული. ბაკანზე ფეხის მოსაკიდებლად ჩარჩოს ოთხივე საყრდენზე უნდა გაუკეთდეს საგანგებო მოწყობილობა (ვთქვათ, რომელიმე რბილი ლითონის ფურცლისაგან.).

4. ეს კომბინირებული საშრობია. ჩარჩოს ორი ფეხი აბაზანას ეყრდნობა, ორი კი კედელს ებჯინება.

5. ასეთი საშრობი კედელზე მაგრდება. სურვილისამებრ შეიძლება მისი აკეცა და გაშლა.







## სარჩევი


ᲨᲣᲒᲚᲐᲫᲔ Კ. — ახალგაზრდობა ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის (წერილი) . . . . . გარეკ. 2
ᲥᲝᲒᲣᲚᲘᲐ Ს. — შრომის, მეგობრობის ბანაკი (ნარკვევი) . . . . . . . . 4
ᲬᲕᲘᲯᲑᲐ Შ. — ახალი თბოტრასა (მოთხრობა) . . . . . . . . 6
ᲛᲐᲠᲘᲯᲐᲜᲘ (ნეკროლოგი) . . . . 9
ᲔᲠᲔᲛᲝᲕᲘ Გრ. — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წყობილება (წერილი) . . . . . . . . . . 10
ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ Თ. — შუქი, რომელიც მოაქვთ ყვავილებს (ნარკვევი) . . 12
ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲕᲚ. — სიმღერა — ელვა (ლექსი) . . . . . . . . 13
ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ Დ. — კერკეტი კაკალი; ბიჭის ჩიტი (მოთხრობები) . . 14
„ᲐᲘᲡᲘ" . . . . . . . . . . 16
ᲮᲔᲠᲑᲘᲐᲜᲘ Მ. — ბუნება — ჩვენი მეგობარი . . . . . . . . . 18
ᲤᲐᲘᲚᲝᲫᲔ Ნ. — ჩვენ, კომკავშირის წარგზავნილები! (წერილი) . . 21
ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ Გ. — წყარო; მზის ჩასვლა მთაში; ვარ ერთი ვაზი; დილა (ლექსები) . . . . . . . . 22
ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ — პასუხისმგებლობა 23
ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ Ლ. — ძროხა; ლომი და ფინია; გლეხის ნაამბობი, თუ რატომ უყვარს მას თავისი ძმა (მოთხრობები) . . . . . . 24
ᲥᲝᲠᲥᲘᲐ Რ. — როგორ მოკვდა ვაჟაფშაველა (წერილი) . . . . . 26
ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ Გ. — საოცარი სტუმრები (ნამდვილი ამბავი) . . . . . . 26
ახალი წიგნები . . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . 28
ყურადღება, სტარტზე! . . . 30
მხედრიონი . . . . . 30
ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ Ნ. — ვინ გვეტყვის? ბუზი და ფუტკარი (ლექსები) . . . 31
საზრიანთა ხელში . . . . . 32
ცხრაკლიტული . . გარეკ. 3


ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲘᲡᲐ


მთავარი რედაქტორი ᲒᲐᲒᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲚᲘᲐ.
სარედაქციო კოლეგია: ᲓᲝᲓᲝ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲚᲔᲨᲙᲐᲨᲔᲚᲘ (პ/მგ. მდივანი), ᲖᲣᲠᲐᲑ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ, ᲒᲐᲘᲝᲖ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მხატვარი-რედაქტორი), ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲚᲘᲒᲐᲫᲔ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲨᲐᲛᲤᲠᲘᲐᲜᲘ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲩᲘᲥᲕᲐᲜᲐᲘᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26/V-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII-78 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 1557. ტირ. 148.000. უე 08630.

ფასი 20 კაპიკი


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



© „პიონერი", 1978 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი





თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 5. ქსოვილის წვრილი თასმა; 6. სპორტული თამაში; 7. ფრინველი; 8. რიტმული სვლა, მწყობრი ნაბიჯით სვლა; 14. შინაური ცხოველი; 15. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ტემპი; 16. მასრა, ანუ? 19. ზღაპრული ურჩხული; 20. მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც დაერთვის საგანს და აძლევს მას მხატვრულ გამომსახველობას; 21. ხის ნაყოფი; 22. ანბანის პირველი ასო; 27. კონტინენტი; 28. რიცხვითი ან ასოითი მაჩვენებელი, რომელიც ეწერება ჟურნალ-გაზეთსა და სხვ. ჩვეულებრივ ქვემოთ; 32. ქიმიური ელემენტი; 33. მდინარე აფრიკაში; 34. სახელმწიფო აზიაში; 37. ქალაქი იტალიაში; 38. ტროპიკული მცენარე; 39. სოფელი ახალქალაქის რაიონში; 40. ზღვა აზიაში.

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. ინერტული გაზი; 2. საზომი ერთეულის სტანდარტი; 3. გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი; 4. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება. სპექტაკლის, კონცერტის და სხვ. შესახებ. 9. ქალაქი საქართველოში; 10. ტვირთის ასაწევი უმარტივესი მოწყობილობა; 11. ძველი ქართული პროვინცია; 12. დროის საზომი ხელსაწყო; 13. კატის შვილი; 17. სოფელი მდ. ენგურის შესართავთან; 18. ნახევარკუნძული ევროპაში; 23. მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; 24. საზამთრო სამოსი; 25. სიგრძის საზომი ერთეული; 26. „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი პერსონაჟი; 29. პლანეტა მზის სისტემაში; 30. ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული პირი; 31. წოდება ბატონყმურ საქართველოში; 35. მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში; 36. ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილი.

მერაბ და ნანა ცალანები,
ოჩამჩირის რაიონის, სოფ. აძიუბჟის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები.

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გვარებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი ფეხბურთელის გვარი.

მალხაზ მჭედლიშვილი,
თბილისის 51-ე საშუალო სკოლის 11 კლასის მოსწავლე.

## შარადები

1

საწყისად შმაგის მეორე
სახელი მითხრა, ეგება;
გრამატიკული კავშირი
დასკვნით ნაწილად ერგება.
მათ შეკრებამდე პირველის
ბოლო ხმოვანი იცვლება. —
ფიალებს ღვინით ავსებს და
თვითონ თანდათან იცლება.

2

ცეცხლის ენის გამოცნობა
თუ არ გაგიჭირდება,
მისი წინა ორი ბგერა
სიტყვის თავში გჭირდება.
მტაცებელი ფრინველია,
მიმინოზე პატარა,
მოიტაცა ნიბლია და
ცხრა მთა გადაატარა.

შოთა ამირანაშვილი

## პასუხი № 6-ში დაბეჭდილ ცხრაკლიტულზე

შვეულად: 1. ვარიანი; 2. იადონი; 3. უგანდა; 4. ფინიკია; 7. კატარო; 8. ქლიავი; 14. პრაღა; 15. ირისი; 16. უთო; 17. სიო; 20. ესენია; 21. ირტიში; 22. ტრიტონი; 24. კალორია; 26. ისინდი; 27. ახტალა.

თარაზულად: 5. ალტაი; 6. აგური; 9. კოლბა; 10. ლეინი; 11. ტალი; 12. ნალი; 13. ასლი; 14. აპარაგვაი; 18. თრია; 19. ინდი; 23. აისბერგი; 25. რეტი; 27. აბრა; 28. ნუში; 29. ლიტრი; 30. შტატი; 31. ნარდი; 32. ალამი.

## გამოცანები

ჭიანჭველები, დოლი, მარწყვი.

ხ 104/120

# კონკურსი

## საუკეთესო საბავშვო ნახატზე დევიზით „საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდობა“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების („შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“) შესაბამისად 1978 წლიდან განახლებულია საქართველოს მხატვართა კავშირის, სამხატვრო აკადემიის და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „ნორჩი მხატვრის“ გამოცემა.

ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულია კონკურსი საუკეთესო საბავშვო ნახატზე დევიზით: — „საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდობა“. კონკურსი ეძღვნება ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს.

კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს ნორჩ მხატვარ-შემოქმედთა გამოვლენას და პოპულარიზაციას.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ბავშვებს და მოზარდებს, სკოლამდელი ასაკიდან 16 წლამდე.

კონკურსის თემაა თანამედროვე ახალგაზრდა და მისი ცხოვრება, შრომა, სწავლა.

კონკურსის შედეგები შეჯამებული იქნება 1978 წლის საოქტომბროდ. ნამუშევრები უნდა გამოიგზავნოს 1978 წლის 15 სექტემბრამდე.

ნახატები გააგზავნეთ მისამართით:

ქ. თბილისი, 380009
მელიქიშვილის ქ. № 1,
ბავშვთა ხელოვნების მუზეუმი.




კოსმოსის საუკუნე. ხათუნა ცხაკაია. თბილისის 28-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

ИНДЕКС 76157